პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 აგვისტო **ორშაბათი** 2011

№ 196 (13 493) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა: უმაღლესი მაღალ დონეზე

↳ 2-3

გაგრა-მეტალურგი 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

30 000 000

არისტოკრატობა ძვირად ფასობს

ხუან მანუელ მატა ვალენსიიდან ჩელსიში გადავიდა

↳ 5

დანი ალვეში დიდი ცდუნების წინაშე

ანჟი ბრაზილიელს მესის ხელფასს სთავაზობს

↳ 5

უეფას ევროპის ლიგა 2011-2012 / ფლეი-ოფის რაუნდი

დინამო (თბილისი) v აეკ (ათენი)

21:00

25 აგვისტო 2011

ერთი ნაბიჯი ევროპამდე

ეროვნულ სტადიონზე...

დაუბრუნდი დინამოს!

WWW.FCDINAMO.GE

ახალი, დამსახურებული ლიდერი

მერანი ბოლოს

21.08. თბილისი. მერანი (ზეემჯა). 500 მაყურებელი

გაგრა	2
მეტალურგი	0

1:0 შარიქაძე (39), 2:0 ორდინსკი (70)

გაგრა	მეტალურგი
3-5-2	4-2-2-2
კ.სეფიაშვილი	გათიაშვილი
ზ.ჩხეტიანი	დობროვოლსკი
ტყეშელაშვილი	კვახაძე
კალანდაძე	მახვილაძე
ხუციძე	ჯაფარიძე
ნაკონეჩნი	რაზმაძე
შარიქაძე	გ.კვარაცხელია
სიჭინავა	გეწაძე
ნ.ჯიშკარიანი	ი.მაისურაძე
მაგაჯი	გ.მიქაბერიძე
კვანტალიანი	მოდებაძე
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ა.პისკოვეცი	კ.ჟორჟიკაშვილი

გაგრა

36. სიჭინავა - **ჭკუასელი**
55. მაგაჯი - **ორდინსკი**
82. კვანტალიანი - **ყურულაშვილი**

სათადარიგოები: ბეგაშვილი, ჭოხონელიძე, ქართველიშვილი, გაბუნია

მეტალურგი

46. მიქაბერიძე - **ტატანაშვილი**
76. დობროვოლსკი - **პავლიაშვილი**
85. მაისურაძე - **ქავთარაძე**

სათადარიგოები: ბედიაშვილი, ჩადუნელი

არბიტრი: **თ. გვანცელაძე (სამტრედია)**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

... სამი მატჩი, სამი გამარჯვება და ერთპიროვნული ლიდერობა, — „გაგრას“ ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო შტაბი თუ ფეხბურთელები მოვლენების მსგავს განვითარებას, ალბათ, ძნელად თუ იფიქრებდნენ; არადა, ფაქტია, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა და დამსახურებულადაც ლიდერობს ახლახან დაწყებულ ჩემპიონატში. სხვათა შორის, სენსაციური თუ მოულოდნელი ამაში არც არაფერია, — ისე როგორც გუშინდელ მატჩში „გაგრას“ გამარჯვება; ვინც ამ შეხვედრას თვალი მიადევნა (უმაღლესი ლიგისთვის აშკარად შეუფერებელი „მერანის“ სტადიონის ტრიბუნებიდან), ყველა დაგვეთანხმება, რომ **ანატოლი პისკოვეცის** გუნდმა ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს დამსახურებულად აჯობა. აი, ასე გატყდა ნავსი: უმაღლეს ლიგაში „გაგრამ“ პირველად შეძლო რუსთავის გუნდის („მეტალურგის“ , ანუ „ოლიმპის“) დამარცხება! თანაც, უკრაინელი სპეციალისტისათვის რუსთაველების წინააღმდეგ მატჩი „რიგითი“ შეხვედრა ვერაფრით იქნებოდა: მოგეხსენებათ, ყოფილი კლუბის წინააღმდეგ დაპირისპირებისას განსაკუთრებული მოტივაცია არავის სჭირდება და პისკოვეციც, უდავოდ, კმაყოფილი დარჩებოდა გუშინდელი მატჩის შედეგით.

...წინა ტურთან შედარებით, ორივე გუნდის ძირითადში გარკვეული ცვლილებები მოხდა: „გაგრას“ შემადგენლობაში 18 წლის ნიგერიელი ახალწვეული, **უმარ მაგაჯი** გამოჩნდა, აი, „მეტალურგის“ ძირითადში გამოცდილი ახალწვეულის, გივი კვარაცხელიას დაბრუნების გარდა, რაც გვეუცხოა, ეს... ფეხბურთელთა განლაგება იყო; სტუმართა თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმა,** ერთი შეხედვით, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და თავისი გუნდი, მოედანზე ფაქტობრივად... ცენტრფორვარდის გარეშე გამოიყვანა. უფრო ზუსტად, ორი საყრდენის (**ლუკა რაზმაძე, გივი კვარაცხელია**) წინ **ირაკლი მაისურაძისა** და **გიორგი მიქაბერიძის** „დუეტი“ მოქმედებდა, რომლებსაც ფლანგებიდან **რევაზ გეწაძე** და **ირაკლი მოდებაძე** ეხმარებოდნენ. მეორე ტაიმში **დიმიტრი ტატანაშვილის** მოედანზე გამოჩენით „მეტალურგი“ 4-3-3-ზე გადავიდა, მაგრამ საქმეს ვერც ამ ტაქტიკურმა ცვლილებამ უშველა — მასპინძლები უნარიანად აკონტროლებდნენ თამაშს და, როგორც მიმოხილვის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. არადა, პირველი ტაიმის უმეტესი დრო სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და „მეტალურგს“... პირველ წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა: ეფექტურ კომბინაციაში ლამის ნახევარმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ირაკლი მაისურაძის დარტყმა **კონსტანტინე სეფიაშვილმა** მოიგერია. „გაგრას“ 25 წლის მეკარემ, საერთოდაც, მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა და პირველ ტაიმში ჯერ რევაზ გეწაძის შესრულებული საჯარიმო დარტყმა მოიგერია, მეორე ტაიმში კი **ალექსანდრე კვახაძის** შორეულ „გასროლაზეც“ დროული რეაქცია მოახდინა, თუმცა, ისევ პირველ ტაიმს დავუბრუნდეთ, ერთი შეხედვით, სტუმართა დომინირებით რომ მიმდინარეობდა, მაგრამ მასპინძლებმა პირველივე შანსით იხეირეს. თანაც, გოლსაც ხომ გააჩნია: **ლევან შარიქაძემ** დაახლოებით 30-35 მეტრიდან ისე ეფექტურად შეასრულა საჯარიმო, რუსთაველთა ქომაგებიც რომ ვერ დარჩნენ გულგრილნი! ჰო, მართლაც საამო საცქერი იყო, 22 წლის ნახევარმცველმა თუ როგორ „ჩასვა“ ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში“; ეგ კი არა, ერთ წუთში „გაგრამ“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა **შალვა კვანტალიანზე** თამაშგარე დააფიქსირა.

მეორე ტაიმი პირველთან შედარებით ნაკლებად საინტერესო გამოდგა, თუმცა კი ყველა ელოდა, რომ „მეტალურგი“ მეტოქის კართან შტურს მოაწყობდა; მსგავსი არაფერი მომხდარა: სტუმრები ძალიან ქაოსურად უტევდნენ და მეტ-ნაკლებად ხეირიან თუ გააზრებულ კომბინაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარკი. აი „გაგრამ“ კი თავისი პირველივე კონტრშეტევა... გოლით დაასრულა: თავი შეცვლაზე შემოსულმა უკრაინელმა ლეგიონერმა **ვლადიმერ ორდინსკიმ** გამოიჩინა. აი, ამის მერე კი მასპინძლები ბევრად უფრო ლაღად ათამაშდნენ და დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება, მაგრამ შალვა კვანტალიანსა და **ნიკოლოზ ჯიშკარიანს** მიზანმა უმტყუნათ, ხოლო **ირაკლი ხუციძის** დარტყმა **ზურაბ ბათიაშვილმა** მოიგერია.

გია ტუხაშვილი

● მზადება ევროპის ლიგისთვის

დინამოს გუნდშემაჯკივრის იმედი აქვს

ზურაბ პოლოლიკაშვილი: იმედია, ზესტაფონთან მატჩიც გადაიდება

"დინამოს" გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** ფიქრობს, რომ გუნდს ბერძნულ აეკ-თან ევროპის ლიგის პლეი ოფში გამარჯვების შანსი აქვს.

"ძალიან ძნელი მეტოქე გვერგო, ათენის სტადიონზე თამაში კი დაძაბულობას აორმაგებდა. ვფიქრობ, ღირსეულად ვითამაშეთ, თუმცა დასანანი გოლი გავუშვით. აეკ-ზე ნაკლები გუნდი არ ვართ და ამ ბარიერის გადალახვა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა შეუძლებელი არ არის.

ბევრი იქნება დამოკიდებული გულშემატკივრებზე. 25 აგვისტოს ისეთი შეხვედრა გველის, წარმოუდგენელია, მაყურებელი არ მოვიდეს. ჩვენ მათი იმედი გვაქვს.

ორშაბათიდან მაყურებლის მოსაზიდად ბევრ აქციას ვგეგმავთ, ჩვენს ქომაგებს კი მოვუწოდებთ, რომ თამაშზე ლურჯი და თეთრი მაისურებით მოვიდნენ, მერწმუნეთ, ეს ბიჭებს ძალიან გაამხნევებს, მათ ხომ თანადგომა სჭირდებათ. სნორედ ამიტომაც არ გავზრდით ბილეთების ფასს, რომლებიც 3,5 და 7 ლარი ეღირება," – ამბობს პოლოლიკაშვილი.

გუშინ ქუთაისში "ტორპედოს" და თბილისის "დინამოს" შეხვედრა არ გამართულა — მესამე ტურის მთავარი მატჩი გასაგებ მიზეზთა გამო გადაიდო: ხუთშაბათს „დინამომ“ ათენში ითამაშა აეკ-თან, თბილისში პარასკევს დაბრუნდა და გუნდს პრინციპულ მეტოქესთან მოსამზადებლად ერთი დღე რჩებოდა.

პოლოლიკაშვილი ამბობს, რომ ფედერაციამ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო: *"ათენში ურთულესი შეხვედრა გავმართეთ. ბერძნები უხეშობდნენ და რამდენიმე მოთამაშე დაგვიშავდა, თან ბიჭებს ძალების აღდგენა სჭირდებოდათ და მადლობა ფეხბურთის ფედერაციას და ქუთაისის "ტორპედოს", ჩვენი მდგომარეობა რომ გაითვალისწინეს. ეს ჩვენთვის დიდი თანადგომაა.*

ევროთასებზე მოსაპარეზე "ზესტაფონიც" მსგავს მდგომარეობაშია და ჩემპიონატის მატჩი გორის "დილასთან" მასაც გადაუდეს. ცხადია, ესეც ლოგიკურია და ქართული ფეხბურთის ინტერესებს ემსახურება, რადგან ორივეს გასვლა გვსურს, რაც სასიკეთოდ აისახება ქართული ფეხბურთის იმიჯსა და რეიტინგზე".

თუმცა ჯერ უცნობია, გადაიდება თუ არა 28 აგვისტოს თბილისური მატჩი "დინამოსა" და "ზესტაფონს" შორის. 25 აგვისტოს ორივეს ევროპის ლიგის განმეორებითი შეხვედრა აქვს სათამაშო, "დინამო" ეროვნულ სტადიონზე აეკ-ს უმასპინძლებს, "ზესტაფონი" კი ბელგიაში "ბრიუგეს" დაუპირისპირდება, ანუ კვლავ მსგავსი სიტუაცია იქმნება - თუ "დინამოს" ორდღიანი დასვენების საშუალება ექნება, "ზესტაფონს" მხოლოდ ერთი დღე რჩება

"ერთი დღით მეტი დასვენება ჩვენ გვანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ამით სარგებლობა არ გვსურს. მჯერა, ფედერაცია ამჯერადაც გაითვალისწინებს ქართული კლუბების ინტერესებს, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გადადებს და მოთამაშეები კარგ საფარზე, სათანადო ფიზიკური და მორალური კონდიციებით ითამაშებენ" – ამბობს პოლოლიკაშვილი.

მერაბ მამულაშვილი



ზურაბ პოლოლიკაშვილი

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გოლები		ქ
						გატ	გაშ	
1	გაგრა	3	3	0	0	8	1	9
2	გაია	3	2	0	1	5	2	6
3	დინამო	2	2	0	0	4	1	6
4	ზესტაფონი	2	1	1	0	3	2	4
5	მეტალურგი	3	1	1	1	2	2	4
6	ვიტ ჯორჯია	3	1	1	1	4	5	4
7	მერანი	3	1	1	1	2	3	4
8	ტორპედო	2	1	0	1	2	2	3
9	კოლხეთი	3	0	2	1	1	3	2
10	სპარტაკი	3	0	1	2	1	4	1
11	სიონი	3	0	1	2	1	6	1
12	დილა	2	0	0	2	3	5	0

ტორპედო-დინამო გადაიდო

ზესტაფონი-დილა გადაიდო

IV ტური

27 აგვისტო, შაბათი

სიონი-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-სპარტაკი
გაია-გაგრა
კოლხეთი-დილა
მერანი-ტორპედო

28 აგვისტო, კვირა

დინამო-ზესტაფონი *Live*

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **lelo1td@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მეგრული დერბი

21.08. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 700 მაყურებელი

ბაია	2
კოლხეთი	0

1:0 შავგულიძე (2. საკ. კარში), 2:0 ენდელაძე (85. რიგვავას პასით)

ბაია 4-2-3-1	კოლხეთი 4-2-3-1
სომხიშვილი	ნადირაშვილი
რიგვავა	ცხვიტარია
აფაქიძე	ინწკირველი
მგელაძე	ლომაშვილი
სვირავა	შავგულიძე
ნ. შონია	ცხადაია
ლომია	გვალია
ეხვაია	მდივნიშვილი
გუგუჩია	ქებაძე
წურწუმია	ჯანაშია
ქობალია	ციცხვაია
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ე. ქომეთიანი	ს. ფილია

ბაია

55. ეხვაია - **სიხარულია**
62. ლომია - **კანკია**
75. გუგუჩია - **ენდელაძე**
სათადარიგოები: მაქაცარია, პაჭკორია, გერგედავა, გუჯეჯიანი

კოლხეთი

75. ჯანაშია - **გულუა**
75. შავგულიძე – **ნიქარიშვილი**
სათადარიგოები: ბობლიაშვილი, კაკულია, ბარამიძე, კილასონია, მოისწრაფიშვილი

გაფრთხილება: **ქობალია (16), ეხვაია (37), შონია (59), ენდელაძე (81)**
არბიტრი: **ო. ხეცაძე**

მეგრული დერბი ყოველთვის დაძაბულია და გამონაკლისი არც ეს მატჩი ყოფილა. თანაც, კიდევ ერთხელ ვიხილეთ მოქმედებაში დაუწერელი საფეხბურთო კანონი - არ გაიტან, გაგიტანენ.

მატჩი ფოთელებისთვის თავიდანვე უიღბლოდ დაიწყო – მე-2 წუთზევე **შოთა ლომიას** მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი **ლევან შავგულიძემ** საკუთარ კარში ჩაჭრა – 1:0.

მე-11 წუთზე **ირაკლი ეხვაიამ** მეკარესთან პირისპირ დატოვა **ირაკლი ქობალია,** მაგრამ მან კოლხთა კიპერ **ლადო ნადირაშვილს** ვერ აჯობა.

26-ე წუთზე ეხვაიამ თავად სცადა ბედი, კარისკენ ზურგით მდგომი უეცრად შემოტრიალდა და სახიფათოდ დაარტყა.

პასიური "კოლხეთი" პირველი ტაიმის ბოლოს გამოცოცხლდა – სახიფათო გამოდგა **გიორგი ცხადაიას** დარტყმა. სტუმრებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს, მაგრამ მასპინძლებს ვერაფერი დააკლეს.

სოსო ფილიას შეგირდები მეორე ტაიმში მოედანზე სულ სხვა განწყობით გავიდნენ და სახიფათო მომენტებსაც ხშირად ქმნიდნენ: ჯერ **ლაშა გვალიამ** გაიყვანა **ლევან ქებაძე** დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მას მცველები ჩაუწვნენ და მომენტი განმუხტეს. 52-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ბურთი შავგულიძემ ჩააწოდა, მეკარე **გიორგი სომხიშვილი** გამოსვლაზე შეცდა, თუმცა კარის წინ მარტო დარჩენილმა **დავით ციცხვაიამ** ბურთი კარს ააცილა!

53-ე წუთზე გვალიამ შეუტია – ბურთი კარს სანტიმეტრებით ასცდა. იგივე მოხდა ორიოდე წუთში, როდესაც საჯარიმო შავგულიძემ შეასრულა.

ფილია ვა-ბანკზე წავიდა და თამაშის გადასარჩენად სამ მცველზე გადააწყო გუნდი, "კოლხეთი" კვლავ უტევდა და ფოთელებს ანგარიშის გათანაბრების მშვენიერი შანსიც მიეცათ – 62-ე წუთზე "ბაიას" კარს **ლევან მდივნიშვილი** დაემუქრა, ბურთი სომხიშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი **ზამირ ჯანაშია ლაშა სვირავამ** წააქცია და არბიტრმა **ოთარ ხეცაძემ** უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. მდივნიშვილს სომხიშვილმა ამჯერადაც აჯობა, თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოიგერია, რამაც მასპინძლებს მეორე სუნთქვა გაუხსნა.

71-ე წუთზე **ირაკლი ქობალიას** მშვენიერი გადაცემით **ლევან წურწუმია** დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა ბურთი კარს ააცილა. უშედეგო გამოდგა შეცვლაზე შესული **ზვიად სიხარულიას** ძლიერი დარტყმაც.

გამოცდილმა მოთამაშეებმა რომ ვერაფერი გააწყეს, დებიუტანტმა იყოჩაღა: ქობალიამ ბურთი **ვაჟა ლომაშვილს** აართვა და **დათა რიგვავას** გადააწოდა, მან კი საჯარიმოში **ავთანდილ ენდელაძე** მოძებნა და ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთი გამორჩეული ბომბარდირის, **ზვიად ენდელაძის** ვაჟმა სადებიუტო გოლით "ბაიას" გამარჯვება დააფიქსირა.

მერაბ მამულაშვილი

ზუხბაიას ქულა

21.08. საგურამო. სპორტკომპლექსი

სპარტაკი	0
სიონი	0

სპარტაკი 4-3-3	სიონი 5-4-1
ძაგანია	ზუხბაია
ციმაკურიძე	კოზაური
დ. ლომაია	სვანიძე
გოიომო	თარგამაძე
ნ. მაისურაძე	გ. ოქროპირიძე
ხუბუა	ადამაშვილი
თ. შონია	უგრეხელიძე
ვ. კილასონია	გაბრიჭიძე
შალამბერიძე	ვ. ბოლქვაძე
ჯიქია	ლ. ჩხეტიანი
მეტრეველი	რეხვიაშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ბ. კვარაცხელია	ვ. ჩაგელიშვილი

სპარტაკი

46. მაისურაძე - **სამხარაძე**
65. შალამბერიძე - **ქანთარია**
სათადარიგოები: დაუშვილი, დ. გელაშვილი, კაკაშვილი, ბურძენაძე, გ. სეფიაშვილი

სიონი

46. ადამაშვილი - **კოზერიძე**
70. ქუცურუა - **ბოლქვაძე**
78. რეხვიაშვილი - **ისიანი**
სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, მ. ოქროპირიძე, ხურციძე, ალფაიძე

გაფრთხილება: **გაბრიჭიძე (32), ციმაკურიძე (45), ჩხეტიანი (45), რეხვიაშვილი (50), ზუხბაია (89)**
გაძევება: **ჩხეტიანი (90)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია (თბილისი)**

"სპარტაკიცა" და "სიონიც" მესამე ტურს ნული ქულით შეხვდნენ, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საგურამოში გამართულ მატჩში ორივეს მიზანი გამარჯვება იყო. "სიონში" არსებული ცნობილი პრობლემების გამო შეხვედრის ფავორიტი "სპარტაკი" იყო, მაგრამ, თვალსაჩინო უპირატესობის მიუხედავად, **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა არაერთი ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა და ქულას დასჯერდა.

შესანიშნავად ითამაშა სტუმართა მეკარე **ვლადიმერ ზუხბაიამ**, რომელმაც რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და ბოლნისელთა არწაგებაში ლომის წილი დაიდო.

"სიონს" გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობა მხოლოდ მატჩის დებიუტში მიეცა – მეკარესთან პირისპირ გასული **რეხვიაშვილი** კიპერს გასცდა, მაგრამ თავგანწირულად ითამაშა "სპარტაკის" ახალწვეულმა **დავით ლომაიამ** და მეტოქეს კარში არ დაარტყმევინა.

ამის შემდეგ კი მოედანზე "სპარტაკი" დომინირებდა. მე-15 წუთზე **შალამბერიძის** დარტყმა ზუხბაიამ მოიგერია, 27-ეზე **ჯიქიას** თავური ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა, 36-ეზე კი "სიონის" მეკარემ ერთ ეპიზოდში ჯერ **ჯიქიას,** შემდეგ კი **მეტრეველს** არ გაატანინა.

55-ე წუთზე ზუხბაიამ **სამხარაძეს** აჯობა, შეხვედრის მიწურულს **ხუბუასა** და "სპარტაკის" კიდევ ერთ ახალწვეულს, **ქანთარიას** არ მისცა გატანის საშუალება.

მოკლედ, ორივე გუნდმა პირველი ქულა მოიპოვა, მაგრამ ამ შედეგით სპარტაკელები უფრო იმედგაცრუებულნი უნდა იყვნენ.

ნიკა გვათუა
საგურამო-თბილისი

● რეგიონი



ხონში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა უმჯობესდება

საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა რთულია არა მარტო რეგიონებში, არამედ უფრო მაღალ დონეზეც, პრობლემური ვითარების გამოსწორება მხოლოდ ადგილობრივი ძალებით, სპეციალისტებით, მით უმეტეს, თანამედროვე ტექნიკის უქონლობის პირობებში კი თითქმის შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ხონის საფეხბურთო კლუბი პირველ ლიგაში გადავიდა, დღის წესრიგში დადგა სტადიონის კეთილმოწყობის საკითხი, რომელიც ეტაპობრივად გადაიჭრა ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით, თუმცა ბოლომდე ვერ მოხერხდა ბუნებრივსაფრიანი მოედნის ხარისხის გაუმჯობესება, რის გამოც „იმერეთს" უარი ეთქვა საქართველოს თასის მიმდინარე გათამაშებაში მონაწილეობაზე. ამჟამად ეს საკითხიც მოგვარებულია საქმისადმი იმ მიდგომის წყალობით, რომელიც აირჩია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. მისი პრეზიდენტის - **ზვიად სიჭინავას** ინიციატივით, უცხოური სპეცტექნიკით, იტალიური მრავალფუნქციური მანქანა „პერუცის" დახმარებით, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტის **გიორგი კობრავას** მართვით ერთდროულად აკეთებდა მინდორზე რამდენიმე ოპერაციას, ხონში საფრის ვარგისიანობა მოწესრიგდა და „იმერეთი", რომელიც წინა საფეხბურთო სეზონში არაერთ საშინაო მატჩს მეზობელ მარტვილში ატარებდა, 29 აგვისტოს თავის მოედანზე მიიღებს ლანჩხუთის „გურიას".

ამავდროულად, ხონის საფეხბურთო საზოგადოების სურვილია, ქალაქის ცენტრალურ სტადიონს მიენიჭოს ლეგენდარული ქართველი კომიკოსის, ხონში დაბადებულ-გაზრდილი **იპოლიტე ხვიჩიას** სახელი, რომელიც საფეხბურთო როლების განუმეორებელი შემსრულებელი გახლდათ. იმედია, შესაბამისი სტრუქტურები ამ თხოვნას დააკმაყოფილებენ.

დემურ ტორაძე
„ლელოს" ვეტერანი კორესპონდენტი
ხონი

მერანი მხოლოდ სახლის გუნდი არ არის

21.08. მცხეთა. მცხეთა პარკი. 300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია	0
მერანი	0

ვიტ ჯორჯია 4-4-2	მერანი 4-4-2
ძაძამია	შეროზია
ხურცილავა	კაკუშაძე
ადამაძე	იოგაშვილი
კასრაძე	ჟვანია
ლანიაშვილი	სუხიაშვილი
ვასაძე	ამბროლაძე
გიო. გურეშიძე	ე. გრიგალაშვილი
გურ. გურეშიძე	დიდავა
ჯანელიძე	მანწკავა
სიხარულიძე	ლ. ჩალაძე
ჩიმაკაძე	ტაპე
მწვრთნელი	მწვრთნელი
ზ. ბერიძე	მ. ჟვანია

ვიტ ჯორჯია

52. სიხარულიძე – **ვაშაკიძე**
62. გიორგი გურეშიძე – **კორიფაძე**
89. ჩიმაკაძე – **მაისაშვილი**
სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გოგიაშვილი, ოთარიშვილი, ხუჭუა

მერანი

68. ამბროლაძე – **სამადაშვილი**
72. მანწკავა – **მემარნიშვილი**
81. ტაპე – **ჭაფოძე**
სათადარიგოები: გ. შენგელია, თ. შალიკაშვილი, ქამუშაძე, ტორაძე

გაფრთხილება: კაკუშაძე (9), გურამ გურეშიძე (13), მანწკავა (32)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

იშვიათად, რომ 0:0-ის შემდეგ ვთქვათ, საინტერესო თამაში ვნახეთო, მაგრამ მცხეთაში გუშინ გამართული მატჩი მაინც განსაკუთრებით მოსაწყენი გამოდგა. გამარჯვება, ბუნებრივია, ორივე გუნდს სურდა, თუმცა სტუმრებისთვის ფრეც მისაღები შედეგი იყო და "მერანმა" ამოცანა წარმატებით გადაჭრა, "ვიტ ჯორჯიას" კი, მცირე უპირატესობის მიუხედავად, გამარჯვება ნამდვილად არ დაუმსახურებია და სტუმარ-მასპინძელმა აქტივს თითო ქულა შემატა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტებიც თამამად უტევდნენ, მეორე ნახევარში კი ვიტელთა უკეთესი ფიზიკური მომზადება გამოჩნდა და "მერანმაც" შეგნებულად აირჩია მეორე ნომრად თამაში.

მატჩი უსახური კი იყო, თუმცა რამდენიმე ეპიზოდი გასახსენებლად მაინც ღირს. მე-14 წუთზე **გიგა ჟვანიას** მიერ შესრულებული ჯარიმა მიზანს ოდნავ ასცდა, ხუთ წუთში კი მარტვილელთა მეკარე **ჯონი შეროზიამ გიორგი ვასაძის** თავური ეფექტური ნახტომით მოიგერია.

შესვენებამდე საინტერესო სულ ეს იყო, მეორე ტაიმში კი მიზანთან ახლოს ორჯერ "ვიტ ჯორჯია" იყო და ერთხელ – "მერანი". **ბესიკ ჩიმაკაძის** დარტყმულს შეროზიამ ხელები უხერხულად დაუხვედრა და კინაღამ კურიოზული გოლი გაუშვა, ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფმა **გიორგი ვაშაკიძემ** მიზანს ააცილა, ჟვანიამ კი ბურთი მასპინძელთა კარის ბადეს გარედან მოარტყა.

აღსანიშნავია, რომ "ვიტ ჯორჯიამ" არა ჩვეული 4-2-3-1-ით, არამედ 4-4-2 ტაქტიკით ითამაშა, თუმცა მეორე ტაიმში განხორციელებული შეცვლების შემდეგ კვლავ ძველ განლაგებას დაუბრუნდა.

მატჩის შემდეგ

ზურაბ ბერიძე ("ვიტ ჯორჯია"): "*მეტოქემ სწორი ტაქტიკით ითამაშა, აქცენტი დაცვაზე გააკეთა და მიზანსაც მიაღწია. ჩვენ კი თამაშის ხარისხის გაუმჯობესება გვმართებს*".

არჩილ ჩხაბერიძე ("მერანი"): "*სტუმრად მოპოვებული ფრე ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგია. ორივე გუნდმა ბევრი იბრძოლა, მატჩის შედეგი კი კანონზომიერად მიმაჩნია*".

ლევან ჯანეზაშვილი
მცხეთა-თბილისი

● ლეგიონი

კალაძის სუპერსტარტი

კობახიძეს დიდხანს ველოდით, კვერკველიამ სპურტით დაიწყო

როდესაც ლეგიონის უქმეებზე ვწერთ, თითქმის ყოველთვის გვიხდება დაზუსტება, რადგან ერთი-ორი ისეთი მატჩიც გამოერევა ხოლმე, რომლებიც პარასკევ საღამოს იმართება. ასე იყო ამჯერადაც, ამიტომ პირველმა თანამემამულეებს შორის თავი **ალექსანდრე კობახიძემ** გამოიჩინა, მის გაბრწყინებას დიდი ხანი ველოდით და ეს დრო უკრაინის ჩემპიონატის მე-7 ტურში დადგა. სხვა მხრივ, ლეგიონის ამ მიმოხილვაში ყველაზე საინტერესო **კახა კალაძის** მიერ სეზონის ტრიუმფული დასაწყისია, გამოვყოფთ **საბა კვერკველიას** სადებიუტო გოლსაც რუსეთის ჩემპიონატში, სადაც ჩვენთვის საინტერესო ახალი სახე გამოჩნდა - ამერიკის მოქალაქე, რომელიც საქართველოს ნაკრებში თამამშზე უარს არ იტყვის.

ბარემ საგოლე პასებზეც ვთქვათ, ამით თავი **გუჯა რუხაიამ** (ნალჩიკი) და **გიორგი მერებაშვილმა** (ვოივოდინა) გამოიჩინეს. შედარებით სუსტ ლიგებში გოლები გაიტანეს **შოთა ჯიქიამ** და **გიორგი კრასოვსკიმ** („ულისი“, „არარატის“ კარში), აზერბაიჯანში სეზონის პირველი გოლი **გიორგი ადამიამ** (ყარაბახი) შეაგდო („ქიაფაზის“ კარში), ლატვიაში გაიტანა **ნუკრი გოგოხიამ** (გულბენე), ლიტვაში - **თომა ტაბატაძემ** (კრუოია), **ლევან კუტალიამ** კი ბოსნიაში (ზრინსკი) სეზონის პირველი გოლი გაიტანა.

კახა კალაძეს გოლს ულოცავენ



ზურაბ ცისკარიძე



საბა კვერკველია

ჯაბა ლიპარტია (№10)

კახა კალაძემ სეზონი დიდებულად დაიწყო - იტალიის თასის მე-3 რაუნდში „ჯენოამ“ ქართველი მცველის ბრწყინვალე გოლის წყალობით დაძლია „ნოჩერინას“ წინააღმდეგობა - 4:3 და მე-4 რაუნდში გააღწია. ის-ის იყო, თამაში დამატებითი ტაიმებით უნდა გაგრძელებულიყო, რომ კალაძემ „ჯენოას“ ხანგრძლივი შტურმი ლამაზი თავურით დაასრულა. სხვათა შორის, მატჩის შემდეგ „ნოჩერინას“ მწვრთნელი აპროტესტებდა, კალაძის გოლამდე მსაჯმა აშკარა თამაშგარე „გაატარაო“. ასეა თუ ისე, თამაშის ბოლო წუთზე კახა მარცხნიდან ჩაწოდებულს შესწვდა და გენუელებს თრილერი მოაგებინა. იმავე დღეს სერია B-ს „ემპოლიმ“ თასიდან გენუის მეორე გუნდი, „სამპდორია“ გააძევა - 2:1. ამ შეხვედრაში ბოლო წუთები ითამაშა მასპინძელთა 18 წლის ფორვარდმა **ირაკლი შეყიოლაძემ, ლევან მჭედლიძე** კი ტრავმირებულია.

„ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ და დამსახურებულად გავედით შემდეგ ეტაპზე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, უნდა მოვუმატოთ. რაც შეეხება ჯილარდინოს სავარაუდო დამატებას, მე მის გადმოსვლას მივესალმები, ერთად გვითამაშია და ჯილა ნამდვილი პროფესიონალია“, - განაცხადა კალაძემ თამაშის შემდეგ. „ილ ჯორნალემ“ კახას თამაში 9 ბალით შეაფასა: *„კალაძე გუნდის ნამდვილი ლიდერია“*, - ვკითხულობთ ამ გამოცემაში.

გერმანიაში სტუმრად მოიპოვა ქულა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“, რომელიც „ჰანოვერს“ დაუზავდა - 1:1. მეორე ბუნდესლიგაში დამარცხდა **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ („ენერგისთან“ - 0:2), ჩვენებურებმა კი „შპორტალისგან“ 3,5 (კობიაშვილი) და 4,5 (იაშვილი) ბალი მიიღეს.

სულ რაღაც 4 პრემიერლიგური მატჩი დასჭირდა 19 წლის საბა კვერკველიას, რათა პროფესიულ კარიერაში პირველი გოლი გაეტანა. ცენტრალურმა მცველმა ეს ლამაზი თავურით გააკეთა, რომელიც კუთხურს მოჰყვა. სხვათა შორის, „რუბინმა“ საბას წყალობით მარცხი აიცილა, გოლი 84-ე წუთზე გავიდა - 1:1. ჩვენს ცხრილში კი მატებაა - დავამატეთ „ამკარის“ 24 წლის ახალწვეული **ზურაბ ცისკარიძე**. მართალია, ის ამერიკის მოქალაქეა, მაგრამ პერმელთა დებიუტანტი რუსულ მედიას უმტკიცებს, რომ ქართველია და საქართველოს ნაკრებში თამაშის პერსპექტივას განიხილავს. „ჩემპიონატმა“ კვერკველიას 5,5 ბალი დაუწერა, ცისკარიძეს - 5.

„ნამდვილი ბრძოლა იყო, ძნელია ასეთ შეხვედრაში ჩართვა. ზოგიერთ მომენტში უკეთ თამაშიც შემეძლო, მაგრამ მე ხომ ახალი ჩამოსული ვარ, ამერიკაში კი ახლა დილის 8 საათია, აკლიმატიზაცია ვერ მოვასწარი“, - განუცხადა „ამკარის“ ოფიციალურ საიტს ცისკარიძემ.

რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე ქართული გუნდის, „ვოლგას“ საქმეები ცუდად მიდის, ნიჟნინოვგოროდელები ცუდ ფორმაში არიან, გუშინ მათ 0:5 წააგეს „ყუბანთან“. მართალია, „ვოლგა“ ჯერ ჯერობით არ არის გასავარდნ ზონაში, მაგრამ თუ ქართული სექსტეტის გუნდი ასე გააგრძელებს, მას დიდი საფრთხე ელის.

24 წლის ცაცია ნახევარმცველი სანდრო კობახიძე უკვე სამწელიწადნახევარია უკრაინაშია, მაგრამ მისი კარიერა „დნიპროში“ ვერ აეწყო და ივჯარით ჯერ „კრივბასში“ თამაშობდა, ახლა კი კიევის „არსენალშია“. და აი, პირველად ისე ითამაშა, რომ უკრაინაში ტურის საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატია. ჩვენებურმა ორჯერ გაიტანა „ზარიას“ კარში (რომლის რიგებშიც 90 წუთი **ჯაბა ლიპარტიამ** ითამაშა) და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. მე-16 წუთზე სანდრო მეკარესთან პირისპირ გავიდა და კარგადაც დაარტყა, 53-ე წუთზე მან ბურთი უხერხულ მდგომარეობაში მიიღო, მაგრამ კარგად შემოტრიალდა და შორეულ „ცხრიანში“ გაიტანა, 62-ე წუთზე ჩვენებურმა მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და იქიდან ზუსტად ჩააწოდა **კოვპაკს** - 0:3. გეტყვით რომ, რაც კობახიძე უკრაინაშია, ეს მისი პირველი გოლებია ჩემპიონატში. და კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც მთლიანად უკრაინის ქართული ლეგიონის პროგრესზე მიუთითებს: შარშან ჩვენებურებმა ერთი გოლიც ვერ შეაგდეს, წლეულს კი 7 ტურია მხოლოდ გასული და უკვე 5 გოლს ვითვლით.

მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ „ოლექსანდრიას“ შემტევი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** ერთ-ერთი საუკეთესო იყო „ობოლონთან“ 1:0-ით დასრულებულ მატჩში, 90 წუთის განმავლობაში **ვიტალი რევას** 4-ჯერ მოუხდა ქართველის დარტყმის მოგერიება.

პოლონეთის ჩემპიონატში მოთამაშე **ნიკა ძალამიძემ** ამ ტურში თავი იმით გამოიჩინა, რომ „ვიძევს“ პენალტი მოუპოვა, მაგრამ თანაგუნდელმა ნიკას გარჯა წყალში ჩაუყარა, პენალტი კარს ააცილა, თუმცა „ვიძევმა“ სტუმარ „პოლონიას“ მაინც მოუგო - 1:0.

აზერბაიჯანში სკანდალით დასრულდა მორიგი ტური - ქართველთა „ინტერისა“ და „ბაქის“ თამაში ჩაიშალა, **კახა ცხადაძის** გუნდი მოედნიდან მისსავე პრეზიდენტმა გაიყვანა მას შემდეგ, რაც **გიორგი ლომაიას** კარში მეორე პენალტი დაინიშნა (პირველი ნაკრების ექსგოლკიპერმა აიღო), თუმცა ამის შესახებ ხვალ მოგითხრობთ...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ფეხბურთელი	ას.	კლუბი	მეტოქე	ანგ.	შენიშვნა	ლეგ.
გერმანია. I ბუნდესლიგა. III ტური						
ლევან კობიაშვილი	34	ჰერტა	ჰანოვერი	1:1 (ბ)	90 წუთი	3 თ
გერმანია. II ბუნდესლიგა. V ტური						
ალექსანდრე იაშვილი	33	კარლსრუე	ენერგი	0:2 (ბ)	90 წთ, გააფრ.	5 თ, 2 ბ.
იტალია. თასი						
კახა კალაძე	33	ჯენოა	ნოჩერინა	4:3 (შ)	90 წუთი, 1 გოლი	0 თ
ლევან მჭედლიძე	21	ემპოლი	სამპდორია	2:1 (შ)	ტრავმა	0 თ
ირაკლი შეყილაძე	18	ემპოლი	სამპდორია	2:1 (შ)	4 წთ (შეცვლაზე)	0 თ
საფრანგეთი. ლიგა 2. IV ტური						
გიორგი მაკარიძე	21	ლე მანი	სედანი	3:1 (შ)	სათადარიგო	1 თ
ამირან სანაია	21	ბასტია	ლე ავრი	0:2 (ბ)	1 წთ (შეცვლაზე)	1 თ
რუსეთი. პრემიერლიგა. XXI ტური						
საბა კვერკველია	19	რუბინი	ამკარი	1:1 (ბ)	90 წუთი, 1 გოლი	4 თ 1 ბ
ჯანო ანანიძე	19	სპარტაკი	ნალჩიკი	1:1 (ბ)	სათადარიგო	9 თ, 1 ბ
ნუკრი რევიშვილი	24	ანჟი	დინამო	2:1 (შ)	90 წუთი	19 თ
ოთარ მარცვალაძე	27	კრასნოდ.	ლოკომოტ.	0:1 (ბ)	20 წთ (შეცვლაზე)	16 თ, 6 ბ
ალექს. ამისულაშვილი	28	კრასნოდ.	ლოკომოტ.	0:1 (ბ)	90 წთ, გააფ.	17 თ
ლევან გვაზავა	31	ტერეკი	როსტოვი	1:1 (შ)	არ უთამაშია, ტრავმა	13 თ
გია გრიგალავა	21	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	90 წთ, გააფ.	17 თ
ლაშა სალუქვაძე	29	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	არ უთამაშია	15 თ, 1 ბ
გოჩა ხოჯავა	26	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	90 წუთი	10 თ, 2 ბ
მათე ვაწაძე	22	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	90 წუთი	14 თ, 1 ბ
გოგიტა გოგუა	27	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	არ უთამაშია	12 თ
ზურაბ არზიანი	23	ვოლგა	ყუბანი	0:5 (ბ)	90 წთ, გააფ.	2 თ
დავით სირაძე	29	ნალჩიკი	სპარტაკი	1:1 (შ)	65 წთ (შეცვალეს)	16 თ, 2 ბ
გუჯა რუხაია	24	ნალჩიკი	სპარტაკი	1:1 (შ)	61 წთ (შეცვალეს), 1 პასი	3 თ
ზურაბ ცისკარიძე	24	ამკარი	რუბინი	1:1 (შ)	36 წთ (შეცვლაზე)	1 თ
რუსეთი. I დივიზიონი. XXII ტური.						
გიორგი ნავალოვსკი	25	ხიმკი	ურალი	2:5 (ბ)	90 წუთი	19 თ
უკრაინა. პრემიერლიგა. VII ტური						
უჩა ლობჟანიძე	24	კრივბასი	დინამო	0:1 (ბ)	90 წუთი	6 თ
ჯაბა კანკავა	25	კრივბასი	დინამო	0:1 (ბ)	90 წუთი	6 თ
ალექსანდრე კობახიძე	24	არსენალი	ზარია	3:0 (ბ)	90 წთ, 2 გოლი, 1 პასი	7 თ, 2 ბ
ვასილ გიგიაძე	34	ტავრია	კარპატი	1:1 (შ)	სათადარიგო	1 თ
ბექა გოცირიძე	22	დნიპრო	ვორსკლა	0:0 (ბ)	არ უთამაშია	0 თ
თორნიკე ოქრიაშვილი	19	ილიჩივეცი	შახტარი	0:3 (ბ)	33 წთ (შეცვლაზე), გააფრთხ.	2 თ
ჯაბა ლიპარტია	23	ზარია	არსენალი	0:3 (ბ)	90 წუთი	7 თ, 1 ბ
დავით თარგამაძე	21	ალექსანდ.	ობოლონი	1:0 (შ)	90 წუთი	7 თ, 2 ბ
ალექსანდრე გურული	25	კარპატი	ტავრია	1:1 (ბ)	არ უთამაშია	1 თ
ჰოლანდია. ერედივიზიონ. III ტური						
გურამ კაშია	24	ვიტესი	უტრეხტი	2:1 (შ)	90 წუთი	3 თ
გიორგი ჭანტურია	18	ვიტესი	უტრეხტი	2:1 (შ)	90 წუთი	3 თ 1 ბ
ვალერი ყაზაიშვილი	18	ვიტესი	უტრეხტი	2:1 (შ)	არ უთამაშია	0 თ
ავსტრია. ბუნდესლიგა. V ტური						
გიორგი ფოფხაძე	24	შტურმი	ზალცბურგი	1:1 (ბ)	90 წუთი	3 თ
ისრაელი. ლიგატ პაალი						
ლადო დვალიშვილი	25	მაქაბი ჰ.	ნეთანია	4:1 (ბ)	არ უთამაშია	0 თ
შვეიცარია. სუპერ ლიგა. VI ტური						
ირაკლი ჩირიკაშვილი	23	ქსამაქსი	ციურიხი	2:0 (ბ)	სათადარიგო	2 თ
დანია. სასლიგა. V ტური						
დავით დევდარიანი	23	ორჰუსი	ბრონდბიუ	0:0 (შ)	არ უთამაშია	0 თ
გიორგი დიასამიძე	19	ორჰუსი	ბრონდბიუ	0:0 (შ)	არ უთამაშია	0 თ
დავით სხირტლაძე	18	ორჰუსი	ბრონდბიუ	0:0 (შ)	არ უთამაშია	1 თ
რუმინეთი. ლიგა 1. IV ტური						
აკაკი ხუბუტია	25	გაზ მეთანი	ვოინტა		დღეს	2 თ
პოლონეთი. ექსტრაკლასა. IV ტური						
ნიკა ძალამიძე	19	ვიძევი	პოლონია	1:0 (შ)	90 წუთი, გააფ.	4 თ
სერბეთი. სუპერლიგა. I ტური						
გიორგი მერებაშვილი	24	ვოივოდინა	მეტალეცი	3:0 (ბ)	74 წთ (შეცვალეს), 1 პასი, გაფრთ.	2 თ
უნგრეთი. ნბ-1. VI ტური						
გიორგი განუბრავა	23	ლომბარდი	დებრეცენი	0:2 (შ)	90 წუთი	6 თ
ლაშა თოთაძე	22	ლომბარდი	დებრეცენი	0:2 (შ)	90 წუთი	6 თ
რატი ალექსიძე	33	დიორი	პაკში	2:1 (ბ)	75 წთ (შეცვალეს)	6 თ 1 ბ
ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXII ტური						
ირაკლი სირბილაძე	28	იარო	პონკა		დღეს	5 თ, 4 ბ
იაპონია. ჯეილიგა. XXII ტური						
დავით მუჯირი	33	პიროშიმა	კაშიმა	0:2 (ბ)	19 წთ (შეცვლაზე)	22 თ, 4 ბ
სამხ. აფრიკა. პსლ. II ტური						
გიორგი ნერგაძე	28	მოროკა	კაიზ. ჩიფსი	0:2 (შ)	90 წუთი	2 თ

● რომაული ამბები

პირველი ბზარი რომში

ტოტიმ ლუის ენრიკეს უკვე შეუტია

ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რომაულმა გუნდებმა რადიკალურად განსხვავებული შედეგი მიიღეს – "ლაციომ" "რაბოტნიჩკი" მიიღო საკუთარ მოედანზე და მეტოქეს ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა, "რომა" კი "სლოვანს" ესტუმრა და ბევრისთვის მოულოდნელად, მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. რაც მთავარია, "ჯალოროსიმ" ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და მოკრძალებული შესაძლებლობების მეტოქეს ვერც ერთ კომპონენტში ვერ აჯობა. "სლოვანთან" ჩატარებულმა შეხვედრამ ნათლად დაგვანახვა, რომ "რომა" ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გუნდია და **ლუის ენრიკეს** უზარმაზარი სამუშაოს შესრულება მოუწევს, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს. მით უმეტეს, უკვე იჩინა თავი იმ პრობლემამ, რაზეც იტალიურ პრესაში იმ დღიდან წერენ, რაც გუნდის სათავეში ესპანელი სპეციალისტი მივიდა. ლაპარაკია იმაზე, რომ **ფრანჩესკო ტოტის** და ლუის ენრიკეს საერთო ენის გამონახვა გაუჭირდებათ. ასეთი ვარაუდი კი იქიდან მომდინარეობს, რომ ესპანელი საკმაოდ ამბიციურია და გუნდის მთლიანად სათავისოდ გადაწყობას გეგმავს, თანაც ისე, რომ ფეხბურთელების აზრის გათვალისწინებას არ აპირებს – ეს თავად ენრიკემ განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და ამით, ნებით თუ უნებლიედ, ფრანჩესკო ტოტის ბოსტანში ისროლა კენჭი, რომელიც ყოველთვის ერეოდა გუნდის არათუ სუფთა სათამაშო ასპექტებში, არამედ სატრანსფერო პოლიტიკაშიც კი.

მართალია, სულ რამდენიმე დღის წინ ტოტიმ საჯაროდ განაცხადა, მთავარი მწვრთნელის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებო, მაგრამ "სლოვანთან" მატჩის შემდეგ სიტყვა გატეხა და შემდეგი განაცხადა: *"მწვრთნელმა მხოლოდ 15 წუთით მათამაშა, არადა, შესანიშნავ ფორმაში ვართ და ვგრძნობდი, რომ შემეძლო გუნდისთვის კარგი სამსახური გამეწია. სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა გული, რომ ენრიკეს არაფერი აუხსნია. საერთოდ, კარგი იქნება, თუ თითოეულ ასეთ გადაწყვეტილებას ახსნა მოჰყვება, რათა ვიცოდე, რა არ მოსწონს ჩემში მწვრთნელს და რა კომპონენტებზე მაქვს სამუშაო. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მის საქმეებში ჩარევას არ ვაპირებ, უბრალოდ, მსურს ყველაფერი ურთიერთპატივისცემის ფარგლებში მოხდეს. რაც შეეხება "სლოვანთან" შეხვედრას, მთლიანობაში უკმაყოფილო დავრჩი, რადგან დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით, შეტევაში კი ბევრი არაფერი შეგვიქმნია. ნათლად გამოჩნდა, რომ სასურველი ფორმისგან ძალიან შორს ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სე ზონის სტარტს კარგად მომზადებულნი ვერ ვხვდებით. ვისი ბრალია ეს? – როგორც ჩანს, საწვრთნელი პროცესი ისე არ დაიგეგმა, როგორც საჭირო იყო".*

ლუის ენრიკეს ტოტის მორჯულება გაუჭირდება

ტოტიმ ბრჭყალები გამოაჩინა და ლუის ენრიკეს აშკარად და დაუფარავად შეუტია. ესპანელი სპეციალისტი ჯერ-ჯერობით სიმშვიდეს ინარჩუნებს და შემდეგს აცხადებს: "ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ერთი მარცხისგან ტრაგედიის შექმნა ნამდვილად არ ღირს. ვნახეთ ის მინუსები, რომლებიც აღმოსაფხვრელია, თუმცა ის პლუსებიც კარგად გამოჩნდა, რომლებიც ჩვენს მთავარ კოზირად უნდა ვაქციოთ. განმეორებითი თამაში წინ არის და დარწმუნებული ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ, რაც შეეხება ძირითადი შემადგენლობის თემას, იმ ფეხბურთელებზე შევაჩერე არჩევანი, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში იყვნენ. მართალია, შესაძლებლობების წარმოჩენა გაუჭირდათ, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და არსებული რეალობა მშვიდად უნდა მივიღოთ".

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მწვრთნელის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოა **მარკო ბორიელოც,** რომელიც ტოტის მსგავსად სათადარიგოთა სკამზე გაამწესეს და მხოლოდ ბოლო 15 წუთით ათამაშეს. ბორიელოს თქმით, ასეთ საპასუხისმგებლო შეხვედრაში აქცენტი ძველ "რომაელებზე" უნდა გაკეთებულიყო: *"მწვრთნელის საქმეებში ჩარევა არ მიყვარს და არც ვაპირებ, მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ჯობდა "სლოვანთან:" შეხვედრაში აქცენტი გამოცდილ ფეხბურთელებზე გაკეთებულიყო, რომლებიც ადაპტაციის პროცესში არ არიან. აქ ჩემზე არ მაქვს ლაპარაკი, პირველ რიგში ფრანჩესკო ტოტის ვგულისხმობ, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. მწვრთნელმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო და სამწუხაროდ, მარცხი ვიწვნიეთ. ისღა დაგვრჩენია, რომ განმეორებითი პაექრობისთვის მოვემზადოთ და ვეცადოთ, რომ მეტოქეს ორბურთიანი უპირატესობით მოვუგოთ. ამოცანა იოლი შესასრულებელი ნამდვილად არ არის, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ "სლოვანი" მთელი გუნდით დაცვაში ჩაჯდება. როდესაც თერმეტი ფეხბურთელი საკუთარ ნახევარზე დგას, მეტოქის კართან ხიფათის შექმნაც კი ურთულესი საქმეა. თუმცა, ისე არ გამიგოთ, რომ პესიმისტურად ვიყო განწყობილი – საბრძოლველად ვემზადებით და მჯერა, რომ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდებით".*

სრულიად საპირისპირო განწყობაა მეორე რომაული გუნდის ბანაკში, რომელმაც "რაბოტნიჩკთან" პირველ შეხვედრაში 6:0 მოიგო და პრაქტიკულად გაინაღდა კიდეც ჯგუფური ეტაპის საგზური. "ჯალოროსისგან" განსხვავებით, "ბიანკოჩელესტე" გუნდის შთაბეჭდილებას ტივებს და თანაც, საკმაოდ ძლიერის. "ლაციომ" ამხანაგური შეხვედრებიც სოლიდური უპირატესობით მოიგო და აგერ, ოფიციალურ შეხვედრაშიც მეტოქეს სულ ბრდღვინი ადინა. შესანიშნავად ითამაშა შეტევითმა ხაზმა, სადაც განსაკუთრებულად პროდუქტიული **ჯიბრილ სისე** გახლდათ. ფრანგმა ფორვარდმა ორი გოლი გაუტანა მეტოქეს და ნამატჩევს შემდეგი განაცხადა:

"ეს არის საუკეთესო გუნდი, სადაც კი ოდესმე მითამაშია და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ "ლაციოში" გადმოსვლის გადაწყვეტილება მივიღე. მეტოქეს ერთი ამოსუნთქვითი მოვუგეთ და შესანიშნავი გოლები გავიტანეთ. რაც მთავარია, იგრძნობა, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის ჩვენი მაქსიმუმი და სე ზონის მსვლელობისას აუცილებლად მოვუმატებთ".

კმაყოფილება ვერც **ედუარდო რეიამ** დამალა და განაცხადა, რომ მისი გუნდი გაცილებით უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში იყო. ამ ვარაუდს იტალიელი ჟურნალისტებიც უერთდებიან და პროგნოზებიც ისეთი კეთდება, "ლაციალეს" გულშემატკივრებს რომ გაახარებთ, ჯერჯერობით, "ბიანკოჩელესტე" მართლაც საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს და რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.

ლაშა წიკლაური

● მოტლანდია V ტურის ბიბლიოთეკა

დაუმარცხებელი არავინაა

აბერდინი-ინვერნესი 2:1

გოლები: 1:0 მილსომი (12), 2:0 ვერნონი (27), 2:1 ფორეინი (79)

დანდი-დანფერმლაინი 0:1

გოლები: 0:1 ბერნსი (85)

პიბერნიანი-სტ. მირენი 1:2

გოლები: 1:0 ო'კონორი (25), 1:1 ს. ტომპსონი (42), 1:2 ს. ტომპსონი (45)

მოზერუელი-რეინჯერსი 0:3

გოლები: 0:1 ნეისმიტი (20), 0:2 ლაფერტი (45), 0:3 უაილდი (85)

სელტიკი-სტ. ჯონსტონი 0:1

გოლები: 0:1 მაკკეი (60)

ვერ გაიტანა პენალტი: *კომონსი (3-სელტიკი)*

კილმარნოკი-პართსი 0:0

შოტლანდიის პრემიერლიგაში ტურის მთავარი თამაშები კვირას გაიმართა. ყველაზე თვალშისაცემი „სელტიკის" მარცხი გახლდათ, შინ, „სენტ ჯონსტონთან". აქ, „სელტიკ პარკზე" „სენტ ჯონსტონს" 1999 წლის შემდეგ არ მოუგია და ეს **დეივ მაკკეის** მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლით ახლა მოახერხა. მესამე წუთზე გლაზგოელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ — „წმინდანების" მეკარე **პიტერ ენკელმანმა** საჯარიმოში **ენტონი სტოკსი** წააქცია, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა, მაგრამ **კრის კომონსმა** თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გოლი ვერ გაიტანა. რაც შეეხება სტუმართა გოლს, ის თამაშის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე რიკოშეტით გავიდა. ასე და ამგვარად, სქოთთა ჩემპიონატში დაუმარცხებელი გუნდი აღარ არსებობს.

ცხრილის სათავეში კი ჩემპიონი, „რეინჯერსი" მოექცა. გლაზგოელებმა „მოზერუელი" სტუმრად, „ფირ პარკზე" დაამარცხეს. ჩახედეთ ცხრილს, მიუხედავად ამ შედეგისა (3:0), „მოზერუელი" მეორე ადგილზეა და „ოლდ ფირმის" გუნდებს შუაში ჰყოფს.

„რეინჯერსმა" „მოზერუელს" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა.

ილია ბაბუნაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეინჯერსი	4	3	1	0	8-1	10
2. მოზერუელი	5	3	1	1	5-3	10
3. სელტიკი	4	3	0	1	8-2	9
4. დანფერმლაინი	4	2	2	0	5-3	8
5. სტ. მირენი	5	2	2	1	4-3	8
6. კილმარნოკი	4	1	3	0	5-2	6
7. პართსი	5	1	2	2	4-3	5
8. დანდი	5	1	2	2	4-8	5
9. სტ. ჯონსტონი	4	1	1	2	1-3	4
10. აბერდინი	5	1	1	3	2-6	4
11. პიბერნიანი	4	1	0	3	3-8	3
12. ინვერნესი	5	0	1	4	4-11	1

ბომბერდირები: 3 - კირკი (დანფერმლაინი), ნეისმითი (რეინჯერსი), ო'კონორი (პიბერნიანი), სტოკსი (სელტიკი); 2 - დეიღი (დანდი), ჰეფერნანი (კილმარნოკი), იელავიჩი (რეინჯერსი), კი სუნგ-იენგი (სელტიკი), მერფი (მოზერუელი), სატონი (პართსი), ტენსი (ინვერნესი), ტომპსონი (სტ. მირენი).

● სავარაუდო ტრანსფერი

გალიანიმ აკვილანი დაადასტურა

ინგლისელები დათმოებაზე მიდიან



მას შემდეგ, რაც "მილანი" **ანდრეა პირლომ** დატოვა და "იუვენტუსში" გადავიდა, **ადრიანო გალიანი** მისი ღირსეული შემცვლელის ძიებით გახლავთ დაკავებული. კარგა ხანს ვრცელდებოდა ინფორმაციები **რიკარდო მონტოლივოს** "მილანელოზე" გადაბარგების შესახებ, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა და თუ "ფიორენტინას" სპორტულ დირექტორს, **პანტელეო კორვინოს** დავუჯერებთ, არც შედგება. შესაბამისად, "მილანის" მესვეურები ალტერნატიულ ვარიატზე გადაერთვნენ და **ალბერტო აკვილანის** მიმართულებით გააქტიურდნენ.

აკვილანი "ლივერპულის" საკუთრებაა, გასული სეზონი კი იჯარის წესით "იუვენტუსში" გაატარა. 27 წლის შუახაზელი **ანტონიო კონტეს** გეგმებში ვერ ჩაჯდა და კვლავ ინგლისურ გუნდში მოუწია დაბრუნებამ, თუმცა ალბერტო დიდად არც მერსისაიდელებს სჭირდებათ და შესაბამისად, ტრანსფერზე ჰყავთ დაყენებული.

"მილანისა" და "ლივერპულის" მესვეურებს შორის პირველი შეხვედრა დაახლოებით ათი დღის წინ შედგა და სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ინგლისელები აკვილანის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვენ. "გაძეტას" მტკიცებით, "მილანელებმა ფასის დაკლება მოითხოვეს და თანხა 7 მილიონამდე დავიდა, რაც სავარაუდოდ გახდება კიდეც მოლაპარაკების წარმატებით დასრულების საწინდარი. ადრიანო გალიანი არ უარყოფს, რომ აკვილანი "მილანის" ინტერესის სფეროშია:

"ნახევარმცველის დამატებას ვაპირებთ და ჩვენი სურვილია, რომ ეს ფეხბურთელი აკვილანი იყოს. მოლაპარაკების პროცესში ვართ ჩართულნი და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს ყველაფერი. თუ ინგლისელები გარკვეულ დათმობაზე წამოვლენ, შეთანხმება აუცილებლად შედგება. ჩვენი მიზანია, რომ გუნდი ყველა რგოლში თანაბრად კარგად იყოს დაკომპლექტებული და კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდოს".

ლაშა წიკლაური

● ტრანსფერი



ჩელსიმ მაბა 30 მილიონად იყიდა

წუხელ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა - „ჩელსის" რიგები კიდევ ერთმა მსოფლიოს ჩემპიონმა შეავსო. „ვალენსიას" ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა, რომ გუნდის ლიდერი **ხუან მანუელ მატა** ამიერიდან „არისტოკრატია", ფეხბურთელს კონტრაქტამდე მხოლოდ სამედიცინო შემოწმება აშორებს. 23 წლის შემტევი ნახევარმცველის სანაცვლოდ **რომან აბრამოვიჩმა,** სავარაუდოდ, 30 მილიონი ევრო გადაიხადა. „ჩელსიმ" ესპანურ კლუბს ჯერ 25 მილიონი შესთავაზა მატას სანაცვლოდ, მაგრამ უარი მიიღო. მატა „ჩელსის" მეოთხე შენაძენია ამ ზაფხულს: **ორიოლ რომეუს, ტიბო კურტუასა** და **რომელუ ლუკაკუს** შემდეგ. ხუან მატა 2007 წლიდან გამოდიოდა „ღამურებში", მანამდე კი ის მადრიდის „რეალის" სარეზერვო გუნდში იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცხოური ფეხბურთი

ავსტრალიური პრემიერი

ოლიმპიაკოსი-ინგერი	2:2
მილანი-ივუვგუეი	2:1
პალერმო-ფენერბაჰჩე	2:3

იტალიის თასი

III ეტაპი

ჯენოა-ნოჩერინა	4:3
ფბალლი-ს

მსოფლიოს ჩემპიონატი. U 20

ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია

ოსკარის ოსკარი: პენტაკამპეარო

პატარა ბრაზილიელები ტიტულებით დიდებს გაუტოლდნენ

ფინალი

ბრაზილია-პორტუგალია 2:2 (დ.დ 3:2)

გოლები: 1:0 ოსკარი (5), 1:1 ალექსი (9), 1:2 ნელსონ ოლივეირა (59), 2:2 ოსკარი (78), 3:2 ოსკარი (111)

ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია, გუნდმა ეს ტიტული მეხუთედ შაბათს მოიპოვა, როცა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში დრამატულ ბრძოლაში, მეოთხე ტაიმში გატანილი გოლის წყალობით 3:2 დაამარცხა პორტუგალია. 19 წლის **ოსკარმა** ხვალინდელი დღის ვარსკვლავობაზე ძალზე სერიოზული პრეტენზია განაცხადა - ხუმრობა ხომ არაა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთ თრიკის შესრულება! ოსკარმა ერთი მეორეზე უკეთესი გოლი გაიტანა - ჯერ შორეულ ჩანოდებას თავით მისწვდა და ანგარიში გახსნა, შემდეგ საჯარიმოში დამატებაზე იყოჩაღა და ანგარიში 2:2 გახადა და თამაში დამატებით დროში გადავიდა, ხოლო ბოლოს შორეული მანძილიდან „ცხრიანში" ოქროს გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ოსკარს ჩემპიონატში აქამდე არ გაუტანია, თუმცა, ის რომ დიდი ტალანტია, ეჭვსგარეშეა. ოსკარი „ინტერნასიონალში" თამაშობს და ბრაზილიის ჩემპიონატში 8 თამაშში 5 გოლი გაიტანა, რაც არცთუ ურიგო შედეგია ნახევარმცველისთვის.

ეს ბრაზილიის ნაკრების პირველი ტიტულია 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატებში 2003 წლის შემდეგ. მე-3 ადგილისთვის ბრძოლა მექსიკამ საფრანგეთის ნაკრებს 3:1 მოუგო, თუმცა თავიდან ევროპელები დაწინაურდნენ. ეს „ელ ტრისთვის" 1977 წლის შემდეგ საუკეთესო შედეგია. მაშინ კი მექსიკა მეორე ადგილზე გავიდა. ეს ტურნირი აქტივში ჩაეწერებათ ფრანგებსაც, რადგან მათ მე-4 ადგილისთვის არასოდეს მიუღწევიათ. მათ ძალიან კარგი გუნდი ჰყავდათ კოლუმბიაში და დაცვას რომ არ დაეღალატებინა (12 გოლი გაუშვეს, რამდენიც კოსტა რიკამ და გვატემალამ), მეტის მიღწევასაც შეძლებდნენ.

პორტუგალიის მეკარე **მიკას** მშრალი სერია კი 634-ე წუთზე დაემხო, მას სულ რაღაც 19 წუთი დააკლდა ტურნირის რეკორდამდე. მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატი 2013 წელს თურქეთში გაიმართება.

მაგჩი მე-3 ადგილისთვის

მექსიკა-საფრანგეთი 3:1

გოლები: 0:1 ლაკაზეტი (8), 1:1 დავილა (12), 2:1 ენრიკესი (49), 3:1 რივერა (71)

ბომბარდირები: 5 - ენრიკე (ბრაზილია), ალვარო ვასკესი (ესპანეთი), ალექსანდრ ლაკაზეტი (საფრანგეთი); 4 - ნელსონ ოლივეირა (პორტუგალია), ლუის მურიელი (კოლუმბია).

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი (ადიდასის ოქროს ბურთი) მიიღო ბრაზილიელმა ფორვარდმა **ენრიკემ**, მე-2 ადგილზე პორტუგალიელი **ნელსონ ოლივეირა** გავიდა, მესამეზე - **ხორხე ენრიკესი** (მექსიკა). ფიფას ფეარ პლეის პრიზი ნიგერიის ნაკრებს გადაეცა, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი პორტუგალიელი მიკა დაასახელეს.

ამბები

შეშინებული გულშემატკივრები

სროლა სტადიონზე

მექსიკის ჩრდილოეთში, ქალაქ ტორეონში კინაღამ დიდი ტრაგედია დატრიალდა, მექსიკის ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს „სანტოს ლაგუნა" და „მორელია" ხვდებოდნენ, მატჩი 40 წუთის დანყებული იყო, როცა ირგვლივ სროლა ატყდა. შეშინებულმა ფეხბურთელებმა თავი გასახდელებს შეაფარეს, ტრიბუნებზე კი ნამდვილი პანიკა დაიწყო. მაყურებელთა ნაწილი ფეხბურთელებს მიჰყვა, ნაწილი კი სკამების ქვეშ იმალებოდა. შეშინებული ხალხი ვერ მიხვდა, რომ სროლის ხმები სტადიონის გარედან შემოდიოდა, სადაც ნარკომოვაჭრეთა მანქანამ პოლიციის საგუშაგოზე არ გააჩერა. სროლაში ერთი პოლიციელი დაიჭრა. ქალაქი ტორეონი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ადგილია მსოფლიოში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **ფელიპე კალდერონმა** ნარკომაფიასთან ბრძოლა გამოაცხადა (2006 წ.), ამ ქალაქში 40 ათასამდე ადამიანი მოკლეს.

არსენალის ფეხბურთელი პვარიაში დაიღუპა

კიევის „არსენალს" რაღაც ცუდი სჭირს, ყოველ შემთხვევაში ამ კლუბთან მუდამ რაღაც უბედურება ასოცირდება - ახლახან ბოლო 7 წელიწადში „არსენალის" მე-6 ფეხბურთელი დაიღუპა. „არსენალის" მცველი **ევგენი ევსეევი**, რომელიც იჯარით „პრიკარპატიეში" თამაშობდა, ავტოავარიის მსხვერპლი გახდა. მანქანაში მხოლოდ ის დაიღუპა, 2 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა. ევგენი ევსეევი 24 წლის იყო. სამწუხაროდ, ზემოთ ნახსენებ ჩამონათვალში ერთი ქართველი იყო - 2004 წელს გულის შეტევით **შალვა აფხაზავა** გარდაიცვალა, რომელიც მაშინ 23 წლისა იყო.

დანი ალვეშს ანჟი იმდენს გადაუხდის, რამდენსაც ბარსა - მესის

მახაჭყალის „ანჟის" მადას ბოლო არ უჩანს, მას შემდეგ, რაც **სამუელ ეტოო** „ინტერიდან" გადმოიბირა და ის მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი (აფრიკელი წელიწადში 28,8 მილიონ ევროს მიიღებს) გახადა, თვალი ახლა „ბარსელონას" მარჯვენა მცველ **დანი ალვეშს** დაადგა. „ანჟის" ბოსებს გადაწყვეტილი აქვთ, დაცვის ვარსკვლავური ფლანგები ჰყავდეთ - მარცხნივ **რობერტო კარლოსი** და მარჯვნივ - დანიელ ალვეში. საამისოდ, დაღესტნელები 35 მილიონ ევროს იხდიან 28 წლის ბრაზილიელში. ალვეშის ყოველწლიური ხელფასი კი 15 მილიონი იქნება, ეს მაჩვენებელი მხოლოდ ეტოოსა და **კრიშტიანო რონალდოსას** ჩამორჩება და **ლეო მესის** ხელფასის ტოლია.

ასე იწყებდა დანი ალვეში ბარსაში

საფრანგეთი. ლიგა 1. III ტური

ბორდო-ოსერი 1:1

გოლები: 1:0 გუფრანი (23), 1:1 ა. ტრაორე (66)

ბრესტი-ლიონი 1:1

გოლები: 1:0 ლესოამიე (12), 1:1 გომისი (69)
გაძევება: კონე (59. ლიონი)

კაენი-ლილი 1:2

გოლები: 0:1 პედრეტი (69), 0:2 დებიუში (88), 1:2 ნიეე (90-პენ)

დიჟონი-ლორიანი 2:0

გოლები: 1:0 ტილი (3), 2:0 ჟოვიალი (88)
გაძევება: მეიტე (42. დიჟონი)

ნიცა-ტულუზი 1:1

გოლები: 1:0 მუნიე (31), 1:1 რეგატინი (90)
გაძევება: ზუკუნა (90. ტულუზი)

აიაჩო-ევიანი 1:1

გოლები: 1:0 სამარიტანო (7), 1:1 ბერიგო (75)

მონპელიე-რენი 4:0

გოლები: 1:0 ბელპანდა (31-პენ), 2:0 დერნისი (52), 3:0 ს. კამარა (72), 4:0 ს. კამარა (86)

ნანსი-სოშო 1:2

გოლები: 0:1 პეიბერნე (53), 0:2 პრივატი (64), 1:2 ჰაჯი (67-პენ)
გაძევება: კარლაუ (65. სოშო)

პსჟ-ვალანსიენი 2:1

გოლები: 1:0 გამეირო (39), 1:1 რ. გომისი (45), 2:1 ნენე (64-პენ)

მარსელი-სენტ ეტიენი 0:0

გაძევება: მინიო (85. სენტ ეტიენი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მონპელიე	3	3	0	0	8-1	9
2. ტულუზი	3	2	1	0	5-1	7
3. სტ. ეტიენი	3	2	1	0	3-1	7
4. კაენი	3	2	0	1	4-3	6
5. ლიონი	3	1	2	0	5-3	5
6. ევიანი	3	1	2	0	4-3	5
7. რენი	3	1	1	1	6-6	4
8. სოშო	3	1	1	1	5-5	4
9. ლილი	3	1	1	1	3-3	4
10. პსჟ	3	1	1	1	3-3	4
11. ლორიანი	3	1	1	1	2-3	4
12. მარსელი	3	0	3	0	4-4	3
13. ბრესტი	3	0	3	0	3-3	3
14. დიჟონი	3	1	0	2	3-7	3
15. ბორდო	3	0	2	1	3-4	2
16. ოსერი	3	0	2	1	4-6	2
17. აიაჩო	3	0	2	1	2-4	2
18. ნანსი	3	0	1	2	2-4	1
19. ვალანსიენი	3	0	1	2	1-3	1
20. ნიცა	3	0	1	2	2-5	1

ბომბარდირი: 3 - ა. ტრაორე (ოსერი)

ბელგია. ჟუპილერლიგა. IV ტური

ლიერსი-ბეერსხოტი 1:1

გოლები: 1:0 ელ-გაბასი (65), 1:1 ლოსადა (79)

სტ. ტრუიდენი-ლოკერენი 0:2

გოლები: 0:1 მარიჩი (5), 0:2 მარიჩი (90)
გაძევება: ტარაველი (83. ლოკერენი)

ლუვენი-ზულენი 1:2

გოლები: 0:1 კორდარო (6), 1:1 რემალუ (45-პენ), 1:2 გორიუსი (52)
გაძევება: ვან ჰოეველენი (43. ზულენი)

ვესტერლო-გენტი 2:3

გოლები: 0:1 ლიუბიანკიჩი (11), 1:1 დე ჰეტერი (27), 2:1 ბა (42 ს.კ.), 2:2 ელ ღანესი (53), 2:3 ელ ღანესი (61)

სერკლი-გენკი 3:2

გოლები: 1:0 იანსენსი (10), 1:1 ვიანი (15 ს.კ.), 2:1 იანსენსი (26), 2:2 ბუფელი (55), 3:2 რუდი (75)
გაძევება: კამუსი (39. გენკი)

ეარეგემი-ბრიუგე 1:1

გოლები: 1:0 როსინი (19), 1:1 ოჯიჯა-ოფოე (53-პენ)

ანდერლეხტი-ზონსი 2:2

გოლები: 0:1 პერბე (57), 0:2 ბურაბია (60), 1:2 კაბასელი (69), 2:2 ბილია (77)
გაძევება: სამუელი (45. ანდერლეხტი)

სტანდარდი-კორტრეიკი 3:1

გოლები: 1:0 კანუ (8), 1:1 ვესელინოვიჩი (55), 2:1 ნონგი (69), 3:1 ლეიე (90)
გაძევება: ვანდენბროეკი (77. კორტრეიკი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზულენი	4	3	0	1	7-6	9
2. ბრიუგე	4	2	2	0	10-4	8
3. გენტი	4	2	1	1	8-6	7
4. სტანდარდი	4	2	1	1	8-6	7
5. ანდერლეხტი	4	2	1	1	7-5	7
6. სერკლი	4	2	1	1	5-5	7
7. ზონსი	4	1	3	0	8-6	6
8. ეარეგემი	4	1	3	0	5-4	6
9. გენკი	4	1	2	1	7-6	5
10. ბეერსხოტი	4	1	2	1	7-7	5
11. კორტრეიკი	4	1	2	1	4-4	5
12. ლოკერენი	4	1	1	2	3-4	4
13. ლიერსი	4	0	3	1	3-4	3
14. ლუვენი	4	1	0	3	4-6	3
15. სტ. ტრუიდენი	4	0	1	3	6-11	1
16. ვესტერლო	4	0	1	3	3-11	1

ბომბარდირი: 5 - ჟერემი პერბე (ზონსი)

აიაქსმა ვენლოსთან წაიფორხილა

ჰოლანდია. ერედივიზიე. III ტური

როდა-ვაალვიკი 0:2

გოლები: 0:1 ვან ჰეპენი (48), 0:2 კასტილიონი (84)

ვიტესი-უტრეხტი 2:1

გოლები: 1:0 ბონი (6-პენ), 1:1 მულენგა (26), 2:1 ბონი (89)
გაძევება: ნილსონი (87. უტრეხტი)

პეერენვენი-ტვენტე 1:5

გოლები: 0:1 ლ. დე იონგი (27), 0:2 იანსენი (30), 0:3 იანკო (45), 0:4 ბაირამი (66), 1:4 ნარსინი (87), 1:5 იანკო (89-პენ)

ექსელსიორი-დე გრაააფსხაპი 1:1

გოლები: 0:1 პოეპონი (27), 1:1 ვან სტეენსელი (83)

ბრედა-გრონინგენი 2:2

გოლები: 0:1 ბაკუნა (12), 0:2 ანდერსონი (44), 1:2 სხალკი (48), 2:2 ლურლინგი (57)

პერაკლესი-ფეიენოორდი 1:1

გოლები: 1:0 პლეტი (63), 1:1 ფერნანდესი (78)

ალკმაარი-ნეიმეგენი 4:0

გოლები: 1:0 ალტიდორი (54), 2:0 ელმი (64-პენ), 3:0 ალტიდორი (73), 4:0 მოისანდერი (85)
გაძევება: ჩმოვსი (63. ნეიმეგენი)

ვენლო-აიაქსი 2:2

გოლები: 1:0 მუსა (47), 2:0 მუსა (60), 2:1 იანსენი (68), 2:2 სიგტორსონი (69)

დენ ჰაააგი-პსვ 0:3

გოლები: 0:1 მერტენსი (21), 0:2 ვინალდუმი (24), 0:3 ტოიონენი (39)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტვენტე	3	3	0	0	8-1	9
2. აიაქსი	3	2	1	0	11-4	7
3. ფეიენოორდი	3	2	1	0	6-1	7
4. ვიტესი	3	2	1	0	6-1	7
5. ალკმაარი	3	2	0	1	7-3	6
6. პსვ	3	2	0	1	5-3	6
7. ჰერაკლესი	3	1	2	0	5-4	5
8. გრონინგენი	3	1	1	1	7-6	4
9. ვაალვიკი	3	1	1	1	4-3	4
10. ნეიმეგენი	3	1	1	1	4-6	4
11. როდა	3	1	0	2	2-6	3
12. უტრეხტი	3	0	2	1	3-4	2
13. ბრააფსხაპი	3	0	2	1	4-7	2
14. ვენლო	3	0	2	1	2-6	2
15. ბრედა	3	0	1	2	3-5	1
16. ექსელსიორი	3	0	1	2	1-5	1
17. დენ ჰაააგი	3	0	1	2	2-7	1
18. ჰეერენვენი	3	0	1	2	4-12	1

ბომბარდირი: 4 - მარკ იანკო (ტვენტე)

პორტუგალია. ლიგა საგრეში. II ტური

პორტუ-ჟილ ვისენტე 3:1

გოლები: 0:1 ვილელა (3-პენ), 1:1 ჰალკი (11-პენ), 2:1 სეპუნარუ (17), 3:1 ჰალკი (50)

ბენფიკა-ფეირენსე 3:1

გოლები: 1:0 ნოლიტო (14), 1:1 რაბიოლა (53), 2:1 კარდოსო (75), 3:1 ბრუნო სეზარი (90)

ფერეირა-ლეირია 2:1

გოლები: 1:0 მელგარეჟო (70), 2:0 მიჩელი (89), 2:1 პინტუ (90)
გაძევება: ოზეია (42. ფერეირა), ჟო (53. ლეირია)

აკადემიკა-რიუ ავე 1:0

გოლი: 1:0 ედერი (17)

ბრაგა-მარიტიმუ 2:0

გოლები: 1:0 ელდერსონი (47), 2:0 ლიმა (61)

ბეირა მარი-სპორტინგი 0:0

ოლანენსე-სეტუბალი დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	2	2	0	0	4-1	6
2. აკადემიკა	2	2	0	0	3-1	6
3. ბენფიკა	2	1	1	0	5-3	4
4. ბრაგა	2	1	1	0	2-0	4
5. სეტუბალი	1	1	0	0	2-1	3
6. ფერეირა	2	1	0	1	3-3	3
7. სპორტინგი	2	0	2	0	1-1	2
8. ბეირა მარი	2	0	2	0	0-0	2
9. ოლანენსე	1	0	1	0	1-1	1
10. ნასიონალი	1	0	1	0	0-0	1
11. რიუ ავე	2	0	1	1	0-1	1
12. ჟილ ვისენტე	2	0	1	1	3-5	1
13. ფეირენსე	2	0	1	1	1-3	1
14. მარიტიმუ	2	0	1	1	0-2	1
15. გიმარაეში	1	0	0	1	0-1	0
16. ლეირია	2	0	0	2	2-4	0

ბომბარდირი: 3 - ჰალკი (პორტუ)

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

წვიმა და დარი ლონდონქალაქში

გასული უქმეების ცენტრალური შეხვედრის მიმოხილვით დავიწყოთ: „არსენალმა“ „ლივერპულს“ უმასპინძლა და 0:2 წააგო. მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** თავის ბიჭებს შეუძახა, თავი მაღლა გეჭიროთო.

ეს გახლდათ მერსისაიდელთა პირველი გამარჯვება „არსენალთან“ ლონდონში 2000 წლის შემდეგ. მასპინძელთათვის კი შეხვედრა საშინლად უიღბლო გამოდგა: მსაჯმა თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მოედნიდან **ემანუელ ფრიმპონგი** გააგდო, **ლორან კოშელნი** კი მე-16 წუთზევე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. აღსანიშნავია, რომ „მეთოფეთა“ რიგებში ითამაშა **სამირ ნასრიმ**, რომელიც, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლას ცდილობს და დიდი შანსია უახლოეს პერიოდში გახდეს კიდეც ისტლენდელი. უნდა ითქვას, რომ ნასრის ცუდად არ უთამაშია — „არსენალის“ ნახევარდაცვა პირველ შეხვედრასთან შედარებით უკეთ თამაშობდა, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ „ლივერპული“ ჯერ **აარონ რემსის** ავტოგოლით დანინაურდა, ხოლო შემდეგ **ლუის სუარესმა** მეორე შეაგდო.

ვენგერს პირველ ტურშიც გაუგდეს ფეხბურთელი — **ჟერვინიო**, ასე რომ, ტრავმირებულთა და დისკვალიფიცირებულთა სიამ „ემირეიტ სთედიუმზე“ შთამბეჭდავ რაოდენობას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ რთულ დღეში ჩავარდნილ „მეთოფეებს“ ოთხშაბათს იტალიაში „უდინეზესთან“ აქვს სათამაშო, კვირას კი „ოლდ ტრეფორდზე“ უნდა ჩავიდეს და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეებრძოლოს. ამიტომაც ლოგიკურია, ვენგერი თავის ფეხბურთელებს განსაკუთრებული მონდომებით რომ ამხნევებს.

„ჩვენ რვა ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა შესანიშნავად ვითამაშეთ — თქვა ჩრდილოლონდონელთა ფრანგმა შეფმა — *ამიტომაც, გარემო მუქად არ მეჩვენება. უბრალოდ, ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ყოველ წაგებას მინისძვრის ეფექტი აქვს. რასაკვირველია, წაგებამ ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ ჯერ სეზონის დასაწყისია“.*

პრესკონფერენციაზე ვენგერს შეახსენეს, რომ **სესკ ფაბრეგასის** „ბარსელონაში“ გაყიდვით 40 მილიონი ფუნტი შეუვიდა და გულშემატკივარი მისგან გუნდის გაძლიერებას ითხოვს. მწვრთნელმა მიუგო:

„ჩვენი მიზანია გვყავდეს კარგი გუნდი, რომელშიც კარგი ფეხბურთელები ითამაშებენ. კლუბმა შეიძლება ბევრი ფული დახარჯოს, მაგრამ გუნდი კარგად მაინც ვერ თამაშობდეს. დღეს ჩემს ფეხბურთელებს გული გაუტყდათ, ამიტომაც ვალდებული ვარ ისინი გავამხნევო. მინდა ვთქვა, რომ მათ დღეს შესანიშნავად ითამაშეს. ცოდოა გუნდი, რომელიც ასეთ შეხვედრაში დამარცხდება“.

ამ შეხვედრის მეორე ტაიმში, თითქოს „მეთოფეებს“ ემოციურ ფონს უქმნიდაო, ლონდონის ცა მოიქუფრა და საშინლად იწვიმა. რამდენიმე საათის შემდეგ კი იმავე ცამ დასავლეთ ლონდონის თავზე გაიღიმა და წვიმის ერთი წვეთის გარეშე უყურა, როგორ შემოატრიალა მატჩის ბედი „ჩელსიმ“ „ვესტ ბრომვიჩთან“ შეხვედრაში. ამ შაბათ დღეს, „ლურჯებისთვის“, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით, დარი იდგა.

თავისი ბიჭების გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი დარჩა „ჩელსის“ თავკაცი **ანდრე ვილაშ-ბოაში.** როდესაც „ალბიონის“ დებიუტანტმა, 24 წლის ირლანდიელმა თავდამსხმელმა, „რედინგისგან“ ნაყიდმა **შეინ ლონგმა** ზედიზედ მეორე შეხვედრაში გოლი გაიტანა და სტუმრები დაანინაურა, ვილაშ-ბოაშმა თავის ფეხბურთელებს უთხრა, აი, ახლა კი დამიმტკიცეთ, რომ ის გუნდი ხართ, რომელსაც პრემიერლიგის ჩემპიონობა შეუძლიაო და პასუხიც ღირსეული მიიღო. სანამ შესვენებაზე ფეხბურთელებს დამოძღვრავდა, პორტუგალიელმა მდგომარეობის გამოსწორება 35-ე წუთზე **სალომონ კალუს** ნაცვლად **ფლორან მალუდას** შეყვანით სცადა, თუმცა თვალსაჩინო შედეგი ტაიმებს შორის გამართულმა საუბარმა მოიტანა. შესვენების შემდეგ **ნიკოლა ანელკამ** და მალუდამ თითო შეაგდეს და „ლურჯებმა“ სამი ქულა მიიწერეს.

„მწვრთნელმა გვითხრა, რომ ჩვენ სხვა გუნდებისთვის სწორედ ახლა უნდა გვეჩვენებინა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტები ვართ. უნდა გაგვეცა პასუხი კითხვაზე, ვართ კი მზად მოვლენებზე ვიმოქმედოთ და ჩვენთვის სასურველი მიმართულება მივცეთ? ყველაფერი ძალიან მარტივი იყო, მეტად უნდა გაგვრისკა და მტკიცე ხასიათი გამოგვემჟღავნებინა, — თქვა მატჩის შემდეგ მალუდამ, რომელმაც ისიც განმარტა, თუ რატომ შეუშვა ვილაშ-ბოაშმა კალუს ნაცვლად პირველსავე ტაიმში, — *ჩვენ პირველ ტაიმშივე უნდა შეგვეცვალა თამაშის იერსახე. ამას მეც ვიზიარებ. მწვრთნელმა მოედანზე მე იმიტომ შემიშვა, რომ შეტევებს ფრთაზე გადაენაცვლა და საჯარიმოში ბურთი მეტად ჩაგვეწოდებინა. საერთოდაც, ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ მწვრთნელის მიერ შეტანილმა კორექტივებმა შედეგი რომ მოიტანა.*

ამ ცვლილებებსა და გადაადგილებებში უჩვეულო არაფერია. ეს სეზონის ბოლომდე ასე გაგრძელდება, რადგან ჩვენს გუნდში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი და დიდი კონკურენციაა“.

ცნობისათვის: „ჩელსი“ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ პრემიერლიგაში ათჯერ შეხვედრია და ათეჯერვე დასავლეთლონდონელებმა გაიმარჯვეს.

სანდერლენდში, რეგიონული დერბის გმირი „ნიუკასლის“ მცველი **რაიან ტეილორი** გახდა, რომელმაც 62-ე წუთზე საუცხოოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და „შავ კატებს“ მნარე მარცხი აგემა. ეს ტეილორი „სანდერლენდის“ მწვრთნელისთვის, **სტივ ბრუსისთვის** კარგად ნაცნობი ფეხბურთელია, მისი ხელმძღვანელობით ის „უიგანში“ გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ „კაჭკაჭებს“ უფრო თამბეჭდავადაც შეეძლოთ მოგება. მასპინძელთა მეკარე **სიმონ მინოლემ** რამდენჯერმე ჩინებულად ითამაშა. ის რომ არა, სტუმრები, **იოან კაბაიე** და **ხონას გუტიერესი,** ალბათ შეაგდებდნენ თითო გოლს. მეორე მხრივ, თავი „ნიუკასლის“ გოლკიპერმა **ტიმ კრულმაც** გამოიჩინა, რომელმაც **სტეფან სესინონს** ორჯერ აუღო. ზოგადად კი, უნდა ითქვას, რომ „შავმა კატებმა“ ბურთის ფლობის მცირე უპირატესობის მიუხედავად, მაყურებელი უკმაყოფილო დატოვეს.

„ასტონ ვილას“ ახალი მწვრთნელი, „დიდი ეკი“ ანუ **ალექს მაკლიში** კი, თავისი პირველი საშინაო მატჩის შემდეგ, იდგა და ამაყად უსმენდა ტრიბუნების ოვაციას. მისმა „ვილამ“ თამამბეჭდავად, 3:1 მოუგო „ბლექბერნ როვერსს“, რომელსაც მისი თანამემამულე, შოტლანდიელი **სტივ კინი** უდგას სათავეში. კინს საშინელი პერიოდი აქვს: პირველ ტურში „ვულვერჰემპტონთან“ 1:2 წააგო, შუა კვირაში მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო მძღოლის მონმობა 18 თვით ნაართვეს, ახლა კი „ნიუკასლმა“ დაამატა.

გასაკვირი და სენსაციური კი „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მიერ სტუმრად „ევერტონის“ დამარცხება იყო. როგორც ჩანს, პრემიერლიგაში, კლუბების მოედანსმიღმა ცხოვრება ძალიან აისახება უშუალოდ თამაშებზე — გასულ კვირაში გაირკვა, რომ „გუდისონ პარკზე“ ფინანსური საქმეები ძალიან ცუდად არის. კლუბი ბანკიდან ახალ თანხებს ველარ სესხულობს, ასე რომ, საუკეთესო გამოსავალი პატრონის შეცვლაა. ამიტომაც ვერ იყიდა მწვრთნელმა, **დევიდ მოიესმა** ახალი ფეხბურთელი მთელი ზაფხულის განმავლობაში. ამას დაემატა ისიც, რომ მოთამაშეთა ერთი ნაწილი სეზონის დასაწყისში ცუდ ფორმაშია და... დასავლეთლონდონელმა **ტომი სმიტმა** თავისი გუნდის ერთადერთი სახიფათო მომენტი გამარჯვების გოლად აქცია.

„ნორვიჩ სიტი“ კვირას, „ქეროუ როუდზე“, ექვსწლიანი ინტერვალის შემდეგ პრემიერლიგის მატჩს პირველად თამაშობდა და... არ გაუმართლა — **კინუეინ ჯონსის** მიერ მსაჯის დამატებულ წუთებში გატანილმა თავურმა გოლმა ზეიმი ჩაუშალა. არადა, მასპინძლები იგებდნენ და მერე როგორ — უმცირესობაში. ცუდი დასაწყისის მიუხედავად, „იადონებმა“ 37-ე წუთზე გოლის გატანა მოახერხეს — **რიჩი დე ლაეტმა ასმირ ბეგოვიჩს** აჯობა.

64-ე წუთზე ნორვიჩელებს ლიონ ბერნეტი გაუძევეს მოედნიდან. მიზეზი: **ჯონ უოლტერსის** წაქცევა, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა, მაგრამ თერთმეტი მეტრიდან თავად „დაზარალებულმა“ ვერ გაიტანა — მეკარე **ჯონ რადიმ** აუღო. ხოლო, თუ რა მოხდა მსაჯის ნამატებულ წუთებზე, უკვე მოგახსენეთ.

არსენალი-ლივერპული 0:2

„ვულვზმა“ „ფულჰემის“ ძლევით ჩემპიონატში ასპროცენტიანი სვლა განაგრძო — პრემიერლიგის პირველობის დაწყებიდან ორი ტურია გასული და გუნდმა ორივეში გაიმარჯვა. მასპინძლები **კევინ დოილის** მწვავე თამაშშა პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა, ტაიმების გასაყარზე კი **მეტიუ ჯერვისმა** ანგარიში ორამდე გაზარდა. „ფულჰემმა“ „ვულვერჰემპტონის“ თავდადებულ თამაშს ვერაფერი დაუპირისპირა, თუმცა **დემიენ დაფს** ორ ეპიზოდში უკეთ შეეძლო თამაში. კიდევ ერთ ეპიზოდში მასპინძლები **სტივენ უორდმა** გადაარჩინა, როდესაც **კლინტ დემპსის** ბურთი კარში არ შეაგდებინა. ეს ის მომენტი გახლდათ, როდესაც **უეინ ჰენესიმ ენდი ჯონსონის** დარტყმული მოიგერია, მოგერიებული ბურთი კი დემპსიმ იხელთა.

და უქმეები ბოლტონში „მანჩესტერ სიტის“ თამაშით დასრულდა. ეს გახლდათ სანახაობრივი შეხვედრა, სადაც ისტლენდელებმა დაამტკიცეს, რომ შემტევ ფეხბურთს თამაშობენ.

ანგარიში **დავიდ სილვამ** გახსნა. ამ ეპიზოდში ბოლტონელთა მეკარე **იუსი იაასკელაინენი** შეცდა, არასწორი პოზიცია ეკავა. შემდეგ, **გარეთ ბერიმ** მაღალ კუთხეში შეასო ბურთი, თუმცა **ივან კლასნიჩმა** ერთის გაქვითვა მოახერხა. კლასნიჩს პასი მარტინ პეტროვმა ჩააწოდა.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული რომ იყო, სტუმრებმა კიდევ ერთი შეაგდეს — თავი **ედინ ჯეკომ** გამოიჩინა და მართალი **კევინ დევისმა** ერთითაც უპასუხა, „სიტიმ“ შთამბეჭდავად ითამაშა. მიმომხილველები აგუერის, ჯეკოსა და სილვას კომბინაციებს გამოჰყოფენ.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

მომდევნო ტური

27 აგვისტო: **ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი, უიგანი-ქუინზ პარკი, ბლექბერნი-ევერტონი, ჩელსი-ნორვიჩი, სუონსი-სანდერლენდი, ლივერპული-ბოლტონი.**

28 აგვისტო. **ნიუკასლი-ფულჰემი, ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი, ვესტ ბრომვიჩი-სტოკი, მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი.**

სანდერლენდი–ნიუკასლი 0:1

სანდერლენდი (4-4-2): მანოლე - ბერდსლი, ა. ფერდინანდი, ბრაუნი, რიჩარდსონი (72. დონგ-ვონ ჯი) - ელმუჰამედი (71. გარდნერი), კეტერმოლი, კოლბეკი, ლარსონი (82. უიკჰემი) - სესინონი, ასამოა.

ნიუკასლი (4-4-2): ჯრული - სიმპსონი, კოლორინი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი - ბარტონი, ტოუტე, კაბაიე (85. უილიამსონი), ხონასი - ობერტანი (85. გოსლინგი), ამეობი.

გოლი: 0:1 რ. ტეილორი (62)

გაფრთხილება: ბრაუნი, კეტერმოლი, ბერდსლი - კაბაიე, რ. ტეილორი, ბარტონი

გაძევება: ბერდსლი (სანდერლენდი - 89)

კუთხური: 7-6; **ჯარიმა:** 11-17; **კარში დარტყმა:** 13-7 (3-5); **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

მაყურებელი: 47 751

არსენალი–ლივერპული 0:2

არსენალი (4-3-3): შჩესნი - ჯენკინსონი, კოშელნი (16. მიგელი), ვერმაელენი, სანია - ნასრი, რემსი, ფრიმპონგი - უოლკოტი (80. ბენდტნერი), ვან პერსი, არშავინი (72. ლენსბერი).

ლივერპული (4-4-2): რეინა - კელი, კარაგერი, აგერი, სანჩესი - ჰენდერსონი, ლუკასი, ადამი, დაუნინგი - კუიტი (71. მეირელუში), ქეროლი (72. სუარესი).

გოლები: 0:1 რემსი (78 ს.კ.), 0:2 სუარესი (90)

გაფრთხილება: ფრიმპონგი, ლენსბერი - ქეროლი, ლუკასი

გაძევება: ფრიმპონგი (არსენალი - 70)

კუთხური: 9-5; **ჯარიმა:** 13-9; **კარში დარტყმა:** 6-12 (2-8); **თამაშგარე:** 0-5; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

მაყურებელი: 60 090

ასტონ ვილა–ბლექბერნი 3:1

ასტონ ვილა (4-4-2): გიენი - ლ. იანგი (56. კლარკი), რ. დანი, კოლინზი, უორნოკი - ნ"ზოგბია, დელფი, ს. პეტროვი, აგბონლაჰორი (46. ოლბრაიტონი) - ჰესკი (66. ბენანი), ბენტი.

ბლექბერნი (4-4-2): რობინსონი - სალგადო, ნილსენი, ჰენლი, ოლსონი - ჰოილეტი, დ. დანი, ნზონზი, პედერსენი (75. პეტროვიჩი) - გუდვინი, რობერტსი (75. ფორბიცა).

გოლები: 1:0 აგბონლაჰორი (12), 2:0 ჰესკი (25), 2:1 პედერსენი (51), 3:1 ბენტი (68)

გაფრთხილება: ჰესკი, დელფი, ს. პეტროვი (სამივე ასტონ ვილა)

კუთხური: 5-4; **ჯარიმა:** 16-10; **კარში დარტყმა:** 9-8 (5-2); **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

მაყურებელი: 32 319

ევერტონი–ქუინზ პარკი 0:1

ევერტონი (4-4-2): ჰოვარდი - ფ. ნევილი, ჯეგიელკა, დისტინი, ბეინესი - ოსმანი, როდუელი (55. არტეტა), ჰეიტინგა (74. საა), ბარკლი - ტ. კეჰილი, ბეკფორდი (64. ფელაინი).

ქუინზ პარკი (4-1 - 4-1): კენი - ორი, გებიდონი, ჰოლი, კონოლი - დერი - სმიტი (66. ეფრაიმი), ტაარაბტი, ფაურლინი, ბუჟკა - აგიმანგი (57. ბოთოროიდი).

გოლი: 0:1 სმიტი (31)

გაფრთხილება: ოსმანი - ჰოლი

კუთხური: 2-1; **ჯარიმა:** 11-16; **კარში დარტყმა:** 13-3 (7-1); **თამაშგარე:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 35 008

სუონსი–უიგანი 0:0

სუონსი (4-4-2): ვორმი - რანგელი, კაულკერი, უილიამსი, ნ. ტეილორი - აგუსტინი, ბრიტონი (75. ალენი), რუტლიჯი (74. დობი), დაიერი - სინკლერი, გრემი (83. ლიტა).

უიგანი (4-4-2): ალ ჰაბსი - ბოისი, კოლდუელი, ალკარასი (37. რ. სტამი), ფიგეროა - დიამე, უოტსონი, გომესი, მაკატი (64. მაკარტური) - მოზესი, დი სანტო (70. როდალეგა).

გაფრთხილება: - მაკარტი, გომესი, მოზესი (ყველა უიგანი)

კუთხური: 7-7; **ჯარიმა:** 19-9; **კარში დარტყმა:** 11-8 (4-4); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

მაყურებელი: 19 028

ჩელსი–ვესტ ბრომვიჩი 1:2

ჩელსი (4-3-3): ილარიო - ბოსინგვა, ტერი, ალექსი (66. ალექსი), ე. კოული - რამირესი, მიკელი, ლემპარდი - კალუ (35. მალუდა), ანელკა, ტორესი (60. დროგბა).

ვესტ ბრომვიჩი (4-4-2): ფოსტერი - რიდი, ოლსონი, ტამასი, შორი - ბრანტი, მულუმბუ (87. დორანსი), შარნერი, მორისონი - ტროი (75. ოდემვინგე), ლონგი.

გოლები: 0:1 ლონგი (4), 1:1 ანელკა (53), 2:1 მალუდა (83)

გაფრთხილება: ლემპარდი, ტერი - ტამასი, მულუმბუ, ოლსონი, ოდემვინგე

კუთხური: 7-4; **ჯარიმა:** 17-15; **კარში დარტყმა:** 13-7 (7-5); **თამაშგარე:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

მაყურებელი: 40 091

ნორვიჩი–სტოკი 1:1

ნორვიჩი (4-3-3): რადი - ნაფტონი, დე ლაესტი, ბერნეტი, ტორნი - კროფტსი, ბ. ჯონსონი, ბენეტი (74. სარმენი) - მარტინი (84. ჯეკსონი), პილკინგტონი (66. აიალა), ჰოლტი.

სტოკი (4-4-2): ბეგოვიჩი - ჰუთი, შოუკროსი, ვუდგეიტი (77. შოტონი), უილსონი - პენანტი (31. პაფი), უილენი, უიტეიდი, ეზერინგტონი - კ. ჯონსი, უოლტერსი.

გოლები: 1:0 დე ლაეტი (37), 1:1 კ. ჯონსი (90)

გაფრთხილება: ვუდგეიტი, შოუკროსი (ორივე სტოკი)

გაძევება: ბერნეტი (64 - ნორვიჩი)

ვერ გაიტანა პენალტი: უოლტერსი (65-სტოკი)

კუთხური: 3-6; **ჯარიმა:** 12-15; **კარში დარტყმა:** 4-12 (3-4); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

მაყურებელი: 26 272

ვულვერჰემპტონი–ფულჰემი 2:0

ვულვერჰემპტონი (4-4-2): ჰენესი - სტირმენი, რ. ჯონსონი, ბერა, უორდი - ჯერვისი (90. ნაითლი), ჰენრი, ო'ჰარა, ჰანტი (84. ფოული) - დოილი, ფლეტჩერი (90. ელოკობი).

ფულჰემი (4-5-1): შვაცერი - ჰიუზი, ჰანგელანდი, სენდეროსი, რიისე - დაფი, ეტუჰუ (46. სიდუელი), მერფი, კასამი (46. დემბელეე), დემბასიჯ ე. ჯონსონი.

გოლები: 1:0 დოილი (42), 2:0 ჯერვისი (45)

გაფრთხილება: დოილი, ჰანტი - დემბელე, რიისე

კუთხური: 7-8; **ჯარიმა:** 12-12; **კარში დარტყმა:** 16-8 (7-4); **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

მაყურებელი: 22 657

ბოლტონი–მანჩესტერ სიტი 2:3

ბოლტონი (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, გ. კეჰილი, ნაითი, რობინსონი - იგლზი (78. პრტლი), რიო-კოკერი, მუამბა (60. მ.დევისი), მ. პეტროვი - კ. დევისი, კლასნიჩი.

მანჩესტერ სიტი (4-3-3): ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი - ი. ტურე, ბერი, მილნერი - აგუერო (68. ტევესი), ჯეკო (80. ჯონსონი), სილვა (89. საბალეტა).

გოლები: 0:1 სილვა (26), 0:2 ბერი (38), 1:2 კლასნიჩი (39), 1:3 ჯეკო (47), 2:3 კ. დევისი (63)

გაფრთხილება: მუამბა, კ. დევისი (ორივე ბოლტონი)

კუთხური: 7-8; **ჯარიმა:** 20-22; **კარში დარტყმა:** 5-16 (3-8); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

მაყურებელი: 24 273

მანჩესტერ იუნაიტედი-ტოტენჰემი დღეს

1. სიტი	2	2	0	0	7-2	6
2. ვულვზი	2	2	0	0	4-1	6
3. ასტონ ვილა	2	1	1	0	3-1	4
4. ლივერპული	2	1	1	0	3-1	4
5. ჩელსი	2	1	1	0	2-1	4
6. ნიუკასლი	2	1	1	0	1-0	4
7. ბოლტონი	2	1	0	1	6-3	3
8. მანჩესტერი	1	1	0	0	2-1	3
9. ქუინზ პარკი	2	1	0	1	1-4	3
10. ნორვიჩი	2	0	2	0	2-2	2
11. უიგანი	2	0	2	0	1-1	2
12. სტოკ სიტი	2	0	2	0	1-1	2
13. სანდერლენდი	2	0	1	1	1-2	1
14. არსენალი	2	0	1	1	0-2	1
15. ფულჰემი	2	0	1	1	0-2	1
16. სუონსი	2	0	1	1	0-4	1
17. ტოტენჰემი	0	0	0	0	0-0	0
18. ევერტონი	1	0	0	1	0-1	0
19. ვესტ ბრომვიჩი	2	0	0	2	2-4	0
20. ბლექბერნი	2	0	0	2	2-5	0

ბომბარდირები: 2 - აგუერო (სიტი), ჯეკო (სიტი), კლასნიჩი (ბოლტონი), ლონგი (ვესტ ბრომვიჩი), სილვა (სიტი), სუარესი (ლივერპული).

ინგლისი. ჩემპიონშიპი IV ტური

ბრაიტონი-ბლექპული 2:2

გოლები: 1:0 მეკეელ-სმიტი (29), 2:0 ბერნესი (50), 2:1 კ. ფილიპსი (60), 2:2 ჯ. ფილიპსი (60)

ბრისტოლი-პორტსმუთი 0:0

ბარნლი-კარდიფი 1:1

გოლები: 1:0 ოსტინი (2), 1:1 ერნშოუ (40)

ქოვენთრი-უოტფორდი 0:0

დერბი-დონკასტერი 3:0

გოლები: 1:0 კილბეინი (6), 2:0 ს. დევისი (46), 3:0 ბ. დევისი (62)

ჰალი-კრ.პალასი 0:1

გოლი: 0:1 ჩესტერი (15 ს.კ.)

ნოტინგემი-ლესტერი 2:2

გოლები: 0:1 ნაჯენტი (18), 0:2 ფერნანდესი (21), 2:1 მაკგუგანი (79-პენ), 2:2 ბოატენგი (90)

რედინგი-ბარნსლი 1:2

გოლები: 0:1 ს. ფოსტერი (27), 0:2 დონი (68), 1:2 რობსონ-კანუ (74-პენ)

საუთჰემპტონი-მილუოლი 1:0

გოლი: 1:0 დო პრადო (18)

პიტერბორო-იფსვიჩი 7:1

გოლები: 0:1 ენდრიუსი (23), 1:1 ბ. ტეილორი (30), 2:1 ტომლინი (38), 3:1 ბ. ტეილორი (40), 4:1 ტომლინი (42), 5:1 მაკენი (48-პენ), 6:1 მაკკენი (56), 7:1 ტომლინი (90)

ვესტ ჰემი-ლიდსი 2:2

გოლები: 1:0 კოული (6), 1:1 მაკკორმაკი (59), 2:1 კისნორბო (61 ს.კ.), 2:2 კლეიტონი (90)

ვერ გაიტანა პენალტი: გრედელი (28 - ლიდსი)

მიდლსბრო-ბირმინგემი 3:1

გოლები: 0:1 რუნი (36-პენ), 1:1 რობსონი (48), 2:1 ჰარუნი (69), 3:1 მარტინი (72)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საუთჰემპტონი	4	4	0	0	10-3	12
2. დერბი	4	4	0	0	7-1	12
3. მიდლსბრო	4	3	1	0	9-4	10
4. ბრაიტონი	4	3	1	0	8-4	10
5. კრ. პალასი	4	3	0	1	6-3	9
6. პიტერბორო	4	2	1	1	12-6	7
7. ვესტ ჰემი	4	2	1	1	7-3	7
8. კარდიფი	4	2	1	1	6-5	7
9. ბლექპული	4	2	1	1	5-4	7
10. მილუოლი	4	1	2	1	6-5	5
11. პორტსმუთი	4	1	2	1	3-3	5
12. ნოტინგემი	4	1	2	1	3-4	5
13. ლიდსი	4	1	1	2	7-7	4
14. რედინგი	4	1	1	2	5-5	4
15. ლესტერი	4	1	1	2	4-6	4
16. ბარნსლი	4	1	1	2	3-5	4
17. ბრისტოლი	4	1	1	2	3-7	4
18. ბირმინგემი	3	1	0	2	3-5	3
19. ჰალი	4	1	0	3	2-6	3
20. იფსვიჩი	4	1	0	3	6-13	3
21. ბარნლი	3	0	2	1	3-5	2
22. უოტფორდი	4	0	2	2	2-7	2
23. ქოვენთრი	4	0	1	3	1-4	1
24. დონკასტერი	4	0	0	4	1-7	0

ბომბარდირები: 4 - კ. ფილიპსი (ბლექპული); 3 - ბარნსი (ბრაიტონი), კონოლი (საუთჰემპტონი), მ. დევისი (დერბი), იმნესი (მიდლსბრო), ლალანა (საუთჰემპტონი), მეინარდი (ბრისტოლი), მაკენი (პიტერბორო), ტეილორი (პიტერბორო), ტომლინი (პიტერბორო); 2 - ენდრიუსი (იფსვიჩი), ოსტინი (ბარნლი), ბაკლი (ბრაიტონი), ჩოპრა (იფსვიჩი), კოული (ვესტ ჰემი).

პირველი ლიგა IV ტური

ბრენტფორდი-ლეიტონი 5:0, კერლისლი-ბურნმუთი 2:1, ჩარლტონი-სკანთორპი 2:2, ჰადერსფილგი-კოლჩესტერი 3:2, მილტონი-ჩესტერფილდი 6:2, ოლდჰემი-როჩდეილი 2:0, პრესტონი-ექსეტერი 1:0, შეფილდ უენსდი-ნოთს ქაუნთი 2:1, სტივენეჯი-ჰარტლპული 2:2, ტრანმერი-შეფილდ იუნაიტედი 1:1, უოლსოლი-იეოვილი 1:1, უიკომბი-ბერი 0:2.

მეორე ლიგა IV ტური

უიმბლდონი-ჰერეფორდი 1:1, ბრედფორდი-დაგენჰემი 0:1, ჯილინგჰემი-ბლიმუთი 3:0, მაკლსფილდი-ბრისტოლი 0:0, მორკეიმბი-ოლდერშიტი 2:0, ნორთემპტონი-ჩელტენჰემი 2:3, პორტ ვეილი-ეკრინგტონი 4:1, როტერჰემი-ბერნეტი 2:2, შრუსბერი-ქრუ 2:0, საუთენდი-ბარტონი 0:1, თორგუეი-ქროული 1:3, სუინდონი-ოქსფორდი 1:2.

კონფერენსი III ტური

ლინკოლნი-ვრექსჰემი 1:2, ოლფრეტონი-ფორესტ გრინი 1:6, ბათი-ბეროუ 0:1, ბრეინტრი-მენსფილდი 1:1, კემბრიჯი-კიდერმინსტერი 1:2, ფლიტვუდი-ჰეიესი 1:0, გეინსბეიდი-კეტერინგი 1:1, ლუტონი-საუთპორტი 5:1, ნიუპორტი-გრიმსბი 0:0, სტოკპორტი-ებსფლეიტი 1:1, ტამუორთი-დარლინგტონი 1:0, იორკი-ტელფორდი 0:1.

● გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური

პირველად 13 წლის შემდეგ

წლევანდელ გუნდესლიგას მიულოდნელი ლიდერი ჰყავს

რუგორც იქნა, ბუნდესლიგა ჩვეულ შედეგიანობას დაუბრუნდა. წინა ორ ტურში ჯამში 46 გოლი გავიდა და კინაღამ შედეგიანობის ანტირეკორდი მოიხსნა - 2000-01 წლების სანყის ორ ტურში მაყურებელმა 44 გოლი იხილა. ამჯერად კი, მესამე ტურის ცხრა მატჩზე 33 გოლი მოდიოდა.

შედეგიან ტურს საფუძველი პირველივე მატჩმა ჩაუყარა - „ბორუსია-პარკზე" მიონხენგლადბახის „ბორუსია" „ვოლფსბურგს" მასპინძლობდა. ორივე გუნდმა მოასწრო მთავარ გამომცდელთან - „ბაიერნთან" შეხვედრა. გლადბახმა პირველ ტურში სენსაციურად მოუგო რეკორდმაისტერს, „ვოლფსბურგმა" კი 90 წუთი ვერ გაძლო და **ლუის გუსტავოს** გოლით წააგო.

მასპინძლების მწვრთნელ **ლუსიენ ფავრს** სერიოზული პრობლემები ჰქონდა დაცვის ხაზში - ტრავმირებული იყო **შტრანცლი**, დისკვალიფიცირებული - **ბროუერსი**, ამიტომაც შვეიცარიელ სპეციალისტს საყრდენი ნახევარმცველის **ნორდტვეიტის** უკან დახევა დასჭირდა, მის ნაცვლად კი ცენტრში **მარქსი** დააყენა. რაც შეეხება „ვოლფსბურგს", პირველი ორი ტური მან ერთნაირი შემადგენლობით ითამაშა, ამჯერად კი მაგათმა ძირითადში ერთი ცვლილება მოახდინა - **ოხსი ჰიტცლშპერგერით** შეცვალა. „მგლებმა" გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ორი დღით ადრე გადაიბირეს „ვესტ ჰემიდან".

დაცვაში მასპინძელთა პრობლემებმა მხოლოდ მატჩის დასაწყისში იჩინა თავი და „ვოლფსბურგმა" სწრაფი გოლი გაიტანა - **ჰელმესი-სალიჰამიჯი-ჰასელაპარაკეთ, რომ ეს გუნდი 1998-99 წლების სეზონის შემდეგ პირველად ჩაუდგა სათავეში ცხრილს.**

■ ■ ■

ჩემპიონატის დაწყებამდე საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა „ბილდმა" - ვინ იქნება პირველი მწვრთნელი ახალ სეზონში, რომელსაც თანამდებობას დაატოვებინებენ? უმრავლესობამ ასეთად „ჰამბურგის" დამრიგებელი **მიხაელ იონინგი** დაასახელა. პირველ სამ ტურში მისმა გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო, ასე რომ, ყველაფერი მართლაც მისი განთავისუფლებისკენ მიდის. „ჰამბურგის" ლეგენდა **უვე ზეელერი** იმასაც კი ამბობს - კმაყოფილი ვიქნებით, თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდებაო. იონინგი შარშან მეორე წრეში მივიდა „ჰამბურგში", პირველ მატჩში 6:2 გაანადგურა „კიოლნი" და იქედან მოყოლებული, ზედიზედ ათი ტურია ვერ ახერხებს გამარჯვებას.

„ჰამბურგის" მეტოქე „ბაიერნმა" კი თანდათან დაიწყო ფორმის აკრეფა და ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო („ციურიხთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩათვლით). **იუპ ჰაინკესმა** როტაცია აამოქმედა - ამჯერად დაცვის ცენტრში **ბოატენგი ვან ბუიტენით** შეცვალა, საყრდენის პოზიციაზე ლუის გუსტავოს ადგილი **ტიმოშჩუკმა** დაიკავა, ცენტრში **კროოსი მიულერმა** შეცვალა, რადგან **რობენი** დაუბრუნდა გუნდს. ასე რომ, როგორც იქნა, „ბაიერნის" დიდი სამეული (**რიბერი**-მიულერი-რობენი) ერთად შეიკრიბა და როცა მას საქმე მისდის, ნებისმიერ მეტოქეს პრობლემა ექმნება. ასე იყო მაგალითად ამ გუნდების

ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი. როისმა დუბლი შეასრულა

ბეს კომბინაცია საჯარიმოს გარედან იაპონელის ზუსტი დარტყმით დასრულდა. რთული სათქმელია, როგორ გაგრძელდებოდა მატჩი, ზუსტად სამ წუთში **კიაერს** საკუთარ საჯარიმოსთან შეცდომა რომ არ დაეშვა - დანიელს ფეხი დაუცდა, ბურთი **ბობადილიამ** აიღო და იქვე მყოფ **როისს** მიანოდა, რომელსაც ცარიელი კარის აღება არ გასჭირვებია.

ამის შემდეგ „ბორუსიამ" უდიდესი სათამაშო უპირატესობა მოიპოვა და როისის, **ჰანკესა** და ბობადილიას ტექნიკური და სწრაფი შეტევების წყალობით პირველივე ტაიმში მოამთავრა საქმე. ამას ისიც დაემატა, რომ სალიჰამიჯიჩმა ტრავმა მიიღო და მაგათი იძულებული გახდა, გამოუცდელი **შულცე** გამოეყვანა მოედანზე. სწორედ ამ უკანასკნელმა წააქცია საჯარიმოში როისი და ბუნდესლიგაში ცხრიდან მეცხრე პენალტი გაიტანა **დაემსმა**. ტაიმის ბოლო წუთზე კი კუთხურიდან ჩაწოდებულს ბობიდილიამ ორი მეტრიდან შეუცვალა მიმართულება.

„ვოლფსბურგი" საცოდავი სანახავი იყო, განსაკუთრებით ამ გუნდის დაცვა. მეორე ტაიმში როისმა დუბლი შეასრულა, თუმცა მასპინძლებს კიდევ ოთხი გოლის გატანა შეეძლოთ. „ბორუსიას" მატჩზე კი ასე დანვრილებით იმიტომ ვიშარშანდელ შეხვედრაში, რომელიც „ბაიერნმა" 6:0 მოიგო (იონინგი ამ მარცხს უნდა უმადლოდეს, რომ ახლა მთავარი მწვრთნელია - სწორედ იმ წაგების შემდეგ დაითხოვეს **არმინ ფეე**), ახლა კი ხუთბურთიანი სხვაობა დაფიქსირდა. ხუთიევ გოლის აღწერას არ მოვყვებით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „ჰამბურგის" დაცვა სრულ კატასტროფას ჰგავდა. იონინგის გუნდი „ფრაიბურგთან" და „კიოლთან" ერთად 16-18-ე ადგილებს იყოფს.

■ ■ ■

ბრწყინვალე ფორმაშია „ფრაიბურგის" ლიდერი **პაპის დემბა სისე**, რომელსაც უკვე ოთხი გოლი დაუგროვდა. პირველ ტურში ერთი გოლით ის კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს **ალექსანდრე იაშვილს** გაუთანაბრდა, მეორეში უკვე „ფრაიბურგის" ისტორიაში აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა (30 გოლი), ამჯერად კი დუბლი შეასრულა, მაგრამ ეს გოლები მის გუნდს არ შველის. „ფრაიბურგმა" ხუთი გოლი მიიღო „ვერდერისგან" და აშკარა აუტსაიდერად ჩამოყალიბდა, მისი დებიუტანტი მწვრთნელი **მარკუს ზორგი** კი ბუნდესლიგაში პირველ გამარჯვებას ელის. ცნობისთვის, „ფრაიბურგმა" ბოლოს 2001 წელს მოუგო „ვერდერს" (3:0) და მაშინ ერთი გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანა.

სამაგიეროდ, „ფრაიბურგის" ყოფილმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო „ლევერკუზენის" დამრიგებლის რანგში. ვიცე-ჩემპიონი ჯერ საკმაოდ მძიმედ გამოიყურება, მაგრამ „შტუტგარტში" მოგება იმის მანიშნებელია, რომ „ფარმაცევტები" ფორმაში შედიან. ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში გავიდა - **კადლეცმა** დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა, რომელიც **ულრაიხმა** ცუდად მოიგერია და დამატებაზე **კისლინგმა** იმარჯვა. სხვათა შორის დუტმა ისევ ჩამოაშორა ძირითადს **ბალაკი**, რაც გასაკვირი არ არის - მისთვის ბოძებულ სათამაშო დროში მიხაელს ზუსტად ერთხელაც არ დაურტყამს და ორთაბრძოლების 35 პროცენტი წააგო. ერთადერთი, რითიც ბალაკი იწონებს თავს - ჯამში გარბენილი 11 კილომეტრია.

წინა ტურში განცდილი ფიასკოს შემდეგ ჩემპიონმა დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა „ნიურნბერგის" წინააღმდეგ. პირველ ტაიმში მცირე სათამაშო პრობლემების მიუხედავად, „დორტმუნდი" დიდ უპირატესობას ფლობდა, რომელიც მეორე ტაიმში ორ გოლში გარდასახა. ჯერ **ლევანდოვსკიმ** გამოიყენა **გიოტცეს** პასი, შემდეგ კი **გროსკროიტცმა** სეზონში მესამე ბურთი შეაგდო. „დორტმუნდმა" შინ წაუგებელი სერია 18 მატჩამდე აიყვანა, მის მწვრთნელს **იურგენ კლოპს** კი „ნიურნბერგის" წინააღმდეგ ხუთიდან ხუთი მოგება აქვს.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო „ჰოფენჰაიმმა". „დორტმუნდის" ძლევის შემდეგ **სტანისლავსკის** გუნდმა პირველი მარცხი აგემა ბუნდესლიგის აბსოლუტურ დებიუტანტს „აუგსბურგს". სტუმრებმა სწრაფი გოლი გაიტანეს, რომელიც **ბაბელის** ანგარიშზეა. „აუგსბურგის" შეტევების ლიდერს **მიოლდერს** შანსი ჰქონდა გოლების რაოდენობით სისეს დასწეოდა, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ 11-მეტრიანი არ ააცილა **სალიჰოვიჩმა** და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა - 0:2.

წესით კმაყოფილი უნდა იყოს „კიოლნის" ახალი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** - ჩემპიონატში კატასტროფული სტარტის შემდეგ (ორი წაგება, ბურთების შეფარდება - 1:8) „თხებმა" პირველი ქულა აიღეს. ხორვატმა **იაიალომ** შინ ქულა გადაარჩინა „კაიზერთან" მატჩში. ისე კი, სტატისტიკის მიხედვით მასპინძლებს ამ შეხვედრაში შანსი არ უნდა ჰქონოდათ - ბოლოს მათ „კაიზერსლაუტერნს" 1989 წელს მოუგეს. მას შემდეგ „კიოლნის" 14 მწვრთნელი (!) ცდილობდა ნავსის გატეხვას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

■ ■ ■

კვირის მატჩებში ლიდერები თამაშობდნენ. ტურის ერთ-ერთი საუკეთესო დაპირისპირება შემოგვთავაზეს „მაინცმა" და „შალკემ". **ტუხელის** გუნდმა სტარტზე ორი გოლი გაიტანა და თითქოს სამამდე უნდა აეყვანა მოგებათა სერია, მაგრამ მეორე ტაიმში სულ სხვა „შალკე" ვიხილეთ. **რანგნიკმა** შემადგენლობას მოაშორა უსარგებლო ფლანგელები - **ხურადო** და **მორავეკი** და მათ ნაცვლად **ფარფანი** და **დრაქსლერი** გამოიყვანა. „ლურჯებმა" მაშინვე უმატეს ტემპს, გააქტიურდნენ **ჰოლტბი** და **რაული** და ამ ყველაფერმა მიულერის კარში ოთხი გოლი მოიტანა. **ჰუნტელაარმა** მეოთხე ბურთი შეაგდო და ბომბარდირთა დავაში სისეს გაუთანაბრა, რანგნიკმა კი მწვრთნელის რანგში პირველად მოუგო ტუხელს (მანამდე ოთხიდან ოთხი წაგება ჰქონდა).

ვერც „ჰანოვერმა" მოიგო ზედიზედ მესამე მატჩი. „ჰერტამ" მთავარი მოახერხა - შეაჩერა ნორვეგიელი **აბდელაუე**, რომელსაც **სლომკას** გუნდის ბოლო ათი გოლიდან შვიდში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. გარდა ამისა, ბერლინელებს სტატისტიკის მიხედვითაც არ მართებდა წაგება - ჰანოვერში გამართულ ბოლო 12 მატჩში „ჰერტა" არ მარცხდებოდა და ეს სერია გუშინ გააგრძელა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი 4:1

ბორუსია: ტერ შტეგენი - იანტჩკე, ნორდტვეიტი, დანტე, დამსი - მარქსი, ნოიშტადტერი - როისი (88. ჰერმანი), არანგო - ჰანკე (86. კინგი), ბობადილია (81. ლეკი).

ვოლფსბურგი: ბენალიო - სალიჰამიჯიჩი (23. შულცე), კიაერი, რუსი, შეფერი - ჟოსუე (84. ენოხე) - ტრეში, ჰიტლცშპერგერი - ჰასელბე - ჰელმესი, მანჯუკიჩი (58. ლაკიჩი).

გოლები: 0:1 ჰასელბე (12), 1:1 როისი (15), 2:1 დამსი (32-პენ), 3:1 ბობიდილია (45), 4:1 როისი (67)

გაფრთხილება: ჰანკე - რუსი, შულცე

მაყურებელი: 43 224

ბაიერნი-ჰამბურგი 5:0

ბაიერნი: ნოიერი - რაფინია, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი - რობენი (65. ალაბა), მიულერი, რიბერი (71. ოლიჩი) - გომესი (74. პეტერსენი).

ჰამბურგი: დრობნი - დიკმაიერი (67. ტეშე), მანსიენი, ბრუმა, აოგო - იაროლიმი, ვესტერმანი - რინკონი, სონი (87. ელია), იანსენი - გიოქჰან თორე (67. კაჩარი).

გოლები: 1:0 ვან ბუიტენი (13), 2:0 რიბერი (17), 3:0 რობენი (34), 4:0 გომესი (56), 5:0 ოლიჩი (80)

გაფრთხილება: ტიმოშჩუკი, რაფინია - აოგო, ვესტერმანი, მანსიენი

მაყურებელი: 69 000

ვერდერი-ფრაიბურგი 5:3

ვერდერი: ვიზე - პაპასტატოპულოსი, მერტეზაკერი, ვოლფი, შმიტცი - ბარგფრედე - ფრიტცი (77. ვესლი), ჰუნტი - მარინი, პისარო (85. ეკიჩი), როზენბერგი (62. არნაუტოვიჩი).

ფრაიბურგი: ბაუმანი - უილიამსი, ბარტი, კრმაში, ბასტიანსი - ფლუმი (88. იენდრიშეკი), შუსტერი - მაკიადი (80. დემბელე), აბდესადკი (46. კალიჯური) - სისე, რაიზინგერი.

გოლები: 0:1 სისე (7), 1:1 ფრიტცი (30), 2:1 პისარო (34), 2:2 სისე (48), 3:2 არნაუტოვიჩი (65), 3:3 რაიზინგერი (84), 4:3 ჰუნტი (87), 5:3 ვესლი (90+3)

გაფრთხილება: შმიტცი - კრმაში, ფლუმი, შუსტერი, რაიზინგერი

მაყურებელი: 39 201

შტუტგარტი-ლევერკუზენი 0:1

შტუტგარტი: ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, მაზა, მოლინარო (75. ტრაორე) - კვისტი, კუუმანენიჩი - ჰარნიკი, ჰაინალი (60. პოგრებნიაკი), გენტნერი (60. ოკაზაკი) - კაკაუ.

ლევერკუზენი: ლენო - კასტრო, თოფრაქი, რაინარტცი, კადლეცი - ლ. ბენდერი, როლფესი - სემი (81. შვააბი), რენატო აუგუსტო (71. ბალიტჩი), შიურლე - კისლინგი (75. დერდიოკი).

გოლი: 0:1 კისლინგი (28)

გაძევება: ბულარუზი (91. შტუტგარტი)

გაფრთხილება: მაზა

მაყურებელი: 53 000

დორტმუნდი-ნიურნბერგი 2:0

დორტმუნდი: ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, გიუნდოგანი - გიოტხე (84. კელი), კაგაფა (66. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი (72. პერიშიჩი).

ნიურნბერგი: რაკოვსკი - ჩენდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა - სიმონსი - ჰეგელერი (77. მაკი), კოენი (77. მენდლერი), ფოილნერი (68. ვისმაიერი), აიგლერი - პეკჰარტი.

გოლები: 1:0 ლევანდოვსკი (50), 2:0 გროსკროიტცი (80)

გაფრთხილება: პინოლა, ჰეგელერი

მაყურებელი: 78 400

აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი 0:2

აუგსბურგი: იენტცში - ფერჰეგი (83. ნდიენგი), სანკოჭი, დე რეკი, დე იონგი (70. ვერნერი) - სინკალა (78. კალსენ ბრაკერი) - გოგია, ჰოსოგაი, ბაიერი, ბელინგჰაუზენი - მიოლდერსი.

ჰოფენჰაიმი: შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰეიდი - რუდი, სალიჰოვიჩი - იონსონი (77. კაიზერი), რობერტო ფირმინო, ობასი (62. მლაპა) - ბაბელი.

გოლები: 0:1 ბაბელი (5), 0:2 სალიჰოვიჩი (75-პენ)

59-ე წუთზე მიოლდერსმა (აუგსბურგი) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: დე რეკი - რუდი

მაყურებელი: 30 004

კიოლნი-კაიზერი 1:1

კიოლნი: ვარვოდიჩი - ბრეჩკო, მაკენა (85. მატუშიკი), ჟერომელი, აიხნერი (6. ანდრეზინიო) - ლანგი, რიტერი - ჩიჰი, პეშკო (72. კლეგენსი) - იაიალო - ნოვაკოვიჩი.

კაიზერი: ტრაპი - დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი - ტიფერტი, კირხი (90. პეტსოსი) - ფორტუნისი (75. შაპანი), ილიჩევიჩი - შეხტერი, სუკუტა-ჰასო (86. კუმენაჰა).

გოლები: 0:1 ილიჩევიჩი (17), 1:1 იაიალო (19)

გაფრთხილება: ლანგი, ბრეჩკო, ანდრეზინიო - ამედიკი, კირხი, დიკი, იესენი

მაყურებელი: 47 200

მაინცი-შალკე 2:4

მაინცი: მიულერი - კალიჯური, სვენსონი, ნოვესკი, ფათჰი - პოლანსკი, სოტო (78. სლიშკოვიჩი) - რისე (46. ჩუპო-მოტინგი), ივანშიტცი, შტიბერი (61. კირჰოფი) - ალაგუი.

შალკე: ფერმანი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი - პაპადოპულოსი - ძორავენკი (46. ფარფანი)- ჰოლტბი, ზურადო (46. დრაქსლერი) - რაული - ჰუნტელაარი (36. ბარიკა).

გოლები: 1:0 იანშიტცი (7), 2:0 ზოტო (12), 2:1 ჰუნტელაარი (57), 2:2 ჰიოვედესი (64), 2:3 მატიპი (81), 2:4 ფუხსი (90)

გაფრთხილება: პაპადოპულოსი, დრაქსლერი

მაყურებელი: 34 000

ჰანოვერი-ჰერტა 1:1

ჰანოვერი: ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეტცი, შულცი - შმიდებახი, პინტუ - შტინდლი, რაუში (68. პანდერი) - აბდელაუე (60. იაკონანი), შლაუდრაფი (78. შტოკელკამპი).

ჰერტა: კრაფტი - ლელი, ფრანცი, მიატოვიჩი, კობიაშვილი - ოტლი, ნიმაიერი (75. რუკავიცა) - ებერტი, რაფაელი, თორუნი (61. ლასოგა) - რამოსი.

გოლები: 1:0 პინტუ (33), 1:1 ლასოგა (83)

გაფრთხილება: პინტუ - მიატოვიჩი, ებერტი, თორუნი, ლასოგა, ლელი, ფრანცი

მაყურებელი: 41 200

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბორუსია (მ)	3	2	1	0	6-2	7
2. ჰანოვერი	3	2	1	0	5-3	7
3. ბაიერნი	3	2	0	1	6-1	6
4. შალკე	3	2	0	1	9-6	6
5. ვერდერი	3	2	0	1	7-4	6
6. დორტმუნდი	3	2	0	1	5-2	6
7. ჰოფენჰაიმი	3	2	0	1	4-2	6
8. მაინცი	3	2	0	1	6-5	6
9. ლევერკუზენი	3	2	0	1	2-2	6
10. შტუტგარტი	3	1	1	1	4-2	4
11. ვოლფსბურგი	3	1	0	2	4-5	3
12. ნიურნბერგი	3	1	0	2	2-4	3
13. ჰერტა	3	0	2	1	3-4	2
14. აუგსბურგი	3	0	2	1	3-5	2
15. კაიზერი	3	0	2	1	2-4	2
16. ფრაიბურგი	3	0	1	2	6-9	1
17. ჰამბურგი	3	0	1	2	3-10	1
18. კიოლნი	3	0	1	2	2-9	1

ბომბარდირები: 4 - სისე (ფრაიბურგი), ჰუნტელაარი (შალკე); 3 - გროსკროიტცი (დორტმუნდი), მიოლდერსი (აუგსბურგი), სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი).

II ბუნდესლიგა

V ტური

ფორტუნა-მიუნხენი 3:1

გოლები: 1:0 რიოსლერი (29-პენ), 2:0 ლამბერტცი (46), 3:0 ბაისტერი (67), 3:1 ლაუტი (85-პენ)

ფიურტი-ინგოლშტადტი 3:0

გოლები: 1:0 ოსეანი (9), 2:0 ნიოტე (53), 3:0 კლაუსი (74)

ჰანზა-ალემანია 0:0

ბრაუნშვაიგი-აუე 1:1

გოლები: 1:0 კრუპკე (7), 1:1 ჰოხშაიდტი (31)

უნიონი-ბოხუმი 2:1

გოლები: 0:1 ინუი (38), 1:1 კარლოსი (45-პენ), 2:1 მოსკერა (64)

დინამო-პადერბორნი 1:2

გოლები: 0:1 გონტერი (35), 0:2 მეა (84), 1:2 კოხი (90)

კოტბუსი-კარლსრუე 2:0

გოლები: 1:0 რანგელოვი (14), 2:0 რანგელოვი (22-პენ)

ფრანკფურტი-აინტრახტი 0:4

გოლები: 0:1 როდე (17), 0:2 გეკასი (31-პენ), 0:3 კოლერი (40), 0:4 კოლერი (89)

სტ. პაული-დუისბურგი დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ფიურტი	5	4	0	1	11-3	12
2. კოტბუსი	5	4	0	1	8-7	12
3. აინტრახტი	5	3	2	0	12-4	11
4. ფორტუნა	5	3	2	0	11-4	11
5. სტ. პაული	4	3	1	0	8-3	10
6. ბრაუნშვაიგი	5	3	1	1	9-6	10
7. მიუნხენი	5	3	0	2	13-7	9
8. პადერბორნი	5	2	1	2	5-7	7
9. უნიონი	5	2	1	2	6-10	7
10. კარლსრუე	5	2	0	3	7-9	6
11. აუე	5	1	2	2	2-7	5
12. დინამო	5	1	1	3	7-6	4
13. ჰანზა	5	0	4	1	2-3	4
14. ბოხუმი	5	1	1	3	3-6	4
15. ფრანკფურტი	5	0	3	2	2-7	3
16. დუისბურგი	4	0	2	2	3-5	2
17. ინგოლშტადტი	5	0	2	3	2-10	2
18. ალემანია	5	0	1	4	1-8	1

ბომბარდირები: 5 - მაიერი (აინტრახტი); 4 - ნიოტე (ფიურტი), ოსეანი (ფიურტი), რანგელოვი (კოტბუსი); 3 - ბრიოკერი (ფორტუნა), ჰალფარი (მიუნხენი), იაშვილი (კარლსრუე), კოლერი (აინტრახტი), კრუპკე (ბრაუნშვაიგი), ლაუტი (მიუნხენი), რიოსლერი (ფორტუნა).

III ბუნდესლიგა

VI ტური

შტუტგარტი II-ზაარბრიუკენი 1:1; არმინია-ვეენი 0:1; ბაბელსბერგი-ჰაიდენჰაიმი 2:2; კარლ ცაისი-ოფენბახი 1:2; ხემნიცი-ზანდჰაუზენი 1:3; დარმშტადტი-რეგენსბურგი 1:1; ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი 1:0; ოსნაბრიუკი-ბურგჰაუზენი 1:1; აალენი-ერფურტი 2:0; ვერდერი II-მიუნსტერი 0:0.

● ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

მსოფლიოზე პაბრიარქის ლოცვა-კურთხევით

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები უკვე პარიზშია, სადაც ზეგ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. შაბათს გუნდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო, მისი ლოცვა-კურთხევიდან რამდენიმე საათში კი სპორტსმენებმა გეზი საფრანგეთისკენ აიღეს.

მსოფლიოს ჩემპიონატში ამჯერად ჩვენგან მხოლოდ ვაჟთა გუნდი გამოვა, ქალებში კი მონაწილე არ გვეყოლება. ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** პარიზში **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე – 60), **შალვა ქარდავა, დავით ასუმბანი** (ორივე – 66), **ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ყორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) წაიყვანა. გუნდში ერთადერთი პრობლემა ქარდავას ტრავმაა – წელი აწუხებს, რის გამოც ბოლო წუთამდე დაკვირვების ქვეშ იყო, თუმცა მწვრთნელმა მაინც ჩართო ნაკრებში, ოღონდ გამაყუჩებლებით თუ იჭიდავებს.

ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ეტაპებად და განსხვავებული გრაფიკით ემზადებოდა. თავიდან რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოვიდნენ, რასაც ავსტრიელი ექიმების მიერ უახლესი აპარატურით ჩატარებული კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევებიც დაემატა. ამის საფუძველზე ზაიზენბახერმა აარჩია ძიუდოისტთა ჯგუფი და დაიწყო მისი მიზანმიმართული მზადება მსოფლიოს პირველობისთვის. მზადების არსი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მწვრთნელმა იუარა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლა და აქცენტი შეკრებებზე გადაიტანა, სადაც შეგირდებს ფიზიკურ დატვირთვებზე და სხვადასხვა სახის ტაქტიკურ-ტექნიკური საჭიდაო კომპონენტის დახვეწაში ავარჯიშებდა. მან მიზნად საჭიდაო სტილის შეცვლა და თანამედროვე წესებზე მორგება დაისახა, ხოლო რა გამოუვიდა ამ მცდელობიდან, 23-27 აგვისტოს პარიზში გამოჩნდება, როცა პირადი პირველობა გაიმართება, 28 აგვისტო კი გუნდურ შეჯიბრებას დაეთმობა.

ამ ტურნირში თავდაპირველად ჩვენები ქალთა მონაწილეობასაც გეგმავდნენ, ბოლოს კი ლაპარაკი მხოლოდ ერთ წარმომადგენელზე იყო, თუმცა საბოლოოდ ფედერაციამ პარიზში ვინმეს გაგზავნა არ მიიჩნია მიზანშეწონილად. მიზეზი დაბალი შედეგებია – კანდიდატები, როგორც წესი, პირველი წრეში მარცხდებოდნენ. აი, სამომავლოდ, იმედია, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება, რადგან ასაკობრივ გუნდებში რამდენიმე ნიჭიერი გოგო გამოჩნდა, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ 2016 წელს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის საგზურის მოპოვება.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინალური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟსაც გეგმავს.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

ჭაბუკი მშვილდოსნები მსოფლიოზე

23-28 **აგვისტოს** პოლონური ლეგნიცა ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, თუმცა ჩვენ მასში მონაწილენი მხოლოდ ჭაბუკთა ასაკში გვეყოლებიან – დაბალი შედეგების გამო ახალგაზრდების წაყვანა მწვრთნელებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. ჭაბუკებშიც ძველი სტერეოტიპი იმსხვრევა – საქართველში მშვილდოსნობა ძირითადად ქალებთან ასოცირდება, ახლანდელ გუნდში კი ბალანსი აშკარად მამრობითთა მხარესაა – 1 გოგო და 3 ბიჭი გვეყოლება: **თეონა კუტალაძე, ირაკლი ქვლივიძე, ლაშა ფხაკაძე, გიორგი წიბლიაშვილი.**

გუნდი გუშინ დილით გაფრინდა პოლონეთში მთავარ მწვრთნელ **გია მაკიევისა** და **თემურ მორგოშაძის** ხელმძღვანელობით. ხვალ ლეგნიცაში ოფიციალური ვარჯიშია, ზეგ კი პირველი საშეჯიბრებო დღეა.

ირაკლი თავაძე



ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ამაგდარი მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, თსუ-ს ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის ყოფილი ხელმძღვანელი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, მრავალი საბრძოლო, შრომითი ორდენისა და მედლის კავალერი

კალისტრატე შეყილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 23 აგვისტოს 15 საათზე
მის. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №13.

● თავისუფალი ჭიდაობა

ჭაბუკთა უნგრული გამოცდა

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები გუშინ დილით უნგრეთში გაფრინდა, სადაც 23-24 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება.

ჩემპიონატს ქალაქი სომბათჰეი უმასპინძლებს, რომელიც ბოლო წლებში ერთ-ერთ მთავარ ევროპულ საჭიდაო ცენტრად იქცა – უკვე რამდენიმე წელიწადია, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ზედიზედ მასპინძლობს „ოქროს დიდი პრიზის“ პირველ შეჯიბრებას, ამჯერად კი ბევრად მასშტაბურ ტურნირს შეეჭიდა. სხვათა შორის, თვით მსოფლიოს ეს პირველობაც ახალი ეტაპის დასაწყისია ჭაბუკთა ასაკში – აქამდე მსგავსი შეჯიბრება ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, ამიერიდან კი ყოველწლიურად გაიმართება.

ჩვენი ჭაბუკი „თავისუფლების“ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** უნგრეთში ლამის უცვლელად წაიყვანა ის გუნდი, რომელმაც ორი კვირის წინათ წარმატებით იჭიდავა ვარშავაში, ევროპის პირველობაზე – იქ ჩვენებმა თითო ოქრო-ბრინჯაო და 2 ვერცხლი მოიპოვეს. მწვრთნელმა ახლანდელ ნაკრებში ერთი იძულებითი ცვლილება შეიტანა – ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **შოთა ფანცულაიამ** (50) წონა ვერ დაიკლო, სხვა წონებში კი სათადარიგო კანდიდატები ბევრი არც უძებნია, რადგან ვარშავაში ნაასპარეზებ ხალხზე უკეთესები რეზერვში არც ეგულებოდა. **გიორგი პასიკაშვილი** (42), **რამაზ დარჩიძე** (46), **შალვა ხუციშვილი** (50), **შოთა ფარტენაძე** (54), **რაუფ შაკულ-ოღლი** (58), **ომარ გურჯიძე** (63), **შალვა ჭადაშვილი** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ბექა როჭიკაშვილი** (85), **გენო პეტრიაშვილი** (100) – ამჯერად ეს ჭაბუკები დაიცავენ საქართველოს ღირსებას უნგრეთში. მათგან პეტრიაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა, გურჯიძე მეორეზე გავიდა, ფარტენაძე –მესამეზე. გუნდის ლიდერი ამჯერადაც გორელი პეტრიაშვილი იქნება, რომელმაც წლეულს ახალგაზრდებშიც იჭიდავა ევროპის პირველობაზე და ბრინჯაოც მოიპოვა. მან კონტინენტის პირველობა ჭაბუკებში ძალზე იოლად მოიგო. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატი ბევრად ძლიერი შეჯიბრება იქნება, მაგრამ პეტრიაშვილი მაინც გამარჯვების უმთავრესი პრეტენდენტია. მან ვარშავაში ლამის ყველა იმ ქვეყანას მოუგო, რომლებიც ძირითადი კონკურენტები იქნებიან. ბუნებრივია, იქნებ ვინმემ შეცვალოს კიდეც მონაწილე და უფრო ძლიერი დააყენოს, მაგრამ ვარშავაში პეტრიაშვილი იმდენად მაღლა იდგა კონკურენტებზე, მისი სადარი მაინც ძნელი საპოვნი იქნება. ერთადერთი პრობლემა ისაა, მოასწრო თუ ვერა მან დასვენება და ძალების აღდგენა, რადგან ბოლო თვენახევარში მესამე პირველხარისხოვან შეჯიბრებაზე გამოდის.

ირაკლი თავაძე

● მსოფლიო უნივერსიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჭადრაკეთა გუნდური ბრინჯაო

ჩინურ შენჟენში გუშინ დამთავრდა მსოფლიო უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა პირველობა. საქართველოს დელეგაცია შინ ხელცარიელ დაბრუნებას სწორედ ბრძენთა თამაშის მოყვარულებმა გადაარჩინეს - ჩვენმა დიდოსტატმა გოგონებმა და საერთაშორისო ოსტატმა ვაჟებმა გუნდური მე-3 ადგილი დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ოცდახუთი ადგილი იძლეოდა ქულებს. ყველას ჩინელებმა აჯობეს, რომელთა 6 წარმომადგენელი მოხვდა საუკეთესოებში. მასპინძლებმა საბოლოოდ 41,5 ქულა მოაგროვეს. 30 ქულით ვერცხლის მედალი უკრაინელებს ხვდათ, ნახევარი ქულით ნაკლები (29,5) მოაგროვეს ქართველებმა და ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ.

რაც შეეხება პირად პირველობას, უკვე გაუწყეთ, რომ ვაჟებში ასპარეზობის დამთავრებამდე ტურით ადრე მოიპოვა ჩემპიონობა ჩინელმა **ჩაო ლიმ** (2669), რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი ტურნირზე. გუშინ მან უკრაინელ იური ვოვკსაც სძლია და 9 შესაძლებლიდან 8,5 (!) ქულას მოუყარა თავი. შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა ჰაო ვანმა (ჩინეთი, 2718) გუშინ შავი ფიგურებით პაველ გზარნოტას (პოლონეთი) მოუგო. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ალექსანდრ რახმანოვი (რუსეთი)-იუე ვანი (ჩინეთი) 0,5:0,5, ჰუა ნი (ჩინეთი)-ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ბრაუნ არიკი (გერმანია)-ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი) 0,5:0,5, **დავით ბენიძე**-მარტინ კრავცივი (უკრაინა) 0:1 (რომ არა ეს მარცხი, ჩვენები უკრაინელებს გაუსწრებდნენ და გუნდურ მე-2 ადგილს დაიკავებდნენ), ვასილი პაპინი (რუსეთი)-ანდრეი ვოვკი (უკრაინა) 1:0... **ლუკა პაიჭაძეს** ყაზახი მეტოქე ანუარ ისმაგამბეტოვი არ გამოუცხადდა და მოგება ჩაეთვალა.

ამდენად, 9 შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და, შესაბამისად, მეორე-მეშვიდე ადგილებზე გავიდნენ **ჰაო ვანი** (ჩინეთი, 2718), **იუე ვანი** (ჩინეთი, 2709), ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი), მარტინ კრავცივი (უკრაინა), ალექსანდრ რახმანოვი (რუსეთი), ვასილ პაპინი (რუსეთი). 14. **ლუკა პაიჭაძე** (6), 17. **დავით ბენიძე** (5,5).

გოგონათა ბოლო ტურში ერთპიროვნული ლიდერი ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) თეთრი ფიგურებით დამარცხდა ბათჰუიანგ მონგონთუულთან (მონგოლეთი) და 6,5 ქულით მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. გუშინ ასევე წარმატებით ითამაშეს **ჟონი თანმა** (ჩინეთი) და **ქიან ჰუანმა** (ჩინეთი), რომლებმაც მარია მუზიჩუკს (უკრაინა) და ოლგა კალინინას (უკრაინა) მოუგეს. 7-7 ქულით სნორედ მასპინძლები გავიდნენ პირველ და მესამე ადგილებზე (ჟონი და ქიანი), ვერცხლის მედალი, ასევე, 7 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით **ბათჰუიაგ მონგონთუულს** ერგო. პირად პირველობაში ექვსიდან 5 მედალი მასპინძლებმა დაისაკუთრეს. მართლაც, უნიკალური შედეგია.

რაც შეეხებათ, ქართველ გოგონებს, გუშინ სამივემ გაიმარჯვა: **ნინო ბაციაშვილმა** შავი ფიგურებით პოლონეთის ნაკრების წევრ იოლანტა ზავადსკას გაუჩერებინა საათი. ასევე შავებით მიაღწიეს წარმატებას **მაკა ფურცელაძემ** და **სოფიკო გურამიშვილმა**, შესაბამისად, კარინა ამბარცუმოვასთან (რუსეთი) და ანა როდენბადთან (ბრაზილია). საბოლოოდ, ბაციაშვილი 6,5 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა, მაკა ფურცელაძე 6 ქულით მეათე იყო, სოფიო გურამიშვილი 5,5 ქულით - მეცხრამეტე.

მსოფლიო უნივერსიადა საზეიმოდ ხვალ დაიხურება.

ვაჟა დანელია

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სვანი; 6. "დინამო"; 7. „ნაპოლი"; 9. ეივე; 10. არბიტრი; 11. მური; 14. სიდნეი; 15. ნანგა; 17. მალხაზ; 18. ლაბაძე; 19. კოშტი; 20. "ოლიმპი"; 24. ენდი; 25. ვუდბოლი; 27. პეპე; 30. იგანი; 31. ხარიხა; 32. ბობი.

შვეულად: 1. კაბადი; 2. რაკი; 3. სოკერი; 4. "ინტერი"; 5. აპია; 6. დევიზი; 8. იზორია; 12. პენალტი; 13. მანასლუ; 14. სუმო; 16. ბეკი; 19. კონოლი; 21. პაპავა; 22. ჰუკი; 23. ულრიხი; 26. ბოსტონ; 28. კუნგ; 29. „ბარი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგბერთი

ოთხი ქართველი სტამბოლის თასზე

სტამბოლში იწყება საერთაშორისო ტურნირი ITK Open, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. ამ შეჯიბრებაში ჩვენი თანამემამულე **სოფიო შაფათავა** (296) მე-4 ნომრად იქნება განთესილი. სანამ ძირითადი ბადის წილისყრა არ გამართულა, სტარტი აიღო საკვალიფიკაციო ბატალიებმა, სადაც სამი ქართველი ასპარეზობს. I წრეში ყველაზე დიდ ინტერესს **სოფიო ქვაცაბაიასა** (448) და **ეკა გორგოძის** (453) დაპირისპირება იწვევს. ეს მათი მე-4 შეხვედრაა კარიერაში და მესამე წლეულს, 2:1 წინ გორგოძეა. **თათია მიქაძე** (474) კი მე-8 ნომრად განთესილ ბულგარელ **იზაბელა შინიკოვას** (401) ეთამაშება.

როგორც ხედავთ, სოფიო შაფათავა თურქეთშია და ამერიკის ღია პირველობაზე ვერ გამოვა (რეიტინგი არ ეყო საკვალიფიკაციო ბადეში მოსახვედრად). სამაგიეროდ, ნიუ იორკში ორი ქართველი ითამაშებს, **ანა ტატიშვილი** (85) ძირითად ბადეშია, ხოლო **მაკა ჩახნაშვილი** (215) - საკვალიფიკაციო ბადეში. კიდევ ერთი ჩვენებური, **ოქსანა კალაშნიკოვა** (211) ტრავმის გამო დიდი ხანია ვერ თამაშობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

შეკითხვა ლელოს

შეკითხვა: ხშირად ამბობენ და წერენ - „ალპინიზმი“, „მთამსვლელობა“, - რომელია სწორი?

მათე ბენიძე
სტუდენტი. თბილისი

მკითხველს უპასუხებს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი **ჯუმბერ ხანთაძე:**

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ალპინიზმი მაღალმთიანი ტურიზმის სახეობას წარმოადგენს და მიუვალ მთებზე, მყინვარებზე, მთაგრეხილებზე ასვლას გულისხმობს.

ჩვენ, ქართვები, დიდი მამულიშვილის, გიორგი ნიკოლაძის შემწეობით, უფრო ბევრისმომცველი ტერმინით - „მთამსვლელობით“ ვსარგებლობთ, რომლის უნივერსალურობის გამო, იგი ყველა მთიანეთისათვის გამოდგება, განსხვავებით „ალპინიზმისაგან“, რომელიც ალპებთან ასოცირდება.

ალპინიზმის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, რასაკვირველია, ვერ შევედავებით, თუმცა აქ სრულიად არაა გათვალისწინებული ადამიანის ის მუხტი, რომელმაც მას მიუვალ მთაზე ასვლა გადააწყვეტინა და არც ის ემოციური დატვირთვა, რომელიც ამ პროცესს თან სდევს. როცა თოკში ჩაბმული მიდიხარ ნაპრალებით დაღარულ ფერდობსა თუ თოვლყინულიან კლდოვან მონაკვეთზე და შენი ბედი შენს უკანმავალზეა დამოკიდებული, ხოლო მათი ბედი შენ მიერ ჩადებულ პალოზე, როცა საერთო თოკზე დაკიდებული ადამიანები ერთ ბედქვეშ ხართ და ყოფნა-არყოფნის შეგრძნება მთელი მარშრუტის ბოლომდე თან გსდევთ, სწორედ მაშინ იგრძნობთ, რომ მთამსვლელობა ყველა სხვა საქმიანობისაგან გამორჩეული, ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ულამაზესი, განსაკუთრებული და ხიფათით სავსე სფეროა.

ასე რომ, ვთქვათ და ვწეროთ: “მთამსვლელობა“, „მთამსვლელი“...

ქადრაკი

მეოთხე ჯურში შეფერხდნენ

საბერძნეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მთავარი პრიზისთვის მებრძოლთა შორის სამი ქართველი დიდოსტატიცაა - **ლელა ჯავახიშვილი, კონსტანტინე შანავა** და **დავით ჯოჯუა**. სამი ტურის შემდეგ ჩვენებურებს 2,5-2,5 ქულა ჰქონდათ და მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ. გუშინდელი მე-4 ტურის პარტიებმა კი ქართველთა წინსვლა შეაფერხა: ჯოჯუა შავი ფიგურებით არგენტინელ ფერნანდო პერალტას დაუზავდა,შანავა და ჯავახიშვილი კი, შესაბამისად,სუათ ატალიკთან (თურქეთი) და ვლადიმირ ბურმაკინთან (რუსეთი) დამარცხდნენ. რაც შეეხება ლიდერთა პარტიებს, სერგეი კასპაროვი (ბელარუსი) და ვასილიოს კოტრონიასს (საბერძნეთი) დაუზავდა, ვლადიმირ ბაკლანმა (უკრაინა) სეტურამანს (ინდოეთი) აჯობა, სერგეი ტივიაკოვმა (ჰოლანდია) - იოანის ნიკოლაიდისს (საბერძნეთი).

ამდენად, 4 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით კოტრონიასი, ბაკლანი, კასპაროვი, ატალიკი, ბურმაკინი და ტივიაკოვი მეწინავეობენ. დღეს მე-5 ტურში ქართველები ასე დაწყვილდნენ: ჯოჯუა-ხრისტოს ბანიკასი (საბერძნეთი), შანავა-ტატიანა კასპაროვა (ბელარუსი), ჯავახიშვილი-ანტონიოს სულოგიანოპულოსი (საბერძნეთი). სულ შეჯიბრებაზე შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გათამაშდება.

ვაჟა დანელია

ჩვენი რაგბი და ჩვენ

ფიქრები მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში

საკითხზე, თუ როდის გამოჩნდა პირველად საქართველოში რაგბის ოვალური ბურთი, XX საუკუნის 20-იან თუ 40 - იან წლებში, მკვლევარებს შორის, აზრთა სხვადასხვაობაა. რაც შეეხება მის ოფიციალურად დაფუძნებას, აქ სრული თანხმობაა. წლეულს საიუბილეო წელია. 50 წლის წინათ – 1961 წლის 30 ნოემბერს თბილისში, ქალაქის სპორტკომიტეტში, მოსკოვიდან დაბრუნებული გივი მრელაშვილის ინიციატივით ჩატარდა რაგბის საქალაქო ფედერაციის (სექციის) დამფუძნებელთა ყრილობა. მანამდე კი 1959 წლის 15 ოქტომბერს რაგბის პირველი კლუბი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დააფუძნა ფრანგმა იმიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა. ეს საიუბილეო თარიღი 2009 წელს აღინიშნა. ხსენებულ ყრილობაზე ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს გივი მრელაშვილი, მოადგილედ – ჟაკ ასპეკიანი. გივი მრელაშვილი წლების განმავლობაში თავკაცობდა ფედერაციას, შეიყვანეს სსრკ-ს რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, „რაგბის ოქროს ვეტერანების ევროპის კომიტეტის წევრი“, მორაგბეთა შორის პირველი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

ვიმედოვნებთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება რაგბის ვეტერანის მოსაზრებები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატთან და საერთოდ, საქართველოში რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით.

დრო სწრაფად გარბის, მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბიში ლამის არის კარს მოგვადგა და გუნდები გადავიდნენ უშუალო წინასაჩემპიონატო მომზადების რეჟიმზე. თავის მხრივ, საგულდაგულოდ ემზადებიან რაგბის მომრავლებული გულშემატივრები, იმედით და ოპტიმიზმით ელოდებიან დიდ სარაგბო დღესასწაულს, რომელიც მთელ თვე-ნახევარს გასტანს. მაინც რას ელოდებიან, გულშემატკივრები ჩვენი ბიჭებისგან?

ჯერ ის ვთქვათ, რომ თვით მორაგბეები, ისევე როგორც რაგბის სპეციალისტები, თავშეკავებულად, ზომიერად აფასებენ ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს. შეიძლება, მათ არც ჩემპიონობაზე და არც პრიზიორობაზე პრეტენზია არა აქვთ, მაგრამ სურვილი და იმედი იმისა, რომ ნაკრებმა გადალახოს სანატრელი სარეიტინგო ბარიერი, რომელიც არგენტინაზე, იტალიაზე, ფიჯისა და დასავლეთ სამოაზე გადის, სავსებით

შესაძლებელია, თავის დროს ლელო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ეწვია ევროპას, საიდანაც კარგა ხნის შემდეგ სმოკინგში მორთული, რაგბის სახით უკან დაგვიბრუნდა

საფუძვლიანია. საფუძვლიანია იმის გამოც, რომ დღეს ჩვენი ნაკრები ძლიერია, ისე როგორც არასოდეს. მაგრამ მყისიერად და ერთბაშად არაფერი ხდება. ჩვენი გუნდი ძლიერია, მაგრამ ჯერჯერობით მას არ ძალუძს უმაღლესი მწვერვალების დალაშქვრა.

ასეთი განწყობა პესიმიზმს სულაც არა ნიშნავს. ეჭვს არ იწვევს ნაკრების შემადგენლობა, მისი ნამდვილი ქართული ხასიათი, თავდადება და სიმტკიცე, რაც ყოველთვის იწვევდა მაყურებელში უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს. მახსენდება, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, 1963 წლის ნოემბერში, ჟურნალმა „დროშამ“ გამოაქვეყნა ჩემი სტატია რაგბიზე სათაურით: „ფეხბურთის მრისხანე მეტოქე“. იმ პერიოდში, ანუ ქართული ფეხბურთის უდიდესი პოპულარობის პერიოდში, მკითხველის უმრავლესობა სტატიის ასეთ ამბიციურ სათაურს, სერიოზულად არ აღითქვამდა და სრულიად სამართლიანად მიიჩნევდა, რომ სათაური მოგონილია, ამ ახალი სპორტის სახეობის რეკლამის მიზნით. მართლაც, ასე იყო: რა მრისხანე მეტოქეობაზე შეიძლებოდა მაშინ ლაპარაკი, როდესაც ფეხბურთის ბილეთის მოპოვება პრობლემა იყო, ხოლო რაგბის თამაშები, როგორც იმდროინდელმა ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა, - პანაშვიდებს მაგონებს, სადაც მხოლოდ ძალიან ახლობლები დადიანო.

შემდეგ რაგბისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. დღეს, მისი პოპულარობა ისე დიდია, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ვერც ვიოცნებებდი. რაგბი საქართველოში „შედგა“ და, რაც მთავარია, საქართველო გახდა სარაგბო ქვეყანა. რაგბის გულშემატკივარი უფრო გამხნევდება, როდესაც გაერკვევა მსოფლიოს სარაგბო ურთიერთობებში. საქართველოსთვის „სარაგბო ქვეყანად“ მოხსენიება, ჩემი აზრით, ისტორიულიც კია. საქმე ის არის, რომ რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციებში, მიუხედავად მასში შემავალი ქვეყნების დიდი რაოდენობისა, ფეხბურთისგან განსხვავებით, სუფთა სარაგბო ქვეყნები თითებზე ჩამოსათვლელია: დიდი ბრიტანეთის ოთხი გუნდი და ბრიტანეთის ძველ არეალში მყოფნი - ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და სხვა „ნვრილი“ ქვეყნები: ფიჯი, დას. სამოა, ტონგა, (რომელთა წარმომადგენლები ფაქტობრივად ასოცირდებიან ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გუნდებთან) და ... . საფრანგეთი. მორჩა და გათავდა!

ჩვენზე წინ რეიტინგში მყოფები - იტალია და არგენტინა, იმის მიუხედავად, რომ დღეს შეიძლება ჩვენზე ძლიერი ნაკრებები ჰყავთ, ვერც ახლო და ვერც შორეულ მომავალში, ვერ გახდებიან სარაგბო ქვეყნებად. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამ ქვეყნები, ისევე როგორც რუმინეთში, მორაგბეთა მიღნევები დაკავშირებულია ერთი ან ორი თაობის ენთუზიასტთა ფანატიკურ სიყვარულთან ამ თამაშის მიმართ. სხვა ქვეყნებს კი ამის შორეული პერსპექტივაც არ გააჩნიათ. ჩემი ნათქვამი რომ უფრო დაიჯეროს მკითხველმა, აღვნიშნავ, რომ „სარაგბო ქვეყნის“ ამ „იდეოლოგიის“ შესახებ თავის დროზე მე მომითხრო ერთმა ინგლისელმა სარაგბო მაღალჩინოსანმა. მისი აზრით, საქართველომ მსოფლიოს სარაგბო ოჯახში, ფურორი მოახდინა. შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ, რაგბის ამ ჩინოვნიკს, როგორც რაგბის სხვა ფანატიკოსებს, ადამიანთა მოდგმაზე თავიანთი, უაღრესად სუბიექტური მსოფლმხედველობა აქვთ: ისინი სამყაროს ყოფენ ორ ნაწილად: მორაგბეებად და არამორაგბეებად. ხუმრობით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისად სარაგბო „ქსენოფობიურია“ მათი დამოკიდებულება ერების და ხალხების მიმართ, ისინი მათ ყოფენ - სარაგბო და არასარაგბო ერებად. აი, ასეთი მენტალობისა და მსოფლმხედველობის სარაგბო სამყაროში, საბჭოთა კავშირის „აორთქლების“ შემდეგ, საქართველო უზარმაზარ არასარაგბო სივრცეში (რუსეთი, თურქეთი, ირანი, ახლო ევროპის თუ შორეული აზიის და სხვა მრავალი ქვეყნები), მართალია, პატარა წერტილად, მაგრამ მათ წინაშე მოულოდნელად ნარსდგა როგორც ჩამოყალიბებული სარაგბო ქვეყანა, ხოლო ქართველები - სარაგბო ერად, რომლის მიზეზები ღრმა წარსულში, ხალხურ თამაშ ლელობურთში უნდა ვეძიოთ. „დროშის“ იმავე, ზემოხსენებულ სტატიაში მე ვწერდი, რომ შესაძლებელია, თავის დროზე ლელო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ეწვია ევროპას, საიდანაც კარგა ხნის შემდეგ სმოკინგში მორთული, რაგბის სახით უკან დაგვიბრუნდა. ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე მოხდა. ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მორაგბეებზეც ზუსტად იმის თქმა შეიძლება, რასაც ბრიტანელებზე ამბობენ, რომ მათ სიტყვა „რაგბის“ ხსენებაზე ისე ენთებათ თვალები, როგორც შეიძლება მოუვიდეს ადამიანს მხოლოდ „სამშობლოს“ წარმოთქმისას.

ასე რომ, უწინდელთან შედარებით, რაგბი საზოგადოებისთვის სულ სხვა რამ გახდა და გუნდიც გაცილებით ძლიერი გვყავს, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა და იმისა, რომ შეიძლება ჩვენმა ნაკრებმა რომელიმე ან რამდენიმე მატჩი წააგოს კიდეც მსოფლიოს ჩემპიონატზე, მის ღირსებას ვერაფერს დააკლებს.

პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როდის შეძლებენ ჩვენი შესანიშნავი მორაგბეები ტოპქვეყნების სიაში მოხვედრას და ყველაზე მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას, იმდენად რთულია, რამდენადაც რაგბის პრობლემები განყენებული არ არის და გადახლართულია ჩვენს საზოგადოებაში არსებულ სხვა საერთო პრობლემებთან, რომელთა გადაჭრა დამოუკიდებლად მორაგბეებს არ ძალუძთ.

გივი მრელაშვილი
დასასრული იქნება

რობერტ ბაგოიანის ფოტო

გივი მრელაშვილი (მარცხნივ) და ჟაკ ასპეკიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ევრობასკეტზე

გავუთანაბრით ლატვიას!

დღეს საქართველოს ეროვნული გუნდი ქალაქ რიგაში ლატვიის ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. აქვე დავძენთ, რომ ეს გუნდები 24 აგვისტოს ასევე 20 საათზე (ლიტვის ქალაქ შაულიაიში) მეორე ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ.

ქართველები ბალტიისპირეთში 20 აგვისტოს დილის 6:40 საათზე თბილისი-რიგის რეისით გაფრინდნენ. იმავე დღეს ლატვიიდან **ლაშა გამყრელიძემ** გვითხრა:

- მშვიდობიანად ვიმგზავრეთ და სასტუმროშიც დავბინავდით. ახლა ლატვიელებთან ორი მატჩისთვის ვემზადებით, რაც ევროპის ჩემპიონატის წინ ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად გამოგვადგება. დაგვრჩება მხოლოდ მატჩი ლიტვასთან (27 აგვისტოს).

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ ლატვიელებს ბოლოს 2008 წელს რიგის ტურნირზე ვეთამაშეთ: ქართველებმა ჯერ საფრანგეთთან დამეს (69:90), შემდეგ ჩეხეთს მოუგეს (74:68), ბოლო მატჩში კი ლატვიელებსაც აჯობეს - 80:72. იმ მატჩში **ვლადიმერ ბოისა** გამოირჩა, 18 ქულა ჩააგდო.

- კარგად მახსოვს ქართველთა თამაში ლატვიაში. მატჩის წინა დღეს ლატვიამ საფრანგეთს სძლია და დარწმუნებული იყო, რომ ქართველებსაც დაამარცხებდა. მე კი ბიჭებს ვუთხარი - პროფესიულ სპორტში შესაძლებლობების დამტკიცება ყოველ მატჩშია საჭირო - საფრანგეთის ძლევა იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოზე უკეთესები ვართ-მეთქი. დღეს ევროპაში საკალათბურთო დონე გათანაბრდა და „ფავორიტი“ მხოლოდ არაფრისმთქმელ სიტყვად დარჩება, თუ საქმეს სათანადოდ არ მიუდგები. კალათბურთს სახელები და უხვშემოსავლიანი კონტრაქტები კი არა, სპორტსმენები თამაშობენ. მაშინაც დავრწმუნდი, რომ ძლიერი შემადგენლობა გყავთ. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრები მზარდი გუნდია, რაც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრითაც დაადასტურა. ქართველებს ჯერ რიგაში, 12-ათასიან დარბაზში ჯუმასპინძლებთ, შემდეგ - ლიტვის ქალაქ შაულიაიში გადავალთ. ლატვიელები ევროპის ჩემპიონატის მატჩებს სწორედ შიაულიაიში გავმართავთ. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრები ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება, - ეს ლატვიის ნაკრებისა და „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელის **აინარს ბაგაცკისის** *სიტყვებია.*

საკონტროლო მატჩი

27.08.2009

ლატვია-საქართველო 72:80

19:22, 15:22, 17:20, 21:16

საქართველო: ცინცაძე (22 წთ, 5 ქა, 3 პ), ელისი (30 წთ. 10 ქ. 3 პ.), სანიკიძე (28 წთ. 5ქ. 7 მ), ცქიტიშვილი (24 წთ. 9 ქ. 7 მ), ფაჩულია (25 წთ. 14 ქ. 8 მ); ვ. ბოისა (23 წთ. 18 ქ), შერმადინი (7 წთ. 3 მ. 2 დ), გამყრელიძე (25 წთ. 14 ქ. 3 პ), ა. ბოისა (13 წთ. 5 ქ), ტულუში (2 წთ)

■ ■ ■

საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ევრო-1999-ის შესარჩევ ტურნირზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ჯერ ლატვიაში ითამაშეს, რამდენიმე თვეში - თბილისში. ვენტსპილსური მატჩი ერთი უსიამოვნო ფაქტის „მოწმეა“ - გუნდის მაშინდელმა ლიდერმა **ვლადიმერ სტეფანიამ** პირველ ტაიმში 18 წუთი ითამაშა, მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოჩენილა. ამის მიზეზი მუხლის ტრავმა იყო.

...სტეფანიას ნაკრების მაისურა მას შემდეგ ერთხელაც არ მოურგია.

საყურადღებო დამთხვევაა: ვოვას წასვლას ვოვას მოსვლა დაემთხვა - სწორედ ლატვიაში შედგა ვლადიმერ ბოისას დებიუტი.

- ვენტსპილსური შეხვედრის პირველ ტაიმში ვლადიმერ სტეფანიამ ფეხი იტკინა და მეორე ნახევარში შეუცვლელად ვითამაშე. სხვათა შორის, ლატვიის კალათში ჩაგდებული 18 ქულა ჩემი სანაკრებო რეკორდია. მახსოვს, ნაკრებში პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისა. იმ მატჩში მნიშვნელოვანი სხვა არაფერი მომხდარა, გარდა იმისა რომ დიდი სხვაობით წავაგეთ, - იხსენებს **კახა შენგელია**.

ახლა აინარს ბაგაცკისის მოვუსმინოთ:

- ნაკრებში დიდი ხანი ვითამაშე და მხოლოდ ორჯერ ვერ მოვხვდით ევროპის ჩემპიონატზე. ერთხელ სწორედ ის შესარჩევი ბარიერი ვერ დავძლიეთ, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან მოგვიწია თამაშმა. მაშინ ნამდვილად ძლიერი გუნდი გვყავდა და ფავორიტებადაც ვითვლებოდით, მაგრამ ამის დამტკიცება მოედანზე იყო საჭირო. ვენტსპილსში ეს მოვახერხეთ. მახსოვს, საქართველოს ნაკრების თამაში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ვლადიმერ სტეფანიაზე, რომელიც იმხანად სლოვენიის „ოლიმპიაში“ თამაშობდა.

ევრო-1999-ის შესარჩევი

25.02.1998. ვენტსპილსი

ლატვია-საქართველო 99:63

58:35, 41:28

ლატვია: ჰელმანისი (10ქ, 5მ), აზაცისი (1ქ), შტელმაჰერსი (13ქ, 9პ), ბუსკევიჩისი (3ქ, 6მ), ვალტერსი (8ქ), ვალეიკო (8ქ), ბაგაცკისი (24ქ, 5მ), სკრიმანტსი (2ქ), ბერნატსი (14ქ, 6მ), ვეჩვაგარსი (11ქ, 5მ).

საქართველო: მაისურაძე (26წთ, 10ქ, 2პ), სტეფანია (18წთ, 13ქ, 3მ), ხოშტარია (26წთ, 0ქ, 2პ), ბეჟანიშვილი (28წთ, 4ქ, 4მ, 5პ, 1ჩ), გოგობერიშვილი (19წთ, 2ქ, 3მ, 1ჩ), ვაშაკიძე (21წთ, 2ქ, 6მ, 2პ, 1ჩ), შენგელია (29წთ, 18ქ, 8მ, 1პ, 2ჩ), ჯაფარიძე (17წთ, 9ქ, 1მ), ბოისა (16წთ, 5ქ, 5მ, 1ჩ)

■ ■ ■

- მეორე მატჩი თბილისში ორი ქულის სხვაობით მოვიგეთ, - განაგრძობს ბაგაცკისი, - კარგად მახსოვს, მთელი თამაშის განმავლობაში წინ ვიყავით, მაგრამ ქართველები ბოლოს დაგვეწივნენ და დასკვნით მონაკვეთში სიტუაცია დაიძაბა. თუმცა, ვფიქრობ, ძლიერმა გაიმარჯვა - მაშინ საქართველოში ომი ახალი დასრულებული იყო და ქვეყანა ეკონომიკურად დასუსტებული. ომებისა და არასახარბიელო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფონის მიუხედავად, ქართველები კალათბურთს მაინც გულიანად თამაშობდნენ. ეს ნათლად მიუთითებს ხალხის ქვეყნის ღირსებისადმი მიდგომის მაღალ ხარისხზე, ამიტომ იმ დროის კალათბურთელების წინაშე ქუდი უნდა მოვიხადოთ. სხვათა შორის, ნებისმიერი მატჩი, საფეხბურთო თუ საკალათბურთო, მინი-ომია - სპორტში ხომ აგრესია ლეგალურია...

ერთ მატჩში ბაგაცკისმა 24 ქულა ჩააგდო, მეორეში - 27. როგორც ჩანს, იგი მაშინ ოპტიმალურ ფორმაში იყო:

- 1999 წელს პოლონეთის ჩემპიონატში ვთამაშობდი და იმ სეზონში საუკეთესო კალათბურთელად დამასახელეს. მანამდე, 1997 წელს, ესპანეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვიცე-სნაიპერი გავხდი. ლატვიელებმა მაქსიმუმს 2001 წელს თურქეთში გამართულ ევრობასკეტზე მივაღწიეთ: დავამარცხეთ სლოვენია და ლიტვა, თურქეთთან ბოლო წამებზე წავაგეთ. გავედით მეორე ეტაპზე, თუმცა, რუსეთთან და სერბეთთან დავთმეთ. ჩემპიონი სწორედ სერბეთი გახდა.

ლატვიასთან მეორე მატჩს საინტერესო კომენტარი გაუკეთა ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა**, რომელსაც ფინანსური პრობლემების გამო რთულ პირობებში უწევდა მუშაობა:

- შინ ლატვიასთან სტეფანიას გარეშე დავრჩით, ნაცვლიშვილიც, პრაქტიკულად, ცალი ფეხით თამაშობდა. ამის მიუხედავად, ბოლო წამებზე ორი ქულის სხვაობით დავმარცხდით, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს ზოგიერთს სენსაციურ შედეგად ეჩვენა, მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ ბალტიისპირელები ურიგო კალათბურთს არ თამაშობდნენ. ისინი ჩვენგან იტალიაში ჩავიდნენ და მაშინდელ ევროპის ჩემპიონს აპენინებზე აჯობეს.

24.02.1999. თბილისი

საქართველო-ლატვია 96:98

38:50, 58:48

საქართველო: მაისურაძე (10წთ, 2ქ, 2მ), ბოისა (28წთ, 17ქ, 6მ, 1პ, 1ჩ), ხოშტარია (14წთ, 4ქ, 1მ), აბრამიძე (30წთ, 12ქ, 3მ, 2პ, 1ჩ), ბერძენიშვილი (18წთ, 18ქ, 7მ), ჯაფარიძე (28წთ, 12ქ, 4მ, 1ჩ), ოთიურიძე (11წთ, 7ქ, 2მ, 1პ), ქარაბაკი (27წთ, 6ქ, 7მ, 1პ), ჩხეიძე (34წთ, 18ქ, 4მ)

ლატვია: ჰელმანისი (15ქ, 5მ), ვიტოლსი (5ქ, 5მ), შტელმაჰერსი (13ქ), ლაკსა (13ქ, 6მ), მიგლინიეკსი (7ქ, 3პ), ბაგაცკისი (27ქ), ბერნატსი (4ქ), ვეჩვაგარსი (14ქ, 3ჩ).

● ევრობასკეტი 2011

პორტუგალია და ფინეთი

ევროპის ჩემპიონატის 2 ვაკანტური ადგილი ფინეთმა და პორტუგალიამ შეავსეს. შესაბამისად, უნგრეთი კონტინენტის პირველობის მიღმა დარჩა. ეს ამბავი საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულებამდე 1 ტურით ადრე გადაწყდა. პორტუგალიამ უნგრეთი სტუმრად დაამარცხა, შესაბამისად, ფინეთმა და პორტუგალიამ 1-2 ადგილები გაინაღდეს. მას შემდეგ, რაც საკვალიფიკაციო ტურნირი დასრულდება, გვეცოდინება, ევრობასკეტზე რომელი გუნდი რომელ ჯგუფში მოხვდება.

პირველადგილოსანი იასპარეზებს C ჯგუფში საბერძნეთთან, ხორვატიასთან, ჩერნოგორიასთან, მაკედონიასთან და ბოსნიასთან ერთად. საკვალიფიკაციოში მეორე ადგილზე გასული კი - „სიკვდილის ჯგუფში“ - ესპანეთი, თურქეთი, ლიტვა, ბრიტანეთი, პოლონეთი - გამოვა.

ასე რომ, 24 აგვისტოს, პორტუგალია-ფინეთის მატჩს დამატებითი ინტრიგა ახლავს - ორივე გუნდი ეცდება, საკვალიფიკაციო ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულოს, რათა ესპანეთის ჯგუფში არ მოხვდეს.

დამატებითი საკვალიფიკაციო რაუნდი

პორტუგალია-უნგრეთი	**71:66**
უნგრეთი-ფინეთი	**73:75**
ფინეთი-პორტუგალია	**68:56**
უნგრეთი-პორტუგალია	**57:66**

გუნდი	**თ**	**მ**	**ნ**	**სხ**	**ქ**
1. პორტუგალია	3	2	1	193:191	5
2. ფინეთი	2	2	0	143:129	4
3. უნგრეთი	3	0	3	196:212	3

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

ოცდაათი ბორჯღალოსანი უკვე ცნობილია

საქართველოს ნაკრების შოტლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს თასზე, წამსვლელი 30 მორაგბის ვინაობა დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ თვეზე მეტია, საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან. ჩვენმა გუნდმა ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართა, რომელთა მიმდინარეობისას დაშავდნენ მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე** და ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე**. მაისურაძემ მუხლი დაიზიანა და როგორც გაირკვა, საოპერაციოა. ბეგაძემ კი ხელი იტკინა და ისე გამოვიდა, რომ ორივე მათგანი გუნდის 30-კაციანი შემადგენლობის მიღმა დარჩა.

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასი მესამე იქნება შვიდი „ბორჯღალოსნისთვის“. ესენი არიან პირველხაზელები **გოდერძი შველიძე** და **აქვსენტი გიორგაძე,** მეორეხაზელი **ილია ზედგინიძე,** მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე,** ცხრა ნომერი **ირაკლი აბუსერიძე** (კაპიტანი), მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი** და ფულბეკი **მალხაზ ურჯუკაშვილი.**

მსოფლიოს თასზე პირველად ითამაშებს საქართველოს ნაკრების ერთბაშად 14 მორაგბე: პირველხაზელები **ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე** და **დავით ქუბრიაშვილი,** მეორეხაზელები **ვახტანგ მაისურაძე** და **გიორგი ნემსაძე,** მესამეხაზელები **ვიქტორ კოლელიშვილი, დიმიტრი ბასილაია** და **გივი ბერიშვილი.** მგეზავი **ლაშა ხმალაძე,** შუამარბი **ლაშა მალაღურაძე,** გარემარბები **ლექსო გუგავა, ირაკლი ჩხიკვაძე** და **ალექსანდრე თოდუა.**

შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით საქართველოს ნაკრები საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. „ბორჯღალოსნები“ ხუთ სექტემბერს ქალაქ ქვინზთაუნში ჩავლენ, სადაც 11 სექტემბრამდე დაჰყოფენ. იქიდან ჩვენი გუნდი ინვერქარგილში გაემგზავრება და 14 სექტემბერს, მსოფლიოს თასის ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

საქართველოს ნაკრები

I ხაზი: **გოდერძი შველიძე** (მონპელიე), **დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი** (ბრივი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **ჯაბა ბრეგვაძე** (არმია), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი).

II ხაზი: **ილია ზედგინიძე** (კარკერენი) **გიორგი ნემსაძე** (ვალანსი), **ვახტანგ მაისურაძე** (ლა სეინი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი).

III ხაზი: **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი), **დიმიტრი ბასილაია** (ობენა), **გიორგი ჩხაიძე** (ლელო), **გივი ბერიშვილი** (ლოკომოტივი), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **შალვა სუთიაშვილი** (მასი).

N:9: **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), **ბიძინა სამხარაძე** (არმია).

N:10: **მერაბ კვირიკაშვილი** (ფიჟაკი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო).

N:12-13: **ლაშა მალაღურაძე** (უგუნდო), **რეზო გიგაური** (ფიჟაკი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო), **დავით კაჭარავა** (ნიცა).

N:11-14: **ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა** (ორივე-ლელო), **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია), **ირაკლი მაჩხანელი** (სენტ ეტიენი).

N:15: **მალხაზ ურჯუკაშვილი** (გურდო).

მსოფლიოს თასი

14 სექტემბერი

საქართველო-შოტლანდია

18 სექტემბერი

საქართველო-ინგლისი

28 სექტემბერი

საქართველო-რუმინეთი

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

● ერთა თასი

რუმინეთის ნაკრებმა ლვოვში ნაივარჯიშა

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქემ, რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა, ლვოვში ევროპის ერთა თასის გათამაშების გამოტოვებული შეხვედრა, აუტსაიდერ უკრაინის ნაკრებს მოუგო - 41:16.

ჯერ უკრაინელებზე ვთქვათ. ამ მატჩში მასპინძელთა გუნდს პირველად უთავკაცა საქართველოს ნაკრების ყოფილმა მორაგბე **ზაზა ლეჟავამ.** უკრაინის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში კი ორმა ქართველმა ითამაშა, ცხრა ნომერმა **ზურაბ კიკაჩეიშვილმა** და მესამეხაზელმა **ჯაბა მალაღურაძემ,** რომელიც ახლახან გასაჭირში ჩავარდნილ მშობლიურ გუნდს - თბილისის „ყოჩებს“ დაუბრუნდა.

რუმინელებისთვის უკრაინის ნაკრებთან მატჩი ცუდი სპარინგი არ გამოდგა. „სტეჟარის“ ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ტრავმირებული შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** აკლდა. სტუმრებმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს. საგულისხმოა, რომ აქედან ხუთი უკანახაზელების ანგარიშზეა.

რუმინეთის ნაკრების ფრანგი მთავარი მწვრთნელი **რობერ ანტონენი** ახალ ზელანდიაში წამსვლელთა ვინაობას დღეს დაასახელებს. შეგახსენებთ, რომ „სტეჟარი“ პირველ მატჩს ახალ ზელანდიაში, 10 სექტემბერს შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნებს“ კი რუმინელები 28 სექტემბერს დაუპირისპირდებიან.

უკრაინა- რუმინეთი 16:41

უკრაინა: 15. ვიტალი კრასნოდემსკი, 14. მაქსიმ კრავჩნკო, 13. სერგეი გარკავი, 12. პაველ მასიუკოვი, 11. ოლეგ კოსარევი, 10. სერგეი ცერკოვნი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. სერგეი შუკინი, 2. ნიკოლაი კირსანოვი, 3. ივან ზალიზნიაკი, 4. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 5. რუსლან რადჩუკი, 6. ალექსეი ნოვოკრეშენვი, 7. ვიტალი ორლოვი, 8. ჯაბა მალაღურაძე.

16. ევგენი ჩაიკა, დიმიტრი ფედშინი, 18. ალექსანდრ პოლიანსკი, 19. ვლადისლავ გარბოვსკი, 20. ალექსანდრ ლომაკინი, 21. სერგეი მონასტირიოვი, 22. დენის მაიუკოვი.

ლ: ჩაილა. 3ს,გ: კოსარევი

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. კტალინ ნიკოლაე, 13. იონუც დომოფტე, 12. კონსტანტინ გეარა, 11. კატალინ ფერკუ, 10. დანუც დუმბრავა, 9. ლუჩიან სირბუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. ბოგდან ზეზეგა, 3. პაულიკა იონი, 4. კრისტიან პეტრე, 5. კოსმინ რატიუ, 6. სტელიან ბურეა, 7. ოვიდიუ თონიცა, 8. დანიელ კარპო.

16. ანდრეი რადოი, 17. დრაგოშ დიმა, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. მიჰაი მაკოვეი, 20. ფლორინ სურუჯუ, 21. ფლორინ ვლაიკუ, 22. სტეფან ჩუნტუ.

ლ: ნიკოლაე, დუმიტრაში, ფერკუ, გეარა, სურუჯუ, რატიუ. 4გ,ს: დუმბრავა.

კატალინ ფერკუ

საპატიო მდგომარეობა

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0

● მეტოქეები

ჩვენი მეტოქეები: ერთი იგებს, მეორე აგებს

მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა - შოტლანდიისა და არგენტინის ნაკრებებმა ბოლო ტესტ-მატჩები გამართეს.

შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა ედინბურგში „მერიფილდზე“ ბოლო ხანს საგრძნობლად მომძლავრებულ იტალიის ნაკრებს უმასპინძლა და 23:12 მოუგო. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში მოედანზე პატარა შეხლა-შემოხლაც გაიმართა.

„სკოტების“ თავკაცის სამწუხაროდ, მატჩის მსვლელობისას დაშავდა და ახალ ზელანდიაში ვერ გაემგზავრება უკანახაზელი **ნიკი ვოლკერი.** აღსანიშნავია, რომ „ნარშავების“ შერკინებამ, „სკუადრა აძურას“ ნაქებ მორკინალებს არაფერი დაუთმო. სანყის ათ წუთში კი, საკუთარი ქომაგებით შეგულიანებული შოტლანდიელი მორაგბეები სრულ უპირატესობას ფლობდნენ.

შედეგმაც არ დააყოვნა. **ენდი რობინსონის** ბიჭები ერთი კვირის წინათ გამართული მატჩისგან განსხვავებით, ბევრად უკეთესად გამოიყურებოდნენ. ანგარიში მე-2 წუთზე მგეზავმა **დენ პარქსმა** საჯარიმოთი გახსნა - 3:0. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ გამოცდილმა შოტლანდიელმა მატჩი ფაქტობრივად უშეცდომოდ ჩაატარა. ფეხით ბურთი შესანიშნავად გადაჰქონდა მეტოქის მოედანში, რასაც მასპინძლებისთვის ტაქტიკური უპირატესობა მოჰქონდა.

მე-10 წუთზე „ნარშავებმა“ შესანიშნავი შეტევა განახორციელეს და პირველხაზელმა **ალასდაირ დიკინსონმა** ლელო მიითვალა, პარქსმა გარდასახა - 10:0. იტალიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩაგდებული 10 წუთის შემდეგ, საგრძნობლად გამოცოცხლდნენ და 24-ე წუთზე **ტომაზო ბენვენტის** ლელოთი, რომელიც **მირკო ბერგამასკომ** გარდასახა, ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს - 7:10. თუმცა ტაიმის ბოლო წუთზე პარქსმა საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ექვსი ქულა გახადა - 13:7.

მეორე ტაიმში თამაში უფრო აქტიურად იტალიელებმა დაიწყეს და ანგარიშში დაწინაურებაც შეეძლოთ, თუმცა 48-ე წუთზე **ფაბიო სემენცატოს** ლელო ბერგამასკომ ვერ გარდასახა და ანგარიშში სხვაობის მხოლოდ მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს - 12:13.

„სკოტებს“ დიდხანს არ უცდიათ და ოთხ წუთში ლელო უკვე მათმა ცხრა ნომერმა **მაიკ ბლერმა** მიითვალა, ბერგამასკოსგან განსხვავებით პარქსმა ზუსტად გარდასახა - 20:12. მანვე სამ წუთში საჯარიმოც გაიტანა 23:12.

მატჩის დასრულებამდე 25 წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ მეტოქეებმა მონაგარს ვეღარაფერი შემატეს.

არგენტინის ნაკრებმა კი ევროპაში სტუმრობისას მხოლოდ ერთი ტესტ მატჩი გამართა. „პუმებმა“ კარდიფში, მილენიუმზე უელსის ნაკრებთან 13:28 წააგეს.

იმის მიუხედავად, რომ ანგარიში 28-ე წუთზე არგენტინელთა მგეზავმა ფელიპე კონტეპომიმ საჯარიმოთი გახსნა, მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში დომინრებდნენ. პირველი ტაიმის დასკვნით ხუთ წუთში უელსელებმა ორი ლელო გაიტანეს. ჯერ თავი მესამეხაზელმა ენდი პაუელმა გამოიჩინა, მერე სამ წუთში ლელო მეორეხაზელმა ალუნ-ვინ ჯოუნზმა გაიტანა. ორივეჯერ მგეზავმა ჯეიმზ ჰუკმა გარდასახა - 14:3, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში ჰუკმა კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა, თუმცა 71-ე წუთზე გარემარბ **ჯორჯ ნორსის** მიერ გატანილი ლელო ვერ გარდასახა. არგენტინელებმა თავის მხრივ თითო საჯარიმო და ლელო მიითვალეს. მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე „პუმებმა“ მეტოქის ლელოდან 10 მეტრში დერფნიდან მოლი ააგორეს და ჩათვლის მოედანში შეაღწიეს. ბოლოს ბურთით ხელში შეცვლაზე შესული შერკინების ბურჯი როდრიგო რონსერო იყო. კონტეპიმიმ გარდასახა - 13:28.

შოტლანდია-იტალია 23:12.

შოტლანდია (15-9) ლამონტი, ევანსი, ნიკ დე ლუკა, მორისონი, დენიელი (ვოლკერი 56) , პარქსი (კასიტერი 56), ბლერი. (1-8) დიკინსონი, ლაუსონი (ჰოლი 70), ლოუ (მურეი 54), ჰაინსი, კელოკი, ბრაუნი, ბარკლი, ვერნონი (რენი74).

2ლ: დიკინსონი, ბლერი. 3ს,2გ: პარქსი

უელსი-არგენტინა 28:13

არგენტინა (15-9) როდრიგესი, აგულა, ბოსხი, ფერნანდესი, კამაჩო (იმპოფი 41), კონტეპომი, ვერგალო. (1-8) რონსერო, ლედესმა (კრევი 50), ფიგალო (სკელსო 41), კარისა (გალარსა 69), ალბასეტე, კაბელო, ფერნანდეს ლობე, ლეგუსამონი (კამპოსი 66).

ლ: სკელსო, 2ს,გ: კონტეპომი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჭანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. ტურნირები

ერთი ნაბიჯი მე-11 ჯიჯულამდე


ენდი მიურეი

ცინცინატის მასტერსი რიგით მე-12 ტურნირია წელს **ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის** და სერბი მე-11 ფინალს ითამაშებს მისთვის ფანტასტიკურ სეზონში. წინა ათი ფინალი „ნოლემ" მოიგო და ყველა შანსი აქვს ამჯერადაც მოიპოვოს მთავარი პრიზი. რაც შეეხებათ ბოლო წლებში მამაკაცთა ტურის აღიარებულ ლიდერებს - **რაფაელ ნადალსა** და **როჯერ ფედერერს**, ამ მასტერსმა კიდევ ერთხელ დააადასტურა მათი პრობლემები: შვეიცარიელი ბერდება, ესპანელი კი აბსოლუტურად ამოვარდნილია ფორმიდან.

მეოთხედფინალში რაფას ამერიკელი **მარდი ფიში** ხვდებოდა. წინა დღეს **ფერნანდო ვერდასკოსთან** თითქმის ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნადალს აღდგენისთვის პრაქტიკულად დრო არ დაუტოვეს, რადგან ორგანიზატორებმა მისი და ფიშის მატჩი დილის პროგრამაში ჩასვეს. ამან ამერიკელს წარმატების დიდი შანსი მისცა, მიუხედავად იმისა, რომ მარდის აქამდე არასოდეს დაემარცხებინა მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

ნადალი მართლაც არ ჰგავდა საკუთარ თავს. საგულისხმო სტატისტიკური მონაცემია „ვინერსების" რაოდენობა - 16:1 ფიშის სასარგებლოდ! თანაც ეს ერთი ქულა რაფამ ეისით აიღო. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს საბოლოო ანგარიში - 6:3, 6:4 ფიშის სასარგებლოდ.

როჯერ ფედერერი ჩეხ ტომაშ ბერდიხთან დამარცხდა, რომელთანაც მანამდე ცხრა მოგება და სამი წაგება ჰქონდა. ბერდიხი შვეიცარიელს ისეთ მნიშვნელოვან ტურნირებზე უგებდა, როგორიცაა უიმბლდონი და ოლიმპიადა. თითქოს ცინცინატიში ფედერერმა კარგი ფორმა აკრიფა, ბერდიხი კი ბოლო პერიოდში ვერ ბრწყინავდა, მაგრამ აღნიშნულ შეხვედრაში როჯერს მხოლოდ პირველი მონოდება გამოსდიოდა, მეორეში კი კატასტროფული მაჩვენებელი ჰქონდა - მოგებული ქულების 24 პროცენტი (პირველ სეტში - 11 პროცენტი). საოცარია, მაგრამ ფედერერმა ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ გამოიმუშავა და ორ სეტში წააგო - 2:6, 6:7. მატჩის ბოლოსკენ ბერდიხს მხარი ასტკივდა, მაგრამ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა შეხვედრა, თუმცა მეორე დღეს ამ დაზიანებამ ცუდი სამსახური გაუწია.

კინაღამ სენსაცია მოხდა ნოვაკ ჯოკოვიჩისა და **გაელ მონფილსის** შეხვედრაში. ფრანგს სერბი არასოდეს დაუმარცხებია, გასულ კვირას მონრეალში კი თითქმის უბრძოლველად დანებდა სეზონის ლიდერს. მაგრამ ამჯერად, მონფილსმა დიდი ბრძოლა გაუმართა ჯოკოვიჩს. გაელი პირველ ორ სეტში კარგად მოქმედებდა დაცვაში და ბადესთან გასვლისას. ცუდად არც ნოვაკი მოქმედებდა, მაგრამ შეცდომები მრავლად ჰქონდა და თან შანსებს ვერ იყენებდა. ამიტომაც სერბმა წააგო პირველი სეტი, მეორეში კი კარგა ხანი თანაბარი თამაში მიდიოდა, სანამ ჯოკოვიჩმა პარტიის ბოლოს ბრეიკი არ გააკეთა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტ სეტში სერბმა ადრეული ბრეიკი გააკეთა და შემდეგ დამაჯერებლად ჩაამთავრა მატჩი - 3:6, 6:4, 6:3.

■ ■ ■

ნახევარფინალში ჯოკოვიჩს ბერდიხი ელოდა. თავდაპირველად ჩეხმა სერიოზულად გადაწყვიტა გამხდარიყო წელს მეორე მოთამაშე, ვინც სერბის ძლევას მოახერხებდა. ტომაშმა ბრწყინვალედ წარმართა საწყისი სეტის პირველი ნახევარი და უკან ხაზს მიაჯაჭვა მეტოქე. პარტიის კულმინაცია მეათე გეიმში დადგა: 5:4-ზე ბერდიხი სეტზე აწვდიდა და სწორედ აქ იჩინა თავი მხარის ტრავმამ. ჩეხმა ტკივილგამაყუჩებელი მიიღო, მაგრამ ამან არ უშველა - უამრავი შეცდომის ხარჯზე მან ზედიზედ სამი გეიმი წააგო, რის შემდეგაც გადაწყვიტა ჯანმრთელობის მხრივ არ გაერისკა და პირველი სეტის წაგების შემდეგ კორტი დამარცხებულმა დატოვა.

უფრო ადრე გაირკვა მეორე ფინალისტი. გადამწყვეტი მატჩის პირველი საგზური ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** და მარდი ფიშმა გაითამაშეს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უკვე გაინაღდა პირველობა ამერიკის საჰარდო ტურნირების სერიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიშისთვის აშშ-ის ღიაზე მოპოვებული ჰონორარი გაორმაგდება.

პირველ სეტში ჩოგბურთელებმა მეტად ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენეს, გეიმების უმრავლესობაში ბედი „მეტნაკლებზე" ირკვეოდა. საკუთარ შანსებს უფრო მზრუნველად მიურეი მოეპყრო, რომელსაც ერთი ბრეიკი ეყო პირველი სეტის მოსაგებად - 6:3. ფიშმა ამ პარტიაში სამი ბრეიკ-პოინტის გამოყენება ვერ შეძლო.

მეორე სეტში, შესაძლოა, თამაშის ხარისხი ოდნავ დაეცა, სამაგიეროდ, ბრძოლა უფრო საინტერესო გახდა. ენდიმ სამჯერ აიღო ფიშის მოწოდება და სამივეჯერ გაათანაბრებინა ანგარიში მასპინძელს. მე-12 გეიმში მარდიმ ორმაგი სეტბოლიც კი მიიღო, მაგრამ ამჯერად მიურეიმ თავი ხელში აიყვანა და არ დაუშვა მესამე სეტის ჩატარება. პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელშიც შოტლანდიელმა კიდევ ერთი სეტბოლი მოიგერია, შემდეგ კი საბოლოოდ გატეხა ამერიკელის წინააღმდეგობა - 10:8. თუმცა მატჩი შეიძლებოდა უფრო ადრე დასრულებულიყო, 8:7-ზე, როცა ჩოგბურთელები უკვე ბადესთან მიდიოდნენ ხელის ჩამოსართმევად, ფიშის მიერ აღებულმა „ჩელენჯმა" მიურეის დარტყმისას მილიმეტრიანი აუტი დააფიქსირა და მეტოქეები იძულებულნი გახდნენ, საწყის პოზიციებს დაბრუნებოდნენ.

მაშ ასე, ცინცინატის მასტერსის მთავარ პრიზს ჯოკოვიჩი და მიურეი გაითამაშებენ. სხვათა შორის ეს ჩოგბურთელები სამი წლის წინ ამ ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ბრიტანელმა ორი სეტი ტაბრეიკზე მოიგო. მატჩის შემდეგ ნოვაკმა ის შეხვედრა გაიხსენა: *„ეს საფარი ძალიან კარგად ერგება ენდის თამაშის სტილს. ჩვენ აქ უკვე ვითამაშეთ ფინალში და მან ორი ურთულესი პარტია მოიგო. შესაბამისად, იცის, რასაც ნიშნავს დიდი ტურნირების გადამწყვეტ მატჩებში გამარჯვება. ვფიქრობ, ხვალინდელ ფინალს ფავორიტი არ ჰყავს".*

1/4 ფინალი

ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-ჟილ სიმონი (საფ, 10) 6:3, 6:3; **მარდი ფიში (აშშ, 7)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 8)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 6:2, 7:6(3); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-გაელ მონფილსი (საფ, 6) 3:6, 6:4, 6:3.

1/2 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 8) 7:5 ბერდიხის უარი; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-მარდი ფიში (აშშ, 7) 6:3, 7:6(8).

ყოფილი პირველობის ფინალი

ცინცინატიში ქალების ტურნირზე მთავარ პრიზს მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომრები - რუსი **მარია შარაპოვა** და სერბი **ელენა იანკოვიჩი** გაითამაშებენ.

ფინალში შარაპოვას გასვლა მოულოდნელობა არ ყოფილა - რუსი ყოველთვის ისე გეგმავს მზადების პროცესს, რომ „დიდი სლემის" ტურნირის წინ შედის ოპტიმალურ ფორმაში. რაც შეეხება იანკოვიჩს, ის დიდი ხანი „დაკარგული" იყო და კრიზისული პერიოდიდან პირდაპირ უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ფინალში მოხვედრას ბევრი ვერ წარმოიდგენდა.

იმის თქმაც შეიძლება, რომ ელენას მეტწილად გაუმართლა, რადგან მეოთხედფინალში მისმა მეტოქემ **შუაი პენგმა** ტრავმის გამო თამაშზე უარი განაცხადა, რითაც იანკოვიჩმა ნახევარფინალისთვის ძალები დაზოგა.

ამ ეტაპზე მისი მეტოქე გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი** გახდა, რომელმაც რუსი **ნადია პეტროვას** შეჩერება მოახერხა. ტურნირის მეცხრე ნომერს მხოლოდ პირველი სეტის დასაწყისში გაუჭირდა, როცა რუსმა ინიციატივა მოიპოვა, მაგრამ პარტიის შუაში თამაში გათანაბრდა, ბოლოს კი ანდრეამ იმძლავრა - 7:5. მეორე პარტიაში კი პეტროვას უკვე აღარაფერი გამოსდიოდა და მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო.

საერთოდ, ცინცინატის ტურნირმა ნაწილობრივ რუსი ჩოგბურთელების დომინირებით ჩაიარა და მეოთხედფინალური ეტაპის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ამ ქვეყანას ფინალში ერთი წარმომადგენელი აუცილებლად ეყოლებოდა, რადგან ნახევარფინალის მეორე წყვილი მარია შარაპოვამ და **ვერა ზვონარევამ** შეადგინეს.

მარიას ნახევარფინალში გასასვლელად ავსტრალიელი **სამანტა სტოსურის** დამარცხება სჭირდებოდა, რაც მისთვის რთული საქმე არ უნდა ყოფილიყო. ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრებში რუსს რვიდან რვა მატჩი ჰქონდა მოგებული ისე, რომ მხოლოდ ორი სეტი დაუთმო ავსტრალიელს. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და მიუხედავად იმისა, რომ სტოსურმა ბოლო დროს კარგი ფორმა აკრიფა (გასულ კვირას ტორონტოს სუპერტურნირის ფინალში ითამაშა), შარაპოვასთან ისევ უშანსოდ იყო.

სამანტამ პირველივე საკუთარი გეიმი ორი ორმაგი შეცდომით წააგო. ავსტრალიელი ძალიან ბევრს სცოდავდა და მარიამ თავისი ქულების დიდი ნაწილი მეტოქის უნებლიე შეცდომების ხარჯზე დააგროვა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შარაპოვა სტაბილური იყო მოწოდებების დროს - პირველი ორმაგი შეცდომა მხოლოდ მეორე სეტში ბოლოს დაუშვა. სწორედ მაშინ მან ოდნავ აანერვიულა საკუთარი გულშემატკივარი, რადგან 5:0-ზე ზედიზედ ორი გეიმი წააგო, თუმცა მალე შეძლო სიტუაციის გამოსწორება - 6:3, 6:2.

რაც შეეხება ვერა ზვონარევას, მეოთხედფინალში მან **დანიელა ჰანტუხოვას** ბარიერი გაიარა. მათი შეხვედრები ყოველთვის დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად, რუსების პირველმა ნომერმა შედარებით იოლად გაიმარჯვა. წინა დღეს სლოვაკმა სამსეტიანი თრილერი გადაიტანა **მარიონ ბარტოლის** წინააღმდეგ და ეს მის ფიზიკურ მდგომარეობას დაეტყო. პირველ სეტში რუსს სრული უპირატესობა ჰქონდა, მეორეში კი თამაში გათანაბრდა და ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ჰანტუხოვას ერთი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ზვონარევამ საფრთხე მოიგერია და შემოკლებული გეიმი 8:6 მოიგო.


ელენა იანკოვიჩი

...

შარაპოვა ამ ტურნირზე მეორედ ხვდებოდა თანამემამულეს. მერვედფინალში ის კარიერაში მეათედ დაუპირისპირდა **სვეტლანა კუზნეცოვას**, ახლა კი ასევე მეათე შეხვედრას ატარებდა ზვონარევას წინააღმდეგ.

პირველი სეტი შარაპოვამ მთლიანად ჩააგდო. მარიას ამდენი შეცდომა ერთად აღებული წინა სამ მატჩში არ ჰქონია. შედეგად, ზვონარევამ ძალიან იოლად აიღო საწყისი პარტია - 6:2.

მეორე სეტში შარაპოვამ ნაადრევი ბრეიკის წყალობით 3:1 დაწინაურება შეძლო, მაგრამ მეტოქემ საპასუხო ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა. თუმცა სეტის ბოლო ნაწილი მაინც შარაპოვას დარჩა, რომელმაც ზედიზედ სამი გეიმის აღებით პარტიებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

ზვონარევასთვის მესამე სეტი კარგად დაიწყო - მეტოქის მონოდება აიღო და ბრეიკით გავიდა წინ, მაგრამ იქვე შარაპოვამ ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და 4:1 დაწინაურდა. იქვე მსოფლიოს მეორე ჩოგანმაც გაიბრძოლა და მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა - 3:4, ოღონდ ეს ზვონარევას ბოლო წარმატება აღმოჩნდა. შარაპოვამ ისევ უკეთ წარმართა სეტის დასკვნითი ნაწილი და საბოლოო ანგარიში დაადაფიქსირა - 6:3.

ისევე, როგორც სტოსურთან მატჩში, აქაც მარიას მეტოქე დაეხმარა - ზვონარევას განსაკუთრებით მოწოდება არ მისდიოდა - რვა ორმაგი შეცდომა დაუშვა, რითაც შვიდი ბრეიკი გააკეთებინა მონინააღმდეგეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მარიას ერთით მეტი ორმაგი ჰქონდა.

გადამწყვეტ მატჩში შარაპოვა ელენა იანკოვიჩს შეხვდება და თუ გაიმარჯვებს, დღეიდან WTA-ის საჩემპიონო რბოლას ჩაუდგება სათავეში.

იანკოვიჩს აქამდე ორჯერ ჰქონდა ნათამაშები ანდრეა პეტკოვიჩის წინააღმდეგ და ორივეჯერ ნააგო, თუმცა ყოველთვის პირველ სეტს თავად იგებდა. ახლა ეს ტრადიცია სანახევროდ დაირღვა - პირველი პარტია ისევ სერბმა აიღო და თან მატჩის მოგებაც მოახერხა - 7:5, 6:1.

პირველ სეტში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანეს, სადაც ელენამ მოიპოვა უპირატესობა - 7:4. რაც შეეხება მეორე სეტს, აქ ბრძოლა არ ყოფილა, რადგან იანკოვიჩმა სამი ბრეიკი გაიფორმა და თავად არც ერთი საკუთარი მოწოდება არ წაუგია.

შარაპოვასა და იანკოვიჩის ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში მარიას სასარგებლოდაა - 5:1, თუმცა უკვე სამწელიწადნახევარია ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს არ შეხვედრიან და გამარჯვებულის პროგნოზირებაც, შესაბამისად, რთული გახლავთ.

1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 4)-სამანტა სტოსური (ავსტრა, 10) 6:3, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:3, 7:6(6); **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-ნადია პეტროვა (რუს) 7:5, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 13)**-შუაი პენგი (ჩინ, 16) პენგის უარი.

1/2 ფინალი

მარია შარაპოვა (რუს, 4)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 2:6, 6:3, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 13)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9) 7:6(4), 6:1.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ველოსპორტი. ვუელტა

ვის დარჩება მესამე გრანდჯური?

შაბათს ესპანეთში წლევანდელი სეზონის მესამე „გრანდ-ტური“ - „ვუელტა“ დაიწყო. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ესპანური ველოსამარათონი გუნდური რბოლით გაიხსნა - ველოსმრბოლებს ბენიდორმში 13.5 კილომეტრი უნდა დაეფარათ.

ეს მოკლე დისტანცია მარტივი სულაც არ ყოფილა. მაგალითად, პირველი ოთხი კილომეტრი მონაწილეებს მთებში რბოლა მოუწიათ, ასე რომ, მათ მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალათ.

ლუქსემბურგულმა Leopard-Trek-მა ერთ-ერთმა პირველმა აიღო სტარტი. „ვუელტაზე“ ამ გუნდის ლიდერები იქნებიან დანიელი **იაკობ ფუგსლანგი**, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** და იტალიელი **დანიელე ბენატი**. სწორედ მათი კარგი მუშაობით გუნდმა აჩვენა დრო, რომელიც შემდეგ ვერც ერთმა კონკურენტმა ვერ გაუმჯობესა. პირველმა ფინიშის ხაზი ფუგლსანგმა გადაკვეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ დანიელი დაიწყებს მეორე ეტაპს ლიდერის წითელი მაისურით.

ეტაპი ჩაგდო ორმა ძლიერმა გუნდმა. ამერიკული „რედიოშეკი“ იმის გამო დაზარალდა, რომ მისი ერთ-ერთი ლიდერის **იანეც ბრაიკოვიჩის** ველოსიპედი გამოვიდა მწყობრიდან და ბევრი დრო დაიკარგა. რაც შეეხება ბრიტანულ „თიმ სქაის“, რომელსაც **ბრედლი უიგინსი** უდგას სათავეში, ერთ მომენტში მან მეხუთე მრბოლელი დაკარგა და ამან ფავორიტი ველოსაჯინიბო ძალიან დააზარალა.

■ ■ ■

მოკლედ, ესპანური ველოსმარათონი ძალიან საინტერესოდ დაიწყო, ჩვენ კი გადავწყვიტეთ გაგაცნოთ წლევანდელი „ვუელტას“ მთავარი ფავორიტები. იმის გამო, რომ რბოლა ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო და ის ვადებში მაქსიმალურად იყო მიახლოებული ტურ დე ფრანსთან, აქ ვერ ვიხილავთ ფრანგული მარათონის გმირებს - **კეიდელ ევანსს**, ძმებ **შლეკებს**, **ალბერტო კონტადორსა** და სხვებს. სამაგიეროდ, აქ არიან ჯირო დ'იტალიას ლიდერები და ტურზე ხელმოცარულები.

პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან „ვუელტას“ მოქმედი ჩემპიონი **ვინჩენცო ნიბალი**, ჯიროს ვიცე-ჩემპიონი **მიკელე სკარპონი** და, რა თქმა უნდა, ამ ველოსმარათონის მთავარი ფავორიტი **იგორ ანტონი**. შარშან, ეს ნიჭიერი ბასკი იქამდე ატარებდა ლიდერის წითელ მაისურას, სანამ ერთ-ერთ თანაგუნდელს არ დაეჯახა და დაცემისას ლავინის ძვალი არ გაიტეხა.

რაც შეეხება ტურ დე ფრანსზე დაზარალებულ ველოსმრბოლებს, ამ სიას ხსნის ბრიტანელი **ბრედლი უიგინსი**. საფრანგეთში მის ამბიციებს ხაზი გადაუსვა ერთ-ერთ ეტაპზე დაცემამ და ახლა ის რეაბილიტაციას „ვუელტაზე“ აპირებს, თუმცა მისი ნაკლი ის არის, რომ ესპანურ ტრასებს ცუდად იცნობს.

ტურის ყველაზე უიღბლო გუნდი იყო ამერიკული „რედიოშეკი“, რომელმაც საფრანგეთის გზებზე ერთმანეთის მიყოლებით ოთხი ლიდერი დაკარგა. ამ ოთხიდან ორი „ვუელტაზე“ აპირებს რევანშის აღებას. თუმცა პირველ ეტაპზე ისევ მოხვდა გაუგებრობაში ბრაიკოვიჩი, ამიტომაც გერმანელი ვეტერანის **ანდრეას კლიონედის** შანსებს უფრო მაღლა აყენებენ.

ასევე მოიხსენიებენ ფავორიტებს შორის რუსული „კატიუშას“ ლიდერს, ესპანელ **ხოაკინ როდრიგესს**, რომელმაც ცოტა ხნის წინ დუბლი შეასრულა „ვუელტა ბურგოსზე“ და ამით კარგი მზადყოფნა დაამტკიცა. ფავორიტთა სიას კი ასრულებს გუნდ Geox-ის ორი წევრი - ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი **კარლოს სასტრე** და **დენის მენშოვი**. ეს დუეტი ყველაზე დასვენებული შეხვდა წლევანდელ „ვუელტას“, რადგან Geox-ს ტურზე გამოსვლა აკრძალული ჰქონდა.

I ეტაპი

ბენილორმი. 13.5 კმ

1. Leopard-Trek; 2. Liquigas - +0:05; 3. HTC-Highroad - +0:10; 4. ასტანა - +0:10; 5. Movistar - +0:15; 6. Quick Step - +0:15; 7. Omega Pharma-Lotto - +0:18; 8. Skil-Shimano - +0:18; 9. Garnin-Cervelo - +0:25; 10. კატიუშა - +0:26; 11. Euskaltel-Euskadi - +0:28; 12. BMC Racing Team - +0:28; 13. SaxoBank - +0:28; 14. RadioShack - +0:29; 15. Rabobank - +0:30; 16. Lampre-ISD - +0:32; 17. Cofidis - +0:33; 18. Vacansoleil - +0:39; 19. Ag2r - +0:42; 20. Team Sky - +0:42; 21. Geox - +0:44; 22. Andalucia-Caja Granada - +1:03.



გამარჯვებული გუნდი

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

პარაგვაი

ინდეპენდიენტე-ლუკენო	0:0
ტაჟუარი-სოლ დე ამერიკა	1:1
ოლიმპია-ხენერალი	2:1
3 დე ფებერო-რუბიო ნუ	1:2
გუარანი-ლიბერტადი	0:3

პერუ

სესარ ვალეხო-სპორტი	2:0
ინტი გასი-სპორტ ბოისი	3:1
სპ. კრისტალი-ალ. ატლეტიკო	1:0
კომერსიო-კოლეგიო	3:0
უნ. პერუ-ლეონი	2:1
კოგრესალი-მელგარი	0:0
სენსიანო-ალ. ლიმა	0:1
ხუან აურიჩი-სან მარტინი	1:0

ეკვადორი

ტრუხილანოსი-ლანეროსი	4:0
დეპ. პეტარე-ტაჩირა	1:0
დერ. ლარა-სულია	1:0
ესტუდიანტესი-მინეროსი	1:1
მონაგასი-ტუკანესი	3:2

კალათბურთი

ევრობასკეტი

საკვალიფიკაციო

ფინეთი-უნგრეთი	87:65
მალი-მოროკო	72:91 (ოტ.)
მადაგასკარი-ნიგერია	81:112
ეგვიპტე-ს. აფრიკა	68:71
კამერუნი-კოტ დ'ივუარი	76:70

ამხანაგური მაჯრები

ბელგია-საბერძნეთი	70:61
ჩინეთი-ხორვატია	53:83
გერმანია-თურქეთი	64:52
ავსტრალია-ბრიტანეთი	91:90 (ოტ)
საფრანგეთი-სერბეთი	80:77

ჩოგბურთი

ATP. ცინცინატი

ჯოკოვიჩი-მიურეი	4:6, 0:6

ATP. უინსტონ სალემი

სვიტინგი-ო. როხუსი	6:3, 7:5
კამკე-ფალა	6:1, 6:0
ტომიჩი-ანდრეევი	7:6, 3:6, 4:6

WTA. ნიუ ჯერსი

სკიავონე-დულგერუ	6:1, 6:2
პირონკოვა-ნიკულესკუ	3:6, 2:6
ზაკოპალოვა-პენეტა	7:5, 3:1, შეწყდა

WTA. ცინცინატი

იანკოვიჩი-შარაპოვა	გვ. დასრულდა

ფორმულა 1

მასა: ფერარიში 2012 წლამდე

როგორც ჩანს, გაირკვა „ფერარის“ პილოტის **ფელიპე მასას** ბედი - ბრაზილიელი 2012 წლის ბოლომდე „სკუდერიას“ რიგებში დარჩება. ამის შესახებ გამოაცხადა იტალიური ველოსაჯინიბოს შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ**. როგორც იცით, მასას კონტრაქტს მომავალი წლის ბოლოს ეწურება ვადა, მაგრამ არაერთი ჭორი აგორდა იმასთან დაკავშირებით, რომ ფელიპე წელს თავის ბოლო სეზონს ატარებდა „ფერარის“ რიგებში.

„მასა ჩვენთან 2012 წლის ბოლომდე დარჩება. ის ბევრს მუშაობს და ბოლო რბოლებში აშკარად მოუმატა. ხანდახან არ უმართლებს. მაგალითად, გერმანიაში კარგი სტარტი აიღო, მაგრამ ტრაფიკში მოხვდა და ნინსვლა გაუჭირდა. როცა მასას კარგი მანქანა ჰყავს, ის ძალიან ძლიერია, თუმცა სტაბილურობაში უნდა მოუმატოს. ვფიქრობ, სეზონის ბოლოსკენ ეს შესაძლებელი იქნება. მასამ იცის, რომ ის დიდი ოჯახის წევრია და მის ადგილს „ფერარიში“ საფრთხე არ ემუქრება. იმედია, 2012 წელს მოახერხებს ფერნანდო ალონსოსთან ჩამორჩენის გაბათილებას“, - ამბობს „ავტოსპორტთან“ კომენტარში დომენიკალი.

შეგახსენებთ, რომ საერთო ჩათვლაში მასა მეექვსე ადგილზეა, თანაგუნდელი ალონსო - მესამეზე.

■ ■ ■

ცნობილმა ფინელმა **კიმი რაიკონენმა** გერმანიის რალის წინ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ფინურ გაზეთს, რომელშიც ფორმულა 1-ის წლევანდელ ჩემპიონატში მიმდინარე მოვლენები შეაფასა.

რალიში მოღვაწე რაიკონენმა საერთო ჩათვლაში „რედ ბულის“ პილოტის **სებასტიან ფეტელის** უპირატესობას უდიდესი უწოდა და საჩემპიონო რბოლაში გერმანელის გამარჯვება იწინასწარმეტყველა.

„ხშირად ხდება ისე, რომ ფორმულა 1-ის ჩემპიონატების დასკვნით ნაწილში ძალთა თანაფარდობა თანაბრდება და ბრძოლა უფრო დაძაბული ხდება, მაგრამ წელს ასე არ იქნება. ფეტელი იმ შემთხვევაშიც შეინარჩუნებს ტიტულს, თუ რბოლების მოგებას ვერ მოახერხებს. ეს უდიდესი უპირატესობაა კონკურენტებზე“, - ამბობს ფორმულა 1-ში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

ფინელმა კომენტარი გააკეთა უკანა მართვადი ანტიფრთის სისტემის (DRS) შესახებ, რომელიც პილოტებს ტრასის სპეციალურ მონაკვეთებზე გასწრების საშუალებას აძლევს. კიმი არ იწონებს ამ სიახლეს და ამბობს, რომ DRS-ს არაფერია აქვს საერთო რეალურ გასწრებებთან. პილოტს მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა სჭირდება სისწრაფეში უპირატესობის მოსაპოვებლად და აქ ნიჭი სულაც არ არის საჭირო.

„ამ სისტემას არაფერი აქვს საერთო ტრასაზე ნამდვილ ბრძოლასთან. მთავარია, მიუახლოვდე მოწინააღმდეგეს, თითი დააჭირო ღილაკს და მეტოქე უკვე ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს. შესაძლოა, ტექნიკურად ფორმულა 1 სწორი მიმართულებით ვითარდება, ეს სისტემა კარგია ტელევიზიისთვის, მაგრამ პირადად მე ეს სიახლე არ მომწონს და ვფიქრობ, სხვა პილოტებიც დამეთანხმებიან ამაში“, - აღნიშნა კიმი რაიკონენმა, რომელიც გასულ უქმეებზე გერმანიის რალიში იღებდა მონაწილეობას.

ფელიპე მასა

მძლეოსნობა

ბოლტი: მოგება პრობლემა არ იქნება

ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ბლანკა ვლასიჩმა** ტრავმის მიუხედავად პლანეტის წლევანდელ პირველობაზე ტიტულის დაცვა გადაწყვიტა. ხორვატმა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს კორეის ქალაქ ტეგუში გასამართ ჩემპიონატში, არადა, უფრო ადრე ტურნირის გამოტოვებას გეგმავდა.

ვლასიჩს ფეხის კუნთი აქვს განყვეტილი და ახლა სწორედ ამ დაზიანებას მკურნალობს. ბლანკას თქმით, ის ვერ აიტანდა პლანეტის პირველობის ტელევიზორით ცქერას. ხორვატმა 19 აგვისტოს გამოაცხადა წლის მთავარი სტარტის გამოტოვების შესახებ, მაგრამ როგორც თავად ამბობს, 24 საათში გადაიფიქრა.

27 წლის ვლასიჩი ბოლო ორი ჩემპიონატის (2007 წელს ოსაკაში და 2009 წელს ბერლინში) გამარჯვებულია, 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ტეგუში ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომის შეჯიბრი 3 სექტემბერს - პირველობის ბოლოსწინა დღეს გაიმართება.

■ ■ ■

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იამაიკელი **უსაინ ბოლტი** დარწმუნებულია 100 მეტრზე საკუთარ გამარჯვებაში. პლანეტის უსწრაფესი ადამიანის თქმით, იმ გარბენის მთავარი მომენტი სტარტი იქნება.

„თუ ნორმალურ სტარტს ავიღებ, ოქროს მედლის მოგება არ გაჭირდება, - განაცხადა ბოლტმა სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში. - *ვფიქრობ, წარმატება ძალიან იოლი იქნება - მე ხომ ბადალი არ მყავს სარბენ ბილიკზე, თანაც ეს საკითხი არ არის დამოკიდებული იმ კონკრეტულ მომენტში ჩემს სპორტულ ფორმაზე“.*

ამავდროულად, 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენი მაყურებელს ახალ რეკორდებს არ ჰპირდება. ამ ეტაპზე რთული იქნება ისტორიაში უსწრაფესი წამების ჩვენება.

„ტეგუში რეკორდები არ იქნება. ჩემი მთავარი მიზანი - საჩემპიონო ტიტულების დაცვაა. თუ 100 მეტრ დისტანციაზე ვილაპარაკებთ, ვფიქრობ, ჩემთვის კარგი დრო იქნება 9.7 წამი“, - დაამატა იამაიკელმა.

კრივი

ექსჩემპიონი ბრუნდება

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, 39 წლის ამერიკელმა **შენონ ბრიგსმა** პროფესიულ რინგზე დაბრუნების შესახებ გამოაცხადა. თავისი ბოლო ბრძოლა მან გასული წლის ოქტომბერში ჩაატარა, როცა საჩემპიონო შეხვედრა დათმო WBC-ის ჩემპიონთან, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან**. იმ ბრძოლის შემდეგ ბრიგსი საავადმყოფოში მოხდა სახისა და ცხვირის ძვლების დაზიანების გამო.

„ვბრუნდები იმის გამო, რომ კარიერა სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის რანგში დავასრულო. ვიტალი კლიჩკოს წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ხელით ვიბრძოდი, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო ჩემი ნოკაუტში ვაგზავნა. არადა, ამ მოკრივეს სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ნოკაუტებით გამარჯვების საუკეთესო პროცენტი აქვს“, - განაცხადა ბრიგსმა თავისი მიზნების შემდეგ.

კინგი 80 წლისაა

ლეგენდარულმა ამერიკელმა პრომოუტერმა **დონ კინგმა** შაბათს 80 წლის იუბილე აღნიშნა. სკანდალურად ცნობილი მენეჯერის კარიერა 1972 წლის 28 აგვისტოს დაიწყო, როცა მან ორგანიზება გაუკეთა საქველმოქმედო შოუს **მოჰამედ ალის** მონაწილეობით. სულ კინგის აქტივში 500-ზე მეტი საჩემპიონო ბრძოლაა. 1997 წელს ის კრივის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

დონ კინგი ერთადერთი პრომოუტერია, რომელიც გამოცემა Sports Illustrated-ის ვერსიით ბოლო 40 წლის განმავლობაში სპორტში ყველაზე გავლენიანი 40 პიროვნების სიაში მოხვდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ჯოკო მარია გახდა

პროფესიული ტურის ყველაზე ხუმარა და მხიარულმა ჩოგბურთელმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მორიგი პაროდია შემოგვთავაზა თავის ერთ-ერთ კოლეგაზე. კერძოდ, მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა **მარია შარაპოვა** გააჯავრა - ამისთვის მან რუსი ჩოგბურთელის სარეკლამო რგოლი გამოიყენა, რომელშიც მარია კომპანია Head-ის ჩოგანს უკეთებს რეკლამას.

ჯოკოვიჩის მორიგი პაროდია ყველას მოეწონა, განსაკუთრებით კი შარაპოვას, რომელმაც შთაბეჭდილებები Facebook-ზე საკუთარ მიკრობლოგში გაგვიზიარა, თუმცა ცოტათი გააკრიტიკა კიდეც სერბი ჩოგბურთელი:

„ნახეთ ნოვაკ ჯოკოვიჩის ბოლო პაროდია? ნოვაკ, ეს შენი ახალი გ ზაა წარმატებისკენ? ამისთვის აუცილებელი იყო მარია შარაპოვად გადაქცევა? ცოტათი ნაწყენი ვარ იმის გამო, რომ ჩემი კაბა არ ჩაიცვი, თანაც სხეულის მიხრა-მოხრაში უფრო მეტი უნდა გევარჯიშა. რაც შეეხება ვარცხნილობას... კომენტარის გარეშე...“

ჯოკოვიჩი თავის Facebook-ზე მაშინვე გამოეხმაურა შარაპოვას რეპლიკას:

„მარია, უბრალოდ, იმ დღეს არ გამიმართლა პარიკმახერში. ძალიან რთულია ყოველდღე იზრუნო ვარცხნილობაზე, მაგრამ შევეცდები მომავალში უკეთესი გავხდე, შენ კი, კრიტიკის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა რაღაცით დამხმარებოდი და ჩემს გვერდით ყოფილიყავი...“

ჩოგბურთი

ამერიკის ღია ჩემპიონის გარეშე

სამწუხაროა ამბავი შეიტყვეს მსოფლიოს მესამე ჩოგანის - **კიმ კლაისტერსის** გულშემატკივრებმა. ბელგიელი ჩოგბურთელი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამერიკის ღია პირველობაზე, სადაც მას ტიტული უნდა დაეცვა. მიზეზი ყველასთვის ცნობილია - ბელგიელმა ორი კვირის წინ ტორონტოს ტურნირზე მუცლის კუნთის ტრავმა მიიღო. შეგახსენებთ, რომ კლაისტერსმა ვერც უიმბლდონზე შეძლო გამოსვლა - მაშინ მას იდაყვის დაზიანება აწუხებდა.

„ორი კვირა საკმარისი არ იქნება ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესისთვის. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. მთელი ზაფხული ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი სწორედ იმისთვის, რომ ამერიკის ღია პირველობას კარგ ფორმაში შევხვედროდი, მაგრამ დაძაბული მუშაობა წყალში ჩაიყარა“, - განაცხადა კლაისტერსმა, რომელიც ამერიკის ღია პირველობის ბოლო ორი სეზონის ტრიუმფატორია.

2009 წელს კლაისტერსმა „ფლეშინგ მედოუს“ კორტები კარიერაში ორწლიანი პაუზის შემდეგ დაიპყრო. მაშინ ის 1980 წლის შემდეგ პირველად „დიდი სლემის“ ტურნირების განუთესავი ჩემპიონი გახდა.

შარშან კი ბელგიელმა წარმატებით დაიცვა ტიტული, 2011 წლის დასაწყისში კი ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, როცა ფინალში ჩინელი **ნა ლი** დაამარცხა.

ასევე ცნობილია, რომ ამერიკის ღიას გარდა, ბელგიელი გამოტოვებს იაპონიასა და ჩინეთში დაგეგმილ სუპერტურნირებს.

კალათბურთი

ლებრონი ბარსაში, როუზი რეალში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი ვარსკვლავი - **ლებრონ ჯეიმსი** და **დერიკ როუზი** ამჟამად ესპანეთში იმყოფებიან. „მაიამისა“ და „ჩიკაგოს“ კალათბურთელებმა ფეხბურთში თავიანთი სიმპათიები გამოამჟღავნეს.

ლებრონი „ბარსელონას“ ღია ვარჯიშს ესწრებოდა, რის შემდეგაც „ჰიტის“ ვარსკვლავმა **ლეონელ მესისთან** და მთავარ მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლასთან** მოისურვა ფოტოების გადაღება.

დერიკ როუზი კი მადრიდის „რეალითა“ და მთლიანად ესპანეთის დედაქალაქით არის აღფრთოვანებული.

გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშემ აღიარა, რომ „სამეფო კლუბის“ დიდი თაყვანისმცემელია: *„მინდა უფრო ბევრი გავიგო კლუბისა და მისი სტადიონის ისტორიის შესახებ“*.

როუზი მადრიდში მეორედ ჩავიდა და ამჯერად ხელიდან არ გაუშვა „სანტიგო ბერნაბეუს“ მონახულების შანსი: *„აღფრთოვანებული ვარ ამ დიდებული არენის მასშტაბებით“*.

როუზი სანტიაგო ბერნაბეუზე



ლებრონი და ლეო

კალათბურთი

ჩინეთის ვარსკვლავები არ სჭირდებიან

ჩინეთის კალათბურთის ფედერაციამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო - ESPN-ის ვებგვერდის ინფორმაციით, ამ ორგანიზაციამ გადაწყვიტა შეზღუდოს თავის ლიგაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა რაოდენობა.

კერძოდ, ჩინურ კლუბებს უფლება არ ექნებათ გააფორმონ ხელშეკრულებები იმ კალათბურთელებთან, რომლებსაც NBA-ის გუნდებთან მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ. შეგახსენებთ, რომ ჩინეთში დაინტერესებულნი იყვნენ ისეთი ვარსკვლავების გადაბირებით, როგორებიც არიან **კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი, კრის პოლი** და სხვები.

ასე რომ, ჩინური კალათბურთის ხელმძღვანელობა თავისი ჩემპიონატის კარს მხოლოდ თავისუფალ აგენტებს გაუღებს, მაგრამ აქაც არის მკაცრი პირობა: კალათბურთელებმა ჩინეთში მთელი სეზონი უნდა გაატარონ და ისინი ლოკაუტის დასრულებისთანავე ვერ შეძლებენ NBA-ში დაბრუნებას.

ტრეისი მაკგრეიდი

როგორც ჩანს, ეს პირობა არ აშინებს სახელოვან ვეტერანს **ტრეისი მაკგრეიდის**, რომელიც კლუბ „ფოშანთან“ ანარმოებს მოლაპარაკებებს. წერენ, რომ მხარეები ახლოს არიან საბოლოო შეთანხმებასთან. ტი-მაკი თავად ჩავიდა ჩინეთში და პირადად მოელაპარაკა კონტრაქტის დეტალებზე კლუბის ხელმძღვანელობას.

გასული სეზონის შემდეგ ტრეისი მაკგრეიდი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი გახდა.

■ ■ ■

სავარაუდოდ, ჩინეთში არ წავა „მაიამი ჰიტის“ ერთ-ერთი ლიდერი **დუეინ უეიდი**, თუმცა მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, NBA-ში სეზონის ჩაშლის შემთხვევაში უსაქმოდ არ გაატაროს მთელი წელი. უეიდს ძალიან უნდა 2011-12 წლების სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება.

„მე აუცილებლად ვითამაშებ კალათბურთს. არ ვიცი ეს სად მოხდება, სამაგიეროდ, ის კარგად ვიცი, რომ არ დავანებებ თამაშს თავს მხოლოდ იმის გამო, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტია გამოცხადებული“, - ამბობს ფლორიდელი ვარსკვლავი.

■ ■ ■

ესპანური „კახა ლაბორალი“ „საკრამენტო კინგზის“ 24 წლის შემტევი მცველით **მარკუს ტორნტონით** დაინტერესდა. კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, სწორედ ამ კალათბურთელმა უნდა შეცვალოს ბასკურ გუნდში „ბარსელონაში“ წასული ბრაზილიელი **მარსელინიო უერტასი**.

ცნობისთვის, უფრო ადრე ტორნტონმა უარყო თელ-ავივის „მაკაბის“ წინადადება. ისრაელში ამ მცველს ერთი სეზონის სანაცვლოდ 2.2 მილიონ ევროს სთავაზობდნენ. შესაძლოა, მარკუსმა არც „კახა ლაბორალში“ გადასვლა მოისურვოს, რადგან ესპანელებს უნდათ სეზონის ბოლომდე გაიფორმონ ტორნტონი და არ გაუშვან ის ოკეანის გაღმა ლოკაუტის დასრულების შემთხვევაში.

შარშან, ეს მცველი სეზონს „ნიუ ორლეანის“ სათადარიგოთა სკამზე იწყებდა, შემდეგ „საკრამენტოში“ გადავიდა, სადაც სასტარტო ხუთეულის წევრი გახდა და საშუალოდ 21.3 ქულას, 4.7 მოხსნასა და 3.4 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი.

■ ■ ■

ევროპის ჩემპიონატის წინ NBA-ის ერთი ლეგიონერი დაკარგა საფრანგეთის ნაკრებმა. ხელის ტრავმის გამო გუნდს გამოაკლდა „ნიუ იორკ ნიქსის“ ცენტრი **რონი ტურიაფი**. დაზიანება მან ბრიტანეთთან ამხანაგური მატჩის დროს მიიღო და ბოლო სამედიცინო შემოწმების მიხედვით, აღდგენით პროცესს დაახლოების სამი კვირა დასჭირდება.

ტურიაფს ფრანგების განაცხადში **ალი ტრაორე** შეცვლის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საწვრთნელი შეკრებიდან დაითხოვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვენსან კოლემ.

ამბები

ველოსიპორტი

ევანსის გუნდი ძლიერდება

კლასიკური რბოლების ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტი, ბელგიელი ველომრბოლი **ფილიპ ჟილბერი** 2012 წლიდან ახალ გუნდში გამოვა. მან კონტრაქტი გააფორმა ველოსაჯინიბო BMC Racing-თან, რომლის რიგებში ირიცხებიან 2011 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებული, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ნორვეგიელი **ტორ ჰუშოვდი**.

ჰოკეი

დრურიმ თამაში დაასრულა

ცნობილმა ამერიკელმა ჰოკეისტმა, 34 წლის ფორვარდმა **კრის დრურიმ**, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა, კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა, - წერს ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. მოთამაშემ ეს გადაწყვეტილება მუხლის ქრონიკული ტრავმით ახსნა.

დრური ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1994 წლიდან გამოდიოდა და რეგულარულ ჩემპიონატში 892 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზეა 615 ქულა (255 გოლი+360 შედეგიანი გადაცემა). კრისს ოთხი კლუბის: „კოლორადოს“, „კალგარის“, „ბაფალოსა“ და „რეინჯერსის“ ღირსება დაუცავს.

ამერიკის ნაკრებში თამაშისას, ვეტერანი 2004 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ჭიდაობა

ოლიმპიური ჩემპიონი დაბრუნდა

ამერიკის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დაასახელა შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში. ტურნირი თურქეთის ქალაქ სტამბოლში 12-18 სექტემბერს გაიმართება.

აშშ-ის გუნდში ყველაზე ტიტულოვანია 32 წლის **კაელ სენდერსონი**, რომელიც 2004 წელს ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 84-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

იმ ოლიმპიადის შემდეგ სენდერსონს ექვსი წელი მონაწილეობა არ მიუღია ოფიციალურ ტურნირებში და მხოლოდ წელს დაბრუნდა დიდ სპორტში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა